პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
13 თებერვალი **ხუთშაბათი** 2014
№ 028 (14 249) ფასი 80 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სოჭში ნოდარი გაიხსენეს



↳12

# კიდევ ერთი ნელი დიდ ფეხბურთში?

## კობიაშვილი: შეიძლება, კარიერა არ დავასრულო!



# THE SHOW MUST GO ON!

↳2

## ლაშა სალუქვაძე: გამლახოს რა, პატარა ბავშვი ვარ?!



↳2



↳9

## ნულები ლონდონში

ჩელსი პირველზე დარჩა...

## სოჭი 2014

### მედლები

| | ო | ვ | ბ | ს |
|---|---|---|---|---|
| 1. გერმანია | 6 | 1 | 1 | 8 |
| 2. კანადა | 4 | 4 | 2 | 10 |
| 3. ნორვეგია | 4 | 3 | 5 | 12 |
| 4. ჰოლანდია | 4 | 2 | 4 | 10 |
| 5. აშშ | 3 | 1 | 5 | 9 |
| 6. შვეიცარია | 3 | 0 | 1 | 4 |
| 7. რუსეთი. | 2 | 4 | 3 | 9 |
| 8. ავსტრია | 1 | 4 | 0 | 5 |
| 9. სლოვენია | 1 | 1 | 2 | 4 |
| 10. საფრანგეთი | 1 | 0 | 2 | 3 |
| 11. ბელარუსი | 1 | 0 | 0 | 1 |
| 11. კორეა | 1 | 0 | 0 | 1 |
| 11. პოლონეთი | 1 | 0 | 0 | 1 |
| 11. სლოვაკეთი | 1 | 0 | 0 | 1 |
| 15. შვედეთი | 0 | 3 | 1 | 4 |
| 16. ჩეხეთი | 0 | 2 | 1 | 3 |
| 16. იაპონია | 0 | 2 | 1 | 3 |
| 18. იტალია | 0 | 1 | 1 | 2 |
| 19. ავსტრალია | 0 | 1 | 0 | 1 |
| 19. ჩინეთი | 0 | 1 | 0 | 1 |
| 19. ფინეთი | 0 | 1 | 0 | 1 |
| 22. დიდი ბრიტანეთი | 0 | 0 | 1 | 1 |
| 22. ლატვია | 0 | 0 | 1 | 1 |
| 22. უკრაინა | 0 | 0 | 1 | 1 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერი

# ერთად სათქმელი: არ წახვიდე, კობი!


ლევან კობიაშვილი

**ლევან კობიაშვილმა**, ვისაც საქართველოს ნაკრებში ყველაზე მეტი მატჩი აქვს ჩატარებული, შესაძლოა, გადაიფიქროს და დიდ ფეხბურთს კიდევ ერთი სეზონით შემორჩეს. „დიდ ფეხბურთში" საკლუბოს ვგულისხმობთ, თორემ სანაკრებო კარიერა ეროვნული გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ორი წლის წინ რომ დაამთავრებინა, ეს ახალი არავისთვის უნდა იყოს...

მართლა ახალი კი ისაა, რაც თავად კობიაშვილმა უთხრა „ბილდს" და მერე „ფეისბუქზეც" განათავსა: „ახლა თამაშისგან ძალიან დიდ სიამოვნებას ვიღებ. ვერ წარმომიდგენია, რომ რამდენიმე თვეში ამ სიამოვნებას ველარ მივიღებ. ამიტომაც, შესაძლოა, თამაში ერთი სეზონი კიდევ გავაგრძელო".

ასაკის მიუხედავად, „კობი" მართლაც უმაღლეს დონეზე თამაშობს. ამას კი ყოველი მატჩის შემდეგ ჩვენი გერმანელი კოლეგებისგან მისთვის დაწერილი შეფასებები და ის სიტყვებიც მოწმობს, რასაც „ჰერტას" უფროსები მის მიმართ ხშირად ამბობენ. აგერ, გუშინ „ჰერტას" სპორტულმა დირექტორმა **მიხაელ პრეეტცმა** თქვა:

*„ლევან კობიაშვილი მოედნის ჩინებული ხედვით გამოირჩევა. ის ახლა ჩინებულ ფორმაშია და ნამდვილად სამაგალითო პროფესიონალია".*

თუ კობიაშვილმა მართლაც გადაიფიქრა ამ ზაფხულს კარიერის დასრულება, შესაძლოა, ბუნდესლიგაში ლეგიონერთა შორის ჩატარებული მატჩების რაოდენობით „ბაიერნის" პერუელ ფორვარდ კლაუდიო პისაროს (360 მატჩი) გადაასწროს და რეკორდსმენი გახდეს. სადღეისოდ, კობიაშვილის ბუნდესლიგური მონაგარი 342 მატჩს ითვლის...

მაშ, ყველამ ერთად ვუთხრათ: არ წახვიდე, კობი!

**კობა ინასარიძე**

ინციდენტის შემდეგ


ლაშა სალუქვაძე

## ლაშა სალუქვაძე

# გამლახოს რა, პატარა ბავშვი ვარ?!

### ინტერის ქართველ მცველს მეტოქემ ფედერაციაში უჩივლა

**აზერბაიჯანის** პრემიერლიგაში „რავანი"-"ინტერის" მატჩს ადგილობრივ ინტერნეტ-მედიაში დიდი გამოხმაურება მოჰყვა. „ინტერმა", რომელსაც კახა ცხადაძე წვრთნის და სადაც ოთხი ქართველი ფეხბურთელი თამაშობს, ეს შეხვედრა 2:1 მოიგო და ლიდერებს ერთ ნაბიჯში მიუახლოვდა. „რავანთან" მატჩში ჩვენების გუნდი ალექსანდრე იაშვილის უბრწყინვალესი გოლით დაწინაურდა, რასაც მასპინძლებმაც ერთი ბურთით უპასუხეს. მატჩის დამთავრებას აღარაფერი აკლდა, როცა სტუმრებმა პენალტის უფლება მოიპოვეს. გუნდის კაპიტანმა ვაგიფ ჯავადოვმა ზუსტად დაარტყა და თავისიანებს მნიშვნელოვანი 3 ქულა მოუტანა.

ბოლო წამზე გატანილი გოლით სიხარული „ინტერის" მცველმა ლაშა სალუქვაძემ ცოტა ემოციურად გამოხატა, რასაც ჯერ მასპინძელთა გაღიზიანება, ხოლო შემდეგ აზერბაიჯანულ ინტერნეტ-მედიაში გავრცელებული ცნობა მოჰყვა - აქაოდა, სალუქვაძემ „რავანის" სათადარიგოთა სკამზე მსხდომთ უხამსი ჟესტი უჩვენა, რის გამოც მწვრთნელი ფიზული მამედოვი გასალახად გამოუდგაო...

ინტერნეტით გავრცელებულ კადრებში ჩანს, რომ მამედოვს მართლაც ძლივს აკავებენ. ჩანს ისიც, რომ მის დაწყნარებას ცხადაძეც ცდილობს, თუმცა კადრებში ვერსად ვნახეთ თავად სალუქვაძის ეს ყბადაღებული „უხამსი ჟესტი".

რაკი აზერბაიჯანულ მედიაში ხშირად იბეჭდება ურთიერთგამომრიცხავი და, თქვენ წარმოიდგინეთ, არმომხდარი „ამბებიც" (ამაზე გუშინდელ „ლელოშიც" ვწერდით) კი, ამიტომაც გადავწყვიტეთ, თავად სალუქვაძეს დავკავშირებოდით.

რა მოხდა სინამდვილეში „რავანის" სტადიონზე და რატომ გამწარდნენ ასე მასპინძელები?

- განსაკუთრებული არაფერი მომხდარა, - გვითხრა „ინტერის" მცველმა, - მაგრამ „რავანის" მწვრთნელები და ფეხბურთელები ისეთ სურათს ხატავენ, თითქოს, კაცს რომ არ ეპატიება, ის რამ ჩავიდინე. გეტყვით - ბოლო წამებზე რომ გადამწყვეტ ბურთს გაიტან და თამაშს მოიგებ, ხომ ცხადია, რომ ამას უფრო ემოციურად აღნიშნავ, ვიდრე მაშინ, როცა 3:0-ს იგებ და მეოთხესაც გაიტან?! ჰოდა, ასე იყო ამ შეხვედრის ბოლოსაც. იმ ეპიზოდში „რავანის" სათადარიგოთა სკამთან ახლოს ვიყავი და სიხარული ემოციურად გამოვხატე. ამათ კი, ეტყობა, ჩემი ჟესტები სწორად ვერ შეაფასეს და აღელდნენ.

**- აზერბაიჯანელები წერენ, თითქოს „რავანის" მწვრთნელი სალუქვაძეს გასალახად გამოეკიდაო...**

- გასალახად რა, პატარა ბავშვი ვარ?! მოგვიანებით, ამ ინციდენტის ამსახველი ვიდეო გავრცელდა, სადაც ყველაფერი კარგად ჩანს. „რავანის" მწვრთნელს მშვიდად ვეკითხები, რა გინდა-მეთქი, ის კი ყურადღებასაც არ მაქცევს და სხვა ფეხბურთელებს ელაპარაკება. იცით, მასპინძლებმა ანგარიში რომ გაათანაბრეს, მერე 15 წუთი მოედნიდან არ წამომდგარან - ხან ერთი ფეხბურთელი გაიშოტებოდა მინდორზე, ხან - მეორე. დროის გაყვანასა და ყველა საშუალებით ქულის მოპოვებას ცდილობდნენ.

**- აუტსაიდერი გუნდია და გასაგებია, რომ მისთვის ერთ ქულასაც ოქროს ფასი აქვს...**

- გეთანხმებით, ასეც არის და არც ისაა გამორიცხული, ჩვენი კონკურენტი რომელიმე კლუბისგან ჰქონდა „რავანს" დაინტერესება. მესმის, ძნელია, როცა მთელი თამაში იბრძვი, თითქოს სანადელსაც აღწევ, მაგრამ ბოლო წამს მაინც დამარცხებული რჩები. მასპინძელთა მწვრთნელსაც ნერვებმა უმტყუნა და...

**- ისიც ითქვა, მომხდარის გამო, სალუქვაძეს დისკვალიფიკაცია ელისო...**

- ვიცი, რომ იჩივლეს, მაგრამ სპორტულ-ტექნიკური კომისიის სხდომა უკვე იყო, დასასჯელები დაისაჯნენ. „ინტერის" არც ერთ ფეხბურთელს დისკვალიფიკაცია არ შეხებია. საამისო საფუძველი არავისთვის მიგვიცია და იმიტომ.

**- ამ ამბავს მოედნის მიღმა ხომ არ მოჰყოლია გაგრძელება?**

- არანაირი. მოედნის მიღმა „რავანის" მწვრთნელთან ან ფეხბურთელებთან რა ურთიერთობა უნდა მქონდეს?!

**კობა ინასარიძე**

ზუგდიდი

# დარასელია ლინკოლნს აკვირდება

„ზუგდიდმა" თურქულ შეკრებაზე პირველი საკონტროლო შეხვედრა გამართა და რუმინულ „უნივერსიტატიასთან" (კრაიოვა) 0:1 წააგო. მატჩი ბელეკის სასტუმროს სტადიონზე გაიმართა. „უნივერსიტატია" თამაშობს II ლიგაში, რომელიც ორ ზონადაა გაყოფილი. კრაიოველები სერია 2-ის ლიდერობი არიან. ამჟამად „უნივერსიტატიას" ფინანსურად უჭირს და ამიტომაცაა ქვედა ლიგაში, თორემ ადგილობრივი მასშტაბით ტრადიციული კლუბია. თუ გახსოვთ, 1994 წელს თბილისის „დინამომ" „უნივერსიტატია" ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპიდან გამოთიშა...

*„არაფერს ვაჭარბებ, კრაიოვას „უნივერსიტატიასთან" გუნდმა ძალიან კარგად ითამაშა, - გვითხრა „ზუგდიდის" სპორტულმა დირექტორმა ფრიდონ კერვალიშვილმა, -*

მაგრამ ბურთი კარში არა და არ შევიდა. დავით კირკიტაძეს ორჯერ ჰქონდა რეალური საგოლე შანსი, ერთხელაც ლუკა გუგუჩიას. მეორე ტაიმი ახალი დაწყებული იყო, ჩვენი კაპიტნის ზვიად სიხარულიას მიერ დარტყმული ბურთი მეკარე ბოიარ ბრაცმა „ცხრიანიდან" ჩამოხსნა. 65-ე წუთზე, საჯარიმოში გუგუჩიას მოცელვისთვის, სომეხ არბიტრ გევორქ იაგოვიანცს პენალტის დადება მართებდა, მაგრამ თამაში გააგრძელა, რითიც ძალიან გაგვაოცა... მატჩი ძალზე მაღალ ტემპში მიმდინარეობდა. რუმინელები საკმაოდ ხისტად თამაშობდნენ. მსაჯმა მათი 3 ფეხბურთელი გააფრთხილა, ჩვენგან კი რომეო კანკიასა და ირაკლი შალიკაშვილს უჩვენა ყვითელი ბარათები... სამწუხაროდ, 85-ე წუთზე კანკიამ მეორე ყვითელი ბარათიც მიიღო და მოედნის დატოვება მოუხდა, თუმცა, წინასწარი შეთანხმებით, მისი შეცვლა დასაშვები იყო და თამაშში ლაშა მჭედლიშვილი ჩაერთო. ერთადერთი გოლი ვიორელ ფერფელეამ იბრაჰიმოვიჩის სტილში, საჯარიმოს სიახლოვიდან „მაკრატელათი" გაგვიტანა. თამაშის დამთავრებისთანავე მეზობელ მოედანზე ლუგანსკის „ზორიასა" და სამარის „კრილია სოვეტოვის" ფეხბურთელები თამაშობდნენ. ჯაბა ლიპარტიამ („ზორია" - რედ) დაგვინახა, მოვიდა და მოგვიკითხა, ამისულაშვილი („კრილია" - რედ) სასტარტო შემადგენლობაში იყო და ვერ მოვიდა. „ზუგდიდის" შემადგენლობაში უცნობ გვარს შენიშნავდით - გუნდში 21 წლის ბრაზილიელი თავდამსხმელი ლინკოლნი ისინჯება. მისი საკითხი შეკრების დასრულების შემდეგ გადაწყდება".

**ზუგდიდი: ქვილითაია (46. ზარქუა) - კანკია (85. ლ. მჭედლიშვილი), აფაქიძე, მირცხულავა, ჯავაშვილი - შალიკაშვილი (77. ნ. ქირია), გუგუჩია (73. ბულია) - კირკიტაძე, სიხარულია (72. ქებაძე) შ. ლომია (60. სამუშია) - კავალიაუსკასი (46. ლინკოლნი).**

„ზუგდიდი" მომდევნო შეხვედრას დღეს, 13 თებერვალს გაიმართავს - დარასელიას გუნდი რუსეთის ჩემპიონატის პირველი ლიგის ბინადარ კალინინგრადის „ბალტიკას" გაეჯიბრება.

**მერაბ მამულაშვილი**

მეტალურგი

# საყაიმო ფინიში

დღეს, გამთენიისას რუსთავის „მეტალურგი" თურქული შეკრებიდან საქართველოში დაბრუნდა. **ვარლამ კილასონიას** ხელმძღვანელობით მოასპარეზე გუნდმა ანთალიაში 4 საკონტროლო მატჩი ჩაატარა: რუსეთის „გაზოვიკს" 1:0 მოუგო, თურქმენეთის ნაკრებთან 0:2 წააგო, რუმინულ „ტირგუ მურეშს" კი 2:0 აჯობა.

შეკრების ბოლო საკონტროლო მატჩი კი „მეტალურგმა" გუშინ ჩაატარა; თუმცა ადრეც ვწერდით, რომ სპარინგ-პარტნიორი შესაძლოა შეცვლილიყო: წინასწარი ინფორმაციით, რუსთაველთა გუნდი ან სომხურ „ალაშკერტს" უნდა დაპირისპირებოდა, ან კიდევ - ყაზახურ „ატირაუს".

თუმცა, როგორც ხშირად ხდება ხოლმე ასეთ შეკრებებზე, მეტოქე შეიცვალა და „მეტალურგიც" თავის ბოლო სპარინგ-შეხვედრაში მაკედონიურ „ტურნოვოს" დაუპირისპირდა. ამ გუნდმა თავის ისტორიაში საუკეთესო შედეგი წინა სეზონში უჩვენა, როცა მესამე ადგილი დაიკავა და პირველად მოიპოვა ევროტურნირებზე ასპარეზობის უფლება. მიმდინარე სეზონში კი „ტურნოვო", ყველასათვის მოულოდნელად, ზამთრის პაუზას... ერთპიროვნული ლიდერის რანგში შეხვდა და ეს წარმატება, უპირველეს ყოვლისა, ახალი მთავარი მწვრთნელის, ახლო წარსულში მაკედონიის ნაკრების წამყვანი ფეხბურთელის **გორჩე სედლოსკის** უდიდესი დამსახურებაა.

„მეტალურგისა" და მაკედონიის ჩემპიონატის ლიდერის მატჩი ფრედ, 1:1 დამთავრდა. როგორც რუსთაველთა გუნდის პრესსამსახურიდან შევიტყვეთ, მთელი მატჩი „მეტალურგის" უპირატესობით წარმართულა, თუმცა „ტურნოვოს" მაინც მოუხერხებია შეხვედრის ბოლო წუთებზე ანგარიშის გათანაბრება. რუსთაველთაგან კი გოლი მეორე ტაიმის დასაწყისში გუნდის ახალწვეულმა, 25 წლის **ბესიკ ჩიმაკაძემ** გაიტანა.

თურქულ შეკრებაზე ბოლო საკონტროლო მატჩი „მეტალურგმა" ასეთი შემადგენლობით ჩაატარა: **ბედიაშვილი - ტვილდიანი (65. ექვთიმიშვილი), ვ. კილასონია, მახვილაძე, დ. საჯაია (65. თ. კაკულია) - დობროვოლსკი (65. კაკაშვილი), გიგაური - სეთურიძე, მიქაბერიძე (12. ქავთარაძე), ჩირგაძე (65. ი. გოგინაშვილი) - ჩიმაკაძე (65. ბ. ოქროპირიძე).**

„მეტალურგი" მეორე ეტაპისათვის მზადებას რუსთავში გააგრძელებს; 2014 წლის პირველ ოფიციალურ შეხვედრას კი 22 თებერვალს, თბილისის „დინამოსთან" ჩაატარებს.

**გია ტუხაშვილი**


ვარლამ კილასონიას გუნდმა თურქეთში 2 მატჩი მოიგო

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიონი

# მშრალი მოგება და ფრე ბრძოლაში

ამ ზამთრის მოსამზადებელ პერიოდში ქართული გუნდების ლამის აბსოლუტური უმრავლესობა თურქეთში გადიოდა შეკრებას და ამათგან, ყველაზე სოლიდური სპარინგ-პარტნიორები ბოლნისის „სიონს" ჰყავდა. **ლადო ბურდულის** გუნდმა ეს მართლაც ნაყოფიერი შეკრება გუშინ დაასრულა და დღეს უკვე სამშობლოში გამოემგზავრება.

მანამდე კი ბოლნისურმა გუნდმა ორ დღეში ორი საკონტროლო მატჩი ჩაატარა და ისე, როგორც წინა სამ შემთხვევაში (ყაზახური „ირტიში", ბელარუსის „ბატე", უნგრეთის მტკ), „სიონმა" ამჯერადაც მეტ-ნაკლებად სოლიდური სპარინგ-პარტნიორები შეარჩია - უნგრული „დიორი ეტო" და „უკრაინული „სევასტოპოლი".

...უნგრულ მტკ-სთან მატჩის შემდეგ, „სიონის" მთავარმა მწვრთნელმა გვითხრა, რომ მეტოქეების სიძლიერის მიუხედავად, ბოლო ორ საკონტროლო შეხვედრაში შეკრებაზე მყოფ ყველა ფეხბურთელს მიეცემოდა თავის გამორჩენის საშუალება. სწორედ ამიტომაც იყო „დიორი ეტოს" წინააღმდეგ „სიონის" შემადგენლობა იგივე მტკ-სთან მატჩთან შედარებით გადახალისებული.

თუმცა, ამ ყველაფრის მიუხედავად, ბოლნისელებმა შეძლეს და უნგრული ფეხბურთის ბოლო წლების ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი 1:0 დაამარცხეს. ეს ერთადერთი გოლი მატჩის მე-9 წუთზე „სიონის" 21 წლის ცენტრფორვარდმა, ბოლნისის საფეხბურთო სკოლის აღზრდილმა **ჯაბა უგულავამ** გაიტანა. აქვე, იმასაც დავძენთ, რომ ეს პერსპექტიული თავდამსხმელი წარმატებით აგრძელებს ბოლნისში უგულავების საფეხბურთო დინასტიას...

...უნგრული გუნდის წინააღმდეგ „სიონის" შემადგენლობაში ორი ისეთი ფეხბურთელი ასპარეზობდა, არცთუ ისე დიდი ხნის წინათ სწორედ „დიორი ეტოში" რომ გამოდიოდა - **გიორგი განუგრავა** და **ლაშა თოთაძე**. იმაზე კი აღარაფერს ვამბობთ, თუ ვინ იყო ბოლო წლებში „დიორი ეტოს" ლიდერი და საუკეთესო ფეხბურთელი, - ხვდებით, ალბათ რომ **რატი ალექსიძეზეა** ლაპარაკი.

„დიორი ეტოსთან" მატჩი 11 თებერვალს ჩატარდა და „სიონმა" ასეთი შემადგენლობით ითამაშა: **მერლანი - დ. ფოფხაძე (68. ზ. ლობჟანიძე), სვანიძე, თოთაძე, იმედაშვილი (64. ადამია) - განუგავა, სამხარაძე (27. ცხადაია/70. მამასახლისი) - უგრეხელიძე, აფციაური (74. მიკუჩაძე), ბიბილეიშვილი - უგულავა (46. ახალაია).**

აი, გუშინ კი, თურქული შეკრების ბოლო საკონტროლო მატჩში „სიონი" „სევასტოპოლს" დაუპირისპირდა, რომლის შემადგენლობაშიც უკვე მეოთხე სეზონია 27 წლის **მათე ღვინიანიძე** ასპარეზობს. თუმცა, გუშინ ქართველ მცველს თანამემამულეთა წინააღმდეგ არ უთამაშია.

როგორც უკრაინული გუნდის ოფიციალური ვებგვერდიდან შევიტყვეთ, „სიონს" თავის ბოლო საკონტროლო მატჩი ასეთი შემადგენლობით უთამაშია: **მერლანი - ქემოკლიძე, სვანიძე, აბრამიძე, იმედაშვილი (36. უგრეხელიძე) - ცხადაია(89. მამასახლისი), განუგრავა - ზ. ლობჟანიძე, აფციაური, კახელიშვილი (87. ბიბილეიშვილი) - მიკუჩაძე (54. ადამია).**

...მე-18 წუთზე „სიონმა" ორიგინალურად გაითამაშა „სტანდარტული" და **ზვიად ლობჟანიძემ** ანგარიში გახსნა. თუმცა, „სევასტოპოლმა" პირველივე ტაიმში შეძლო ანგარიშის გათანაბრება: გუნდის ერთ-ერთმა საუკეთესო ფეხბურთელმა, გამოცდილმა **ალექსანდრ კოვპაკმა** პენალტი ზუსტად შეასრულა.

მეორე ტაიმში მეტოქეებმა გოლები გაცვალეს: 55-ე წუთზე **გიორგი განუგრავამ** „სიონი" დააწინაურა, ექვს წუთში კი „სევასტოპოლმა" საპასუხო ბურთი გაიტანა და მატჩიც ფრედ, 2:2 დამთავრდა.

**გია ტუხაშვილი**



სიონის პრესსამსახურის ფოტო

ტორპედო

# ბერუაშვილი დაბრუნდა

ქუთაისის „ტორპედოს" კიდევ ორი ახალწვეული ჰყავს. პირველი **ლევან ბერუაშვილია**, რომელიც კლუბის ღირსებას ადრეც, რამდენიმე სეზონის განმავლობაში იცავდა. შემდეგ მან უცხოეთს მიაშურა და ჯერ უზბეკეთში თამაშობდა, ბოლოს კი - ბერძნულ კლუბებში. ბერუაშვილი სამშობლოში დაბრუნდა და ჩემპიონატის საგაზაფხულო ეტაპიდან კვლავ რიონისპირელთა მაისურას მოირგებს.

„ტორპედოს" კიდევ ერთი ახალწვეული **თორნიკე ჩადუნელია**. 22 წლის ცენტრალური მცველი საკონტროლო მატჩებში საკმაოდ კარგად გამოიყურებოდა. ეს ფეხბურთელი „ადელში", ბოლოს კი „ბეთლემში" თამაშობდა.

**მერაბ მამულაშვილი**

გაუგებრობა



ომარ მიგინეიშვილი

# რას ეძახის დინამო მიგინეიშვილს?

ცოტა არ იყოს, კურიოზული ამბავი შეემთხვა თბილისის „დინამოს" სამტრედიელ მეკარე **ომარ მიგინეიშვილს**. „ზესტაფონში", სადაც საქართველოს ჩემპიონატის მეორე ეტაპისთვის საფუძვლიანი გაძლიერება გადაწყვიტეს, კარგი მეკარის მიწვევაზეც დაფიქრდნენ და იმ დროისთვის გუნდიდან უკვე წასული **როინ კვასხაძის** ნაცვლად, თბილისიდან სწორედ მიგინეიშვილს უხმეს. ამ ტრანსფერს თითქოს ყველაფერი ხელს უწყობდა - მეკარე „დინამოს" ძირითადში ვერ ხვდებოდა და კლუბმა, უცხოეთში გაშვების იმედად, ტრანსფერზე დააყენა. უცხოეთიდან არა, მაგრამ მიგინეიშვილს ზესტაფონიდან კი დაუკავშირდნენ და იქ გადაბარგება შესთავაზეს. ტრანსფერი, ფაქტობრივად, მოგვარებული იყო, მაგრამ... კურიოზიც ამის შემდეგ მოხდა. ფეხბურთელი ახლა ისევ „დინამოშია". აი, რას გვეუბნება ის:

*„ზესტაფონის" მწვრთნელ გია გეგუჩაძესა და კლუბის ხელმძღვანელებთან ყველა სატრანსფერო საკითხზე შეთანხმებული ვიყავი, ერთმანეთში მორიგება არც კლუბებს გასჭირვებიათ, როცა ზესტაფონში, სრულიად შემთხვევით, გაჩნდა ეჭვი, რომ ფეხბურთელს ერთ სეზონში ერთი ქვეყნის სამ გუნდში თამაში არ შეეძლო. საქმის გარკვევა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში ვცადეთ, თუმცა იქიდან ზუსტი პასუხი ვერ მივიღეთ. მერე გენერალური მდივანი რევაზ არველაძე უეფას დაუკავშირდა და იქაურ მოხელეებს საქმის ვითარება აუხსნა. უეფადან კი შემოთვალეს - მიგინეიშვილმა სეზონი თბილისის „დინამოში" უნდა დაამთავროსო".*

სხვა რა გზა იყო - „ზესტაფონმა", მიგინეიშვილის ნაცვლად, სერბი მეკარე დაიმატა, თავად გულდაწყვეტილი ფეხბურთელი კი თბილისში დაბრუნდა და დღემდე „დინამოს" დუბლებში ვარჯიშობს, რადგან ძირითადი გუნდი აქამდე თურქულ შეკრებაზე იყო, მომავალი კვირიდან კი ომარმა, შესაძლოა, მთავარ „დინამოში" გადაინაცვლოს. არადა, ნახევარი წლის წინ ქუთაისის „ტორპედოდან" თბილისისკენ მომავალი მეკარე რას იფიქრებდა, თუ მისი საქმეები ასე აიწეწებოდა. „ტორპედოში" ყოფნისას ხომ მისი ერთი ოცნება ახდა და **თემურ ქეცბაიამ** საქართველოს ნაკრებში მიიწვია. ეროვნულ გუნდში დებიუტი მას 2013 წლის 2 მარტს, ირლანდიასთან 0:4-ზე წაგებულ ამხანაგურ შეხვედრაში ჰქონდა. სადებიუტო მატჩისთვის 0:4 ყურს ცუდად კი ხვდება, მაგრამ იმ მატჩში მიგინეიშვილმა გუნდი კიდევ რამდენიმე გოლისგან იხსნა.

*„წინა სეზონი რომ დამთავრდა, ქუთაისის „ტორპედოსთან" კონტრაქტი დამიმთავრდა, - ჰყვება მეკარე, - კლუბის უფროსობასთან მოლაპარაკება კი დავიწყე, მაგრამ არაფერი გამოვიდა, პირობებზე ვერ შევთანხმდით. თანაც, იმ დროისთვის „დინამოც" მიწვევდა და თბილისში წასვლა გადავწყვიტე".*

**- „დინამოში" ნახვედით, მაგრამ მას შემდეგ ფეხბურთის ქომაგს მეკარე მიგინეიშვილი, ცოტა არ იყოს, დაავიწყდა,** - ვკითხეთ 29 წლის გოლკიპერს.

- ნახევარი სეზონი სკამზე გავატარე, არადა, „დინამოში" ამისთვის ნამდვილად არ გადავსულვარ. ისე, ძირითადი შემადგენლობიდან გიორგი ლორიას ამოგდება ძნელი ყოფილა. „დინამოში" რომ მივდიოდი, მაშინ მწვრთნელი დუშან უჰრინი იყო. მან რამდენჯერმე მითხრა - თავის გამორჩენის შანსს აუცილებლად მოგცემო, მაგრამ ძირითადში მოხვედრას საშველი არ დაადგა. მერე უჰრინიც წავიდა გუნდიდან და სხვას ვის დაველაპარაკებოდი?! არადა, ქუთაისიდან რომ მოვდიოდი, მართლაც კარგ ფორმაში ვიყავი, მუდმივი სათამაშო პრაქტიკა მქონდა, ეროვნულ გუნდშიც გამომიძახეს...

**-...ცოტა ხნის წინ კი „ზესტაფონში" გადასვლას აპირებდით. რა გარანტია გქონდათ, რომ გია გეგუჩაძის ხელში ძირითად შემადგენლობაში მოხვდებოდით?**

- გარანტია არ მქონდა, მაგრამ რატომღაც მჯეროდა, რომ „ზესტაფონში" მთავარი მეკარე ვიქნებოდი. ჩაშლილ ტრანსფერამდე გეგუჩაძეს რამდენჯერმე ველაპარაკე, მისი ხელმძღვანელობით ვვარჯიშობდი კიდეც და მალევე დავრწმუნდი, რომ ძირითადში ვიქნებოდი. ისე კი „ზესტაფონს" ორი კარგი მეკარე ჰყავს - კუპატაძე და მეშველიანი პერსპექტიული ბიჭები არიან.

**- ეგ კი, მაგრამ, „ზესტაფონში" რომ ვარჯიშობდით, არავინ იცოდა, რომ ერთ სეზონში ეს თქვენთვის მესამე გუნდში იქნებოდა?**

- იცით, ადრე ყოფილა შემთხვევა, როცა ფეხბურთელებს სეზონში სამი გუნდი გამოუცვლიათ, მაგრამ ეს იმიტომ მომხდარა, რომ რომელიმე კლუბი შუა სეზონისას დაშლილა და ფეხბურთელებისთვისაც თამაშის სხვაგან გაგრძელების უფლება მიუციათ. თანაც, „ზესტაფონში" რომ მივდიოდი, ეროვნულ ჩემპიონატში „დინამოს" მაისურით ერთი მატჩიც არ მქონდა ჩატარებული, მხოლოდ თასის ერთ შეხვედრაში მქონდა „დინამოში" ნათამაშები. თუმცა უეფამ არც ეს გაითვალისწინა და ისე მოხდა, რომ „დინამოში" დაბრუნებამ მომიწია.

**- „დინამო" შეკრებიდან დაბრუნდა და ახლა თუ ხართ მზად, რომ ლორიას ღირსეული კონკურენცია გაუწიოთ?**

- ექვსი თვის უთამაშებელი ვარ და ცხადია, ცოტა გამოჭირდება, მაგრამ „დინამოს" ძირითადში მოსახვედრად ცდას არ დავაკლებ. გუნდი რომ თურქეთში იყო, დუბლებთან ერთად ვვარჯიშობდი, თუმცა სათამაშო პრაქტიკა მაინც სხვაა და ეს მაკლია სწორედ. ისე, „კარის გრძნობა" დაკარგული არ მაქვს და იმედია, ფორმასაც მალე აღვიდგენ.

**- „დინამოსთან" კონტრაქტი როდემდე გაქვთ?**

- სეზონის ბოლომდე.

**- სეზონის ბოლოს კი მაინც „ზესტაფონში" წახვალთ?**

- არ ვიცი, ამაზე ლაპარაკი ჯერ ძალიან ადრეა, თან ჯერ „დინამოს" ხელმძღვანელობასთანაც არ მილაპარაკია.

**კობა ინასარიძე**

პირველი ლიგა. სამზადისი

# ჟორჟიკაშვილი ნულებით იწყებს, სანაია უშვებს და იმატებს

გუშინ ბათუმის „დინამომ" თურქულ შეკრებაზე პირველი სპარინგი გამართა. **კობა ჟორჟიკაშვილის** გუნდი უნგრეთის უმაღლესი ლიგის აუტსაიდერ „კაპოშვარს" შეხვდა და უგოლოდ დაშორდა. მატჩზე ინფორმაცია კლუბის პრესატაშე **ამირან მამალაძემ** მოგვაწოდა. ბათუმელებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშეს: **ალავიძე - ქორიძე, გავაშელიშვილი, ჟვანია, სუხიაშვილი - გოგიტიძე, მახარაძე, თევდორაძე, ჩირიკაშვილი, ფიფია - სიხარულიძე.** შეცვლაზე შევიდნენ: **მუჯირი, ჭკუასელი, ტეტუნაშვილი, აბუსელიძე, ვარშანიძე, კიკნაველიძე.**

ზედმეტი ყვითელი ბარათის გამო, მეორე ტაიმში **ამირან მუჯირი** მოედნიდან გააძევეს. მაგრამ, წინასწარი მოლაპარაკების შედეგად, ბათუმელებს მისი შეცვლის უფლება ჰქონდათ და მოედანზე **ნოდარ კიკნაველიძე** შევიდა.

*„აქ ყველა პირობა გვაქვს საიმისოდ, რომ მეორე წრისთვის კარგად მოვემზადოთ. დღითიდღე ვარჯიშები მრავალფეროვანი ხდება და დატვირთვებიც იზრდება. გუნდი საგრძნობლად გაძლიერდა, დავიმატეთ გამოცდილი ფეხბურთელები და ეს იმის მანიშნებელია, რომ მეორე წრიდან კიდევ უფრო ანგარიშგასაწევი ძალა ვიქნებით. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ჩვენთან მეგობრული გარემოა, გუნდის შესაკრავად კი ეს ფაქტორი აუცილებელია. მჯერა, რომ ასეთი შემადგენლობითა და განწყობით დასახულ მიზანს მივაღწევთ"*, - ამბობს ბათუმელთა მცველი **გიგა ჟვანია.**

პირველი ლიგის B ზონაში ბათუმელთა კონკურენტი „სამტრედია" კი საკუთარ სტადიონზე ემზადება. ზამთრის სატრანსფერო პერიოდში გუნდი ბომბარდირმა **გიორგი ერისთავმა** დატოვა და თბილისის „დინამოში" გადავიდა.

ამას გარდა, „სამტრედიიდან" წავიდნენ **ლაშა ჩალაძე, გიორგი გურეშიძე** და **გიორგი ხვედელიძე**. თუმცა, მატებაც სოლიდურია: გუნდის ახალი მთავარი მწვრთნელი გამოცდილი **გელა სანაიაა.** გუნდში დაიმატეს მცველი **თორნიკე შალიკაშვილი**, ნახევარმცველი **აკაკი ჯანელიძე**, ამავე პოზიციის მოთამაშეები - **გიორგი მელქაძე** და **შოთა კერძევაძე** (ორივე მარტვილის „მერანი"), თავდამსხმელები - **ილია პავლიაშვილი** („ვიტ ჯორჯია") და **ზაურ ხაჭიპერაძე**. ეს უკანასკნელი იმერულ გუნდში 2009-10 და 2012-13 წლებში ასპარეზობდა და 65 მატჩში 21 გოლი გაიტანა. კიდევ ერთი ახალწვეულია თავდამსხმელი **ზვიად ქანთარია** - თბილისის „დინამოსა" და საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების ყოფილი თავდამსხმელი, უფროსი **დუშან უჰრინის** ერთ-ერთი ფავორიტი. მან „დინამო" ორი წლის წინ დატოვა. ტრავმების შემდეგ, ფორმის აღსადგენად, ის ფოთის „კოლხეთში" თამაშობდა.

„სამტრედიამ" საკუთარ მოედანზე რამდენიმე საკონტროლო მატჩი გამართა: 31 იანვარს ფოთის „კოლხეთთან" 2:2 ითამაშა (გოლები - **კიკალიშვილი, ბაგაშვილი**); 7 თებერვალს ხონის „იმერეთი" 2:1 დაამარცხა (**ალავიძე, ბაგაშვილი**), ხოლო გუშინ წყალტუბოს „სამგურალს" 5:2 მოუგო. თავი გამოიჩინეს **ხაჩიპერაძემ** (ჰეთ-თრიკი), **ჯანელიძემ** და **ქანთარიამ.**

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქტუალურ თემაზე

# გია ისიანი
# სულ ვამბობდი, რომ ჩვენი ერთიანობის გარეშე არაფერი გამოვიდოდა

## გორის დილას მენეჯერისთვის სახელმწიფოს მხრიდან ფეხბურთით დაინტერესება დამაიმედებელია



ია ისიანი

**შარშან ფეხბურთის განვითარების სახელმწიფო პროგრამა სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილე აკაკი ლოდიამ დაამუშავა. ფეხბურთის ფედერაციის მიერ პრემიერ ირაკლი ღარიბაშვილთან შეხვედრისას წარმოდგენილ პროგრამასა და მას შორის საკმაო მსგავსებაა. ისიც 3-წლიანი გეგმაა, რომელიც უმაღლესი და პირველი ლიგის კლუბების გარანტირებულ დაფინანსებას გულისხმობს და იქაც ლაპარაკია ფეხბურთის სოციალურ მნიშვნელობასა და ამ სფეროში ადამიანების დასაქმებაზე.**

**ერთ-ერთი პირველი კი, ვინც სახელმწიფოს ფეხბურთის განვითარების საკუთარი პროგრამა გააცნო, გია ისიანი გახლდათ. შარშან თებერვალში „ლელოში“ მისი პროგრამა გამოქვეყნდა. სხვებისგან ის იმით განსხვავდება, რომ აქცენტი გადატანილია ბიზნესისა და სახელმწიფო კლუბებს შორის ურთიერთობაზე - როგორ უნდა იქცნენ ეს კლუბები საქმიანი წრეებისთვის საინტერესო სუბიექტებად. გორის „დილას“ მენეჯერი კმაყოფილია, რომ ქვეყნის პრემიერ-მინისტრი ფეხბურთის განვითარებით დაინტერესდა.**

**ისიანი წლების განმავლობაში მუშაობდა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასა და თბილისის „დინამოში“, თანამედროვე ფეხბურთსა და უეფას ლიცენზირების მოთხოვნებს კარგად იცნობს და პროგრამაც სწორედ ამის გათვალისწინებით დაწერა.**

**გარკვეულ ეტაპამდე, ის საბიუჯეტო კლუბების არსებობას ემხრობა და მიიჩნევს, რომ სახელმწიფომ ისინი უნდა დააფინანსოს მანამ, ვიდრე კომერციულ რელსებზე გადავლენ. ისიანს ბოლოდროინდელ ამბებზე ვესაუბრეთ:**

- გახარებული ვარ, რომ სახელმწიფო ფეხბურთით დაინტერესდა. ჩვენ უკვე გვაქვს ინფორმაცია, რომ ეს არ იყო მხოლოდ ინტერესი, საქმე რეალურად დაიძრა და არსებობს პროგრამები. დარწმუნებული ვარ, ეს ყველაფერი კლუბების გაერთიანებამ და აქტიურობამ გამოიწვია. სულ ვამბობდი, რომ ჩვენი ერთიანობის გარეშე არაფერი გამოვიდოდა. ჩემი აზრით, ფეხბურთის განვითარებისთვის საჭიროა კანონი სპორტის შესახებ, რომელიც სპორტული სამყაროსა და სახელმწიფოს ურთიერთობას დაარეგულირებს. ეს იქნება სპონსორების დაინტერესებაზე მაქსიმალური ზრუნვის საფუძველი.

**- ამით პრობლემა მოგვარდება?**

- ეს მხოლოდ პროცესის ნაწილია. აუცილებელია ამ საქმეში მასმედიის, ტელევიზიების, ბეჭდური თუ ინტერნეტგამოცემების ჩართულობაც. სამწუხაროდ, ამას ბევრი ვერ აცნობიერებს. მიმაჩნია, რომ მასმედიის წარმომადგენლების კომისიაში ჩართვა არანაკლებ საჭიროა, ვიდრე კლუბების მფლობელების, იურისტების, ეკონომისტების, ბიზნესმენების და ასე შემდეგ. დღეს, სამწუხაროდ, საფეხბურთო მიმოხილვა მხოლოდ საზოგადოებრივ მაუწყებელზე დარჩა, სხვა არხებზე ჩვენი ჩემპიონატი და, ზოგადად, ქართული ფეხბურთი არ შუქდება და როგორ უნდა გაიგოს ინტერნეტსა და ტელევიზიაზე მუჯაჭვულმა ახალმა თაობამ, რა არის ქართული ფეხბურთი? ამიტომ, ჩემი აზრით, სახელმწიფო დაფინანსების ნაწილი სოლიდური გადაცემების მომზადებასაც უნდა მოხმარდეს.

**- წმინდა სპორტული პრობლემებიდან რომელს გამოყოფდით?**

- პრობლემურია სპორტული ინვენტარის საკითხი, რომელსაც საქართველოში თითქმის არ ამზადებენ. ამიტომ, მისი შემოტანა და საკმაოდ სოლიდური გადასახადების გადახდა გვიწევს. გამომდინარე აქედან, აუცილებლად მიმაჩნია, რომ ასეთ პროდუქციაზე საბაჟო მოსაკრებელი უნდა შემცირდეს, გუნდები ელემენტარული ინვენტარით რომ იყონ უზრუნველყოფილნი. ქართული ფეხბურთის ერთ-ერთი უმძიმესი პრობლემა ისიცაა, რომ მოთამაშეები დაზღვეულები არ არიან. არადა, საკლუბო ცხოვრებაში ჩახედული ადამიანები დამეთანხმებიან, რომ ამ პრობლემის მოგვარებით კლუბსა და მოთამაშეს ბევრი ხარჯი მოეხსნებათ, ხოლო ტრავმის გამო ნიჭიერი მოთამაშე ფეხბურთს თავს უფულობის მიზეზით ალარ დაანებებს.

**- პრემიერისა და ფედერაციის ხელმძღვანელთა შეხვედრის შემდეგ შევიტყვეთ, რომ საფეხბურთო სტადიონების მოწესრიგება რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრ დავით ნარმანიას დაევალა. ამ კუთხით რა არის მოსაგვარებელი?**

- თუ ჩვენი სტადიონები და ბაზები მოწესრიგდება, კლუბები ბევრად უფრო აზრიანად და მშვიდად იმუშავებენ. დღეს კი, თავადაც იცით, ბევრი კლუბი საკუთარ სტადიონზე ვერ თამაშობს, სხვა ქალაქებში თამაშსა და ვარჯიშებში კი სოლიდურ ფულს ხარჯავენ. შედეგად, კლუბების ბიუჯეტები არაეფექტურად იხარჯება. საკუთარი სტადიონებითა და ბაზებით ისინი ზედმეტი ხარჯისგან გათავისუფლდებიან. გამოვყოფდი უსაფრთხოების საკითხებს - მატჩის მონაწილეთა დაცულობისთვის აუცილებელია, რომ პოლიციამ ტრიბუნებზე კონტროლი გაამკაცროს. კიდევ ბევრი საკითხია მოსაგვარებელი... სამწლიანი დაფინანსების გარანტიებზე ადრეც ვილაპარაკე. დღევანდელი მიდგომებით მივიღეთ პროფესიულად გაუმართავი ორგანიზაციები, ნახევარწლიანი გუნდები, რომელთაც არ აქვთ განვითარების პროგრამა, მიზანი, ბავშვთა ფეხბურთის პროგრამა, ინფრასტრუქტურა და საერთოდ, მისთვის მორგებული სტრატეგია. პროექტის ამოქმედება კი ვითარებას რადიკალურად შეცვლის - განვითარდებიან კლუბები, გაიზრდებიან მოთამაშეები, ამაღლდება ეროვნული ჩემპიონატის დონე და ნაკრებები შევსებას რეგიონებიდანაც მიიღებენ. ამას კი მოჰყვება ის, რომ შეწყდება დაბალი დონის ლიგებში ჩვენი ახალგაზრდების მიგრაცია.

**მერაბ მამულაშვილი**

ჩიხურა

# ესეც ორი მილიონი!

## ბიუჯეტი ზრდის პერსპექტივით და შეთანხმება ფეარ პლეიზე



ჩიხურას სპორტული დირექტორი ბერიკა შუკაკიძე

გავრცელებული ხმები, თითქოს „ქართუ ჯგუფი“ საჩხერის „ჩიხურას“ აღარ დააფინანსებდა, არ დადასტურდა. კლუბის გენერალურმა დირექტორმა **ბერიკა შუკაკიძემ** გვითხრა, რომ ბიუჯეტი უკვე დამტკიცებულია. მეტიც - შესაძლოა, ის გაიზარდოს კიდეც.

„მალე ჩვენს ანგარიშზე ორ მილიონამდე ლარი ჩაირიცხება და ამით გაქარწყლდება ხმები, თითქოს, ბიძინა ივანიშვილი კლუბის დაფინანსებას არ აპირებდა. სწორედ ამის ხარჯზე მოვახერხეთ დინამოელების - გრიგალაშვილისა და ხმალაძის დამატება, რაც გუნდს საგრძნობლად გააძლიერებს. შესაძლოა, ბიუჯეტი კიდევ გაიზარდოს, რადგან ევროთასებზე გასვლის შემთხვევაში, მეტი ხარჯი გვექნება და როგორც გვითხრეს, საჭიროების შემთხვევაში, ამასაც გაითვალისწინებენ“, - ამბობს შუკაკიძე.

„ჩიხურას“ გენერალურმა დირექტორმა კიდევ ერთი სიახლე გაგვანდო: „ახლა ბევრს ვლაპარაკობთ ქართულ ფეხბურთში არსებულ მძიმე მდგომარეობაზე. ფეარ პლეის პრინციპების დასაცავად, ჩვენ და გორის „დილამ“ პირველი ნაბიჯი გადავდგით და მემორანდუმი გავაფორმეთ - ერთმანეთის წინააღმდეგ აკრძალულ ხერხებს არ გამოვიყენებთ, არ შევეცდებით მსაჯების კეთილგანწყობის მოპოვებას და დავიცავთ მატჩის სპორტულ სულისკვეთებას. ეს ყველაფერი დეკლარაციულ ხასიათს ატარებს და გვსურს, ქართულ ფეხბურთში არსებულ მანკიერ მოვლენებს გავემიჯნოთ. დარწმუნებული ვარ, სხვა კლუბებიც მოგვბაძავენ“.

შუკაკიძემ კერძო კლუბების მეპატრონეებისა და პრემიერ **ირაკლი ღარიბაშვილის** შეხვედრაზეც გვითხრა: „პრემიერი კლუბების პრობლემებით დაინტერესდა. ქართული ფეხბურთის აღორძინების პროგრამაზე სახელმწიფო კომისია იმუშავებს, რომელიც, დაახლოებით, ერთ თვეში დაკომპლექტდება. იმედია, მასში კერძო კლუბების წარმომადგენლებიც მოვხვდებით, ყველა პრობლემა და დეტალი რომ გავითვალისწინოთ. ჩემი აზრით, პაციენტს სანამ ვუმკურნალებთ, მას ზუსტი დიაგნოზი უნდა დავუსვათ. ანუ, უპირველესად, არსებული მდგომარეობის შეფასება გვჭირდება. ფეხბურთი ფულით ისედაც აღორძინდება, მაგრამ თუ არ გავიგეთ, რა იწვევს პრობლემებსა და რეგრესს, სახელმწიფოს სახსრები ეფექტურად ვერ დაიხარჯება და მეტი ფული დაგვჭირდება. ჩემი აზრით, ძალიან სერიოზული მიხედვა სჭირდება ინფრასტრუქტურას, რომელიც ახლა საშინელ მდგომარეობაშია. აუცილებელია, თანხები გამოიყოს მწვრთნელთა განათლებასა და ბავშვთა გაზრდაზე. ფეხბურთი სოციალური მოვლენაა და რაც მეტი ბავშვი დაკავდება, მეტი ჯანმრთელი ახალგაზრდა გვეყოლება და უკეთესი თაობები გაიზრდებიან. დღეს კი ბევრს ფეხბურთზე შესვლის საშუალება არ გააჩნია“.

**მერაბ მამულაშვილი**

ქართველმა სეგუნდა B-ში ითამაშა



იაკობ აფხაზავა ლეონესას ვარჯიშზე

# ესპანელთა ქართული პროექტი: წარმოება პლუს საფეხბურთო სკოლა

კვირას, 9 თებერვალს, **იაკობ აფხაზავამ** ესპანეთში პირველი ოფიციალური შეხვედრა ჩაატარა. მან სეგუნდა B-ს (რანგით მესამე ლიგა) „კულტურალ ლეონესას“ ფორმა მოირგო. აფხაზავას ჩვენი გულშემატკივარი არ იცნობს. ის 1991 წლის 30 აპრილს თბილისში დაიბადა, ამპლუით თავდამსხმელია. 2009-10 წლებში თბილისის „ლოკომოტივში“ 12 მატჩი ჩაატარა, 2012-13 წლებში ფოთის „კოლხეთში“ წავიდა, სადაც მხოლოდ 5 შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა.

ესპანურ სინჯებზე ის მენეჯერმა **სერგო ქუთათელაძემ** წაიყვანა. აფხაზავამ კონტრაქტი უკვე გააფორმა, სამუშაო ვიზის მისალებას კი დიდხანს ელოდა... და ჰა, პირველი მატჩიც - კვირას ის „ლოგრონიესის“ წინააღმდეგ ათამაშეს. აფხაზავა მოედანზე 87-ე წუთზე გამოჩნდა და რა გასაკვირია, რომ მცირე დროში ვერაფერი მოასწრო.

რაც შეეხება სეგუნდა B-ს, აქ უკვე 24 ტური ჩატარდა. „ლეონესა“ 30 ქულით მე-11 ადგილზეა და სეგუნდა დივიზიონში გადამსვლელ ოთხეულს 8 ქულით ჩამორჩება.

აფხაზავას გვარი ესპანურ პრესაში სხვა კონტექსტშიც გაჟღერდა: ინტერნეტ-გამოცემა diariodeleon.es წერს, რომ ეს „ლეონესასა“ და ქართულ მხარეს შორის ურთიერთობის დასაწყისია. საქმე ისაა, რომ ესპანელები საქართველოში საფეხბურთო სკოლის დააფუძნებას გეგმავენ. კლუბის მენეჯერი **ფელიპე ლამასარესი** „ლეონესას“ უმსხვილეს აქციონერ **ადოლფო ლოპესთან** ერთად საქართველოში სამდღიანი ვიზიტით იმყოფებოდა და თბილისში პროექტებიც შეათანხმა.

„დავიწყეთ მოლაპარაკებები საქართველოს სხვადასხვა კომპანიებთან და სპორტულ ორგანიზაციებთან ეკონომიკური და სპორტული მიმართულებით , რათა საბჭოთა კავშირის ამ ყოფილ რესპუბლიკაში გავხსნათ წარმოებები. შემოსავლებით კი მომავალი წლის გაზაფხულზე საფეხბურთო სკოლას დავაფუძნებთ. პროექტის ფარგლებში, საქართველოში ჩამოვა „ლეონესას“ ტექნიკური პერსონალი, რათა საფეხბურთო სკოლის ესპანური მართვის მოდელი საქართველოში დანერგოს. პროექტის განხორციელების ერთ-ერთი ინიციატორია იაკობ აფხაზავას მამა. ეს პროექტი გახდება გარანტია იმისი, რომ კლუბი ნიჭიერი მოთამაშეებით მომარაგდება და მისი წარმატებებისა და სტაბილური არსებობის გარანტიაც გახდება“, - განაცხადა ლამასარესმა diariodeleon.es-თან ინტერვიუში, თუმცა არ დააკონკრეტა, რომელ ქართულ კომპანიებთან და სპორტულ ორგანიზაციებთან გამართა მოლაპარაკებები.

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანიის თასი. 1/4 ფინალი

# ბაიერნმა ჰამბურგსაც გადაუარა

## ლევერკუზენი კაიზერსლაუტერნთან შერცხვა



მიუნხენელებმა ჰამბურგელებს ხუთი უპასუხო გოლი გაუტანეს

**აინტრახტი–დორტმუნდი 0:1**

**გოლი:** 0:1 ობამეიანგი (83)

**აინტრახტი (4-1-2-1-2):** ტრაპი - ს. იუნგი, სამბრანო, მადლუნგი, ჯაპკა - რუსი - როდე, ფლუმი (83. ვაისი) - ა. მაიერი - აიგნერი, კადლეცი (46. როზენტალი).

**დორტმუნდი (4-2-3-1):** ვაიდენფელერი - პიშჩეკი, მ. ფრიდრიხი, სოკრატისი, შმელცერი - კელი, ნ. შაჰინი - ობამეიანგი (94. შიბერი), მხითარიანი (89. ი. ჰოფმანი), გროსკროიტცი - ლევანდოვსკი.

**გაფრთხილება:** რუსი, როდე, ფლუმი - სოკრატისი, შმელცერი, ობამეიანგი

**მაყურებელი:** 51 500

**12 თებერვალი**

**ჰოფენჰაიმი–ვოლფსბურგი 2:3**

**გოლები:** 0:1 როდრიგესი (26-პენ), 1:1 რობერტო ფირმინო (39), 1:2 როდრიგესი (44-პენ), 1:3 დოსტი (64), 2:3 რობერტო ფირმინო (91)

**ჰოფენჰაიმი (4-2-3-1):** კასტეელსი – შტრობლი, ზიულე, ვესტერგაარდი, ბეკი – რუდი, პოლანსკი (67. შიპლოკი) – ფოლანდი (82. ჰამადი), სალიჰოვიჩი, ელიუნუსი (61. მოდესტე) – რობერტო ფირმინო.

**ვოლფსბურგი (4-2-3-1):** ბენალიო – ოხსი (46. მედოიევიჩი), ნალდო, კნოხე, როდრიგესი – ლუის გუსტავო, ტრეში – არნოლდი (80. ოლიჩი), დე ბრუინი, პერიშიჩი – დოსტი (74. მ. შეფერი).

**გაფრთხილება:** ფოლანდი, პოლანსკი, შიპლოკი – ლუის გუსტავო

**გაძევება:** როდრიგესი (70. ვოლფსბურგი)

**მაყურებელი:** 13 347

**ლევერკუზ-კაიზერსლ. 0:0 (0:1 დ.დ.)**

**გოლი:** 0:1 იენსენი (114)

**ლევერკუზენი (4-1-2-2-1):** ლენო – დონატი, ვოლშაიდი, თოფრაქი, გუარდადო – როლფესი – ლ. ბენდერი (66. ჰეგელერი), ჩანი – სემი (66. კასტრო), სონი – დერდიოკი (34. კისლინგი).

**კაიზერსლაუტერნი (4-2-3-1):** ზიპელი – დიკი, შიმუნეკი (111. ჰაინტცი), ტორეხონი, ლიოვე – ალუში, კარლი – მატმური, რინგი (71. იდრისუ), იენსენი – ოუშენი (85. ლაკიჩი).

*98-ე წუთზე იდრისუმ (კაიზერსლაუტერნი) ვერ გაიტანა პენალტი (ააცილა)*

**გაფრთხილება:** სემი, ჩანი, თოფრაქი, სონი – ლიოვე, კარლი, ზიპელი, ლაკიჩი

მაყურებელი: 25 244

**ჰამბურგი–ბაიერნი 0:5**

**გოლები:** 0:1 მანჯუკიჩი (22), 0:2 დანტე (26), 0:3 რობენი (54), 0:4 მანჯუკიჩი (74), 0:5 მანჯუკიჩი (76)

**ჰამბურგი (4-2-1-2-1):** ადლერი – ლამი, თაა, ვესტერმანი, იანსენი – ბადელი (72. ბეი), რინკონი – ჩალჰანოღლუ (71. ზუა) – ოლა ჯონი, ილიჩევიჩი – ვან დერ ვაარტი (40. არსლანი).

**ბაიერნი (4-1-4-1):** ნოიერი – რაფინია, ჟ. ბოატენგი (49. ხავი მარტინესი), დანტე, ალაბა – ლამი (65. შვაინშტაიგერი) – რობენი, ტ. კროოსი, ტიაგო ალკანტარა (64. შაჩირი), გიოტცე – მანჯუკიჩი.

**გაფრთხილება:** ლამი, არსლანი, რინკონი

**მაყურებელი:** 57 000

**ნახევარფინალი. 16 აპრილი**

**ბაიერნი-კაიზერსლაუტერნი**

**დორტმუნდი-ვოლფსბურგი**

როგორც მოსალოდნელი იყო, მიუნხენის „ბაიერნმა" „ჰამბურგი" იოლად გაანადგურა და გერმანიის თასის ნახევარფინალში გავიდა. ხუთიდან სამი გოლი **მარიო მანჯუკიჩის** ანგარიშზეა და ისიც ალსანიშნავია, რომ **ხოსეპ გვარდიოლამ ტონი კროოსი** ძირითად შემადგენლობაში დააბრუნა. ხანგრძლივი პაუზის შემდეგ ითამაშა გამოჯანმრთელებულმა **ბასტიან შვაინშტაიგერმაც**. გერმანიის თასის მეოთხედფინალს უსენსაციოდ არ ჩაუვლია: ბუნდესლიგაში მეორე ადგილზე მყოფი „ლევერკუზენი", მოულოდნელად, მეორე ბუნდესლიგის წარმომადგენელ კაიზერსლაუტერნთან დამარცხდა და თასის გათამაშებას დაემშვიდობა.

გერმანიის თასის მეოთხედფინალი სამშაბათს, ფრანკფურტის „აინტრახტისა" და დორტმუნდის „ბორუსიას" დაპირისპირებით დაიწყო - **იურგენ კლოპის** გუნდმა მეტოქე მატჩის მინურულს, **პიერ-ემერიკ ობამეიანგის** გოლით გატეხა და ნახევარფინალში გაალწია. დორტმუნდელებმა გამარჯვების გოლი ასე გაიტანეს: **ჰენრიხ მხითარიანმა** კუთხური ჩააწოდა, სებასტიან კელმა ბურთს მიმართულება შორეული ძელისკენ შეუცვალა, სადაც გაბონელმა ობამეიანგმა ყველას აჯობა და ბურთი „აინტრახტის" კარში მოკლე დისტანციიდან, თავით გადაგზავნა.

ამ გოლით „დორტმუნდს" მთელი მატჩის გარჯა გვიან, მაგრამ მაინც დაუფასდა. მიუხედავად იმისა, რომ „ბორუსია" მისთვის უჩვეულოდ ასაკოვანი ფეხბურთელებით თამაშობდა, კლოპის შეგირდებს დაღლა ერთი წუთითაც არ დასტყობიათ და ტრადიციულად ბევრს დარბოდნენ.

რაკი **მატს ჰუმელსი, ნევენ სუბოტიჩი, ილქაი გიუნდოგანი, მარკო როისი, სვენ ბენდერი** და **იაკუბ ბლაშჩიკოვსკი** ტრავმირებულები არიან, დორტმუნდელთა ძირითად შემადგენლობაში ვეტერანები, 33 წლის **სებასტიან კელი** და 34 წლის **მანუელ ფრიდრიხი** ვიხილეთ. შესაბამისად, „ბორუსიას" ძირითადი შემადგენლობის საშუალო ასაკი 28.05 წელი გახლდათ, რაც კლოპის ფორმაციის „დორტმუნდისთვის" რეკორდია.

ფრანკფურტელებს კაპიტანი **პირმინ შვეგლერი** აკლდათ, საუკეთესო საგოლე მომენტი კი „აინტრახტში" **სებასტიან როდემ**, 30-ე წუთზე ვერ გამოიყენა. მთელი მატჩის განმავლობაში მძაფრი დუელი მიდიოდა დორტმუნდელთა გოლეადორ **რობერტ ლევანდოვსკისა** და „აინტრახტის" მცველ **კარლოს სამბრანოს** შორის. მათ ერთმანეთს რამდენჯერმე „შეუღრინეს", მატჩის შემდეგ კი „ბორუსიას" მენეჯერმა **მიხაელ ცორკმა** თქვა, მსაჯს სამბრანო აუცილებლად უნდა გაეძევებინაო.

თუმცა, არბიტრმა სამრანო რომ არ გააძევა, ეს კლოპისთვის და მისი შეგირდებისთვის უკვე სულ ერთია, რადგან „ბორუსია" გავიდა ნახევარფინალში, რომელიც 15 და 16 აპრილს გაიმართება.

*„შესვენებაზე ლევანდოვსკის ისე ვარიგებდი, როგორც მამა დაარიგებს საკუთარ შვილს. ვეუბნებოდი, სიმშვიდე შეუნარჩუნე, შენი პროვოცირება უნდათ-მეთქი,"* - ეს კლოპის სიტყვებია.

ალსანიშნავია, რომ „ბორუსია" ბუნდესლიგის მომდევნო ტურშიც „აინტრახტს" ეთამაშება.

**გოტფრიდ ლენცი**

ჰამბურგი



ბერტ ვან მარვეიკი და ფელიქს მაგათი

# ვან მარვეიკი თუ მაინც მაგათი?

## ჰამბურგში გადაწყვეტილების მიღება ჭიანურდება

„ჰამბურგის" მთავარი მწვრთნელი გუშინ, „ბაიერნთან" გერმანიის თასის მეოთხედფინალურ შეხვედრაშიც **ბერტ ვან მარვეიკი** გახლდათ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ უმძიმეს კრიზისში მყოფ ჩრდილოგერმანულ კლუბს ბუნდესლიგის მომდევნო ტურშიც 61 წლის ჰოლანდიელი სპეციალისტი უხელმძღვანელებს.

„ჰამბურგის" ხელმძღვანელების გარკვეულ ნაწილს **ფელიქს მაგათის** დანიშვნა უნდა, მაგრამ ამისათვის „დესპოტ ფელიქსს" დირექტორთა საბჭოს წევრების უმრავლესობამ უნდა დაუჭიროს მხარი. ვან მარვეიკი თუ მაგათი - „ჰამბურგის" ბოსების გადაწყვეტილების მიღება უჭირთ.

სამეთვალყურეო საბჭოს ვან მარვეიკთან ერთად სპორტული დირექტორის, **ოლივერ კროიცერის** გაშვებაც უნდა. საბჭოს წევრები უკვე შეთანხმდნენ იმაზე, რომ გუნდი მაგათს ჩააბარონ და სპორტული დირექტორის ფუნქციებიც ფელიქსს შეუთავსონ. მაგრამ ამ ნაბიჯისთვის მწვანე შუქის ანთება მხოლოდ დირექტორთა საბჭოს შეუძლია, სადაც ჯერ კიდევ გაურკვევლობაა. გუშინწინ „ჰამბურგის" შეფები რვა (!) საათის განმავლობაში თათბირობდნენ, მაგრამ კონსენსუსს მაინც ვერ მიაღწიეს.

*„თუ ჰამბურგში მაგათს დანიშნავენ, მაშინ ეს ნაბიჯი სწრაფად უნდა გადადგან, რადგან დრო აღარ ითმენს. არ მინდა, რომ „ჰამბურგი" მეორე ბუნდესლიგაში გავარდეს,"* - ეს **ფრანც ბეკენბაუერის** სიტყვებია, რომელიც „ჰამბურგში" 1980-დან 1982 წლამდე თამაშობდა.

**გოტფრიდ ლენცი**

გერმანიის ნაკრები

# შეახტება მაიერი მუნდიალის მატარებელს?

## თუ ლიოვი მაქსს ბრაზილიაში წაიყვანს, შალკეს ვუნდერკინდი პოდოლსკის რეკორდს დაამხობს

*„ფეხბურთელი შეიძლება ძალიან ახალგაზრდა, მაგრამ იმდენად ნიჭიერი იყოს, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე მისი წაყვანა ფაქტობრივად აუცილებელი გახდეს..."* - ეს გერმანიის ნაკრების მთავარი მწვრთნელის, **იოახიმ ლიოვის** ამასწინანდელი განცხადებაა. სწორედ ასეთი პასუხი გასცა 54 წლის ბუნდესმწვრთნელმა კითხვას, უნდა ელოდოს თუ არა საფეხბურთო გერმანია მუნდიალზე გასამგზავრებელ შემადგენლობაში სიურპრიზებს.



მაქს მაიერი

ჩვენი გერმანელი კოლეგები დარწმუნებულები არიან, რომ ლიოვი უაღრესად ნიჭიერ ახალგაზრდა ფეხბურთელში, რომელიც შეიძლება მუნდიალის მატარებელს შეახტეს, პირველ რიგში „შალკეს" 18 წლის შემტევ ნახევარმცველ **მაქს მაიერს** გულისხმობდა, რომელსაც ბუნდესლიგის მიმდინარე სეზონში უკვე 5 გოლი აქვს გატანილი. ფაქტია, რომ მაქსი ამ სეზონის უმთავრესი აღმოჩენაა და არა მარტო „შალკეში", არამედ ზოგადად მთელ ბუნდესლიგაში გამოირჩევა.

მაქს მაიერის სასარგებლოდ მეტყველებს ისიც, რომ ჩემპიონთა ლიგაში რეგულარულმა თამაშმა მას საერთაშორისო გამოცდილებაც შესძინა. გაგახსენებთ, რომ 2012 წლის ევროპის ჩემპიონატის წინ ლიოვმა გაფართოებულ შემადგენლობაში 20 წლის **იულიან დრაქსლერი** დაასახელა, **მარიო გიოტცეს, ტონი კროოსისა** და **თომას მიულერის** სახით კი დიდ ტურნირებზე ახალგაზრდა ფეხბურთელებს ყოველთვის ენდობა ხოლმე. თუ იოგი მაქს მაიერს ბრაზილიაში წაიყვანს, შალკელი **ლუკას პოდოლსკის** რეკორდს დაამხობს და გახდება გერმანიის ნაკრების ყველა დროის ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელი მათ შორის, ვისაც მუნდიალზე უთამაშია.

*„თუ მაქსი ასე გააგრძელებს, ნამდვილად აქვს იმის შანსი, რომ ლიოვმა მსოფლიოს ჩემპიონატზე წაიყვანოს. თანაც, ჩემი აზრით, ასეთი მონაცემების მქონე ფეხბურთელი გერმანიის ნაკრებს არ ჰყავს,"* - აცხადებს ოლაფ ტონი, რომელიც 1986 წლის მუნდიალზე 20 წლის ასაკში წაიყვანეს.

გელზენკირხენული კლუბის მენეჯერი **ჰორსტ ჰელდტი** კი ამბობს, დარწმუნებული ვარ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე გერმანიის ნაკრებში სამი შალკელი ითამაშებსო - ჰელდტი **ჰიოვედესს**, დრაქსლერსა და მაიერს გულისხმობს.

**გოტფრიდ ლენცი**

**გერმანიის ნაკრების ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელები, რომლებმაც დიდ სანაკრებო ტურნირებზე იასპარეზეს**

| ფეხბურთელი | ასაკი | ტურნირი |
|---|---|---|
| 1. ლუკას პოდოლსკი | 19.02 | ევრო 2004 |
| 2. კარლ-ჰაინც შნელინგერი | 19.19 | მუნდიალი 1958 |
| 3. ლოთარ მათეუსი | 19.23 | ევრო 1980 |
| 4. ლეოპოლდ ნოიბერი | 19.32 | მუნდიალი 1938 |
| 5. ედმუნდ კონენი | 19.54 | მუნდიალი 1934 |
| 6. ბასტ. შვაინშტაიგერი | 19.86 | ევრო 2004 |
| 7. ულრიხ ბიზინგერი | 19.86 | მუნდიალი 1954 |
| 8. მარიო გიოტცე | 20.01 | ევრო 2012 |
| 9. ოლაფ ტონი | 20.08 | მუნდიალი 1986 |
| 10. კრისტიან ვიორნსი | 20.08 | ევრო 1992 |
| 11. რაინერ ბონჰოფი | 20.21 | ევრო 1972 |
| 12. სებასტიან დაისლერი | 20.43 | ევრო 2000 |
| 13. ტონი კროოსი | 20.43 | მუნდიალი 2010 |
| 14. ული ჰიონესი | 20.44 | ევრო 1972 |
| 15. ბერნდ შუსტერი | 20.47 | ევრო 1980 |
| 16. მარსელ იანსენი | 20.59 | მუნდიალი 2006 |
| 17. ფილიპ ლამი | 20.59 | ევრო 2004 |
| 18. თომას მიულერი | 20.74 | მუნდიალი 2010 |
| 19. პაულ ბრაიტნერი | 20.77 | ევრო 1972 |
| 20. ფრანც ბეკენბაუერი | 20.83 | მუნდიალი 1966 |

**ამბები**

### ლავეცის ბიძა მოუკლეს

**ესეკიელ ლავეცის** ბიძა მოკლული იპოვეს. 60 წლის **ხორხე ლავეცი** ქალაქ როსარიოს მახლობლადაა მოკლული. მისი ცხედარი პროვინცია სანტა-ფეში საკუთარ სატვირთო მანქანაში აღმოაჩინეს. გარდაცვლილს თავში აქვს ნასროლი. ოფიციალური ვერსიით, მას გაქურდვის მიზნით თავს დაესხნენ, ხოლო როდესაც წინააღმდეგობის გაწევა სცადა, ესროლეს. მიმდინარეობს გამოძიება, პოლიციას ჯერჯერობით არავინ დაუპატიმრებია.

### კავანის ეშმაკები შეუჩნდნენ

„მანჩესტერ იუნაიტედი" ზაფხულში **ედინსონ კავანის** შეძენას შეეცდება. ურუგვაელი პსჟ-ში სისტემატიურად ძირითად შემადგენლობაში არ არის და ეს არ სიამოვნებს, ხოლო „წითელი ეშმაკები" სერიოზულად გაძლიერებას საჭიროებენ და ხელმძღვანელობა მზადაა ტრანსფერებისთვის სოლიდური თანხა გამოყოს. ინგლისური გუნდი უკვე იანვარშივე ცდილობდა კავანის ხელში ჩაგდებას, მაგრამ პარიზელთა მთავარმა მწვრთნელმა **ლორან ბლანმა** მისი გაშვება არ ისურვა. ზაფხულში კი **დევიდ მოიესის** გუნდს ურუგვაელის გადაბირების მეტი შანსი ექნება. შეგახსენებთ, რომ თავად „პარი სენ ჟერმენმა" კავანი „ნაპოლისგან" 64 მილიონ ევროდ იყიდა.



ედინსონ კავანი

### ფერნანდო პრემიერლიგაში მაინც გადავა

„პორტუს" ნახევარმცველის **ფერნანდოს** აგენტი **ანტონიო არაუჟო** ამბობს, რომ მომავალი სეზონიდან მისი კლიენტი უკვე დანამდვილებით ინგლისის პრემიერლიგაში ითამაშებს. მოგეხსენებათ, იგი იანვარში „მანჩესტერ სიტიში" გადასვლასთან იყო ახლოს, მაგრამ ტრანსფერი ბოლო წამს ჩაიშალა. „დრაკონებმა" კი 26 წლის ბრაზილიელთან საჩქაროდ გაახანგრძლივეს კონტრაქტი და როგორც ამბობენ, ახლა მისი გამოსასყიდი თანხა 30 მილიონი ევროა. არაუჟოს აღარ დაუკონკრეტებია ის, თუ რომელ გუნდში გადავა ფერნანდო, „სიტის" გარდა მას პრემიერლიგის სხვა გრანდებიც უტრიალებდნენ.

### პატარა ფარაონი მალე დაბრუნდება

იტალიური „მილანის" თავდამსხმელი **სტეფან ელ-შაარავი** მინდორს 4-6 კვირაში დაუბრუნდება. როგორც იცით, „პატარა ფარაონს" ძველი ტრავმის რეციდივი ჰქონდა და ქირურგიული ჩარევა დასჭირდა, რადგან პრობლემა საბოლოოდ მოეგვარებინა. ოპერაცია მან დეკემბრის ბოლოს გაიკეთა, ახლა კი ამსტერდამში თავის ქირურგს ესტუმრა და იქიდან აი ასეთი ამბით დაბრუნდა - ექიმის თქმით, იგი მაქსიმუმ თვენახევარში მინდორზე გასვლას შეძლებს.

**გიორგი პაპაბაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესპანეთი. თასის 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი


„რეალმა" რონალდოს გოლებით მოიგო

# სანთებელა თავში

| ატლეტიკო–რეალი | 0:2 (0:3) |
| --- | --- |

**გოლები:** 0:1 კრიშტიანო რონალდო (7-პენ), 0:2 კრიშტიანო რონალდო (16-პენ)

**ატლეტიკო (4-4-1-1):** არანსუბია - მანკილიო (46. ხუანფრანი), მირანდა, ალდერვეირელდი, ე. ინსუა - ხ. სოსა, მარიო სუარესი, კოკე, კ. როდრიგესი - დიეგო (46. ადრიანი) - რაულ გარსია (61. გაბი)

**რეალი (4-3-3):** კასილიასი - დანიელ კარვახალი, ვარანი, სერხიო რამოსი (46. ნაჩო), არბელოა - მოდრიჩი (67. კაზემირო), ჩაბი ალონსო, ილიარამენდი - ბეილი, ისკო, კრიშტიანო რონალდო (75. ხესე როდრიგესი)

როგორც მოსალოდნელი იყო, სამეფო თასის ფინალში მადრიდის „რეალი" გავიდა. დედაქალაქელთა დაპირისპირებაში ყველაფერი პირველ შეხვედრაში გადაწყდა, როდესაც „სამეფო კლუბმა" მეტოქეს სამი უპასუხო ბურთი გაუტანა. ამასთან ერთად, „როხიბლანკოს" დისკვალიფიცირებული **დიეგო კოშტა** და ტრავმირებული **დავიდ ვილია** არ ჰყავდა. ამიტომ, ცენტრფორვარდის პოზიციაზე **რაულ გარსიამ** ითამაშა, მის უკან კი **დიეგო** ირჯებოდა. გამოკვეთილი ფორვარდი არც სტუმართა შემადგენლობაში იყო - ე.წ. „ცრუ ცხრიანის" პოზიციაზე კარლო **ანჩელოტიმ ისკო** გაამწესა, ფლანგებიდან კი მას **გარეთ ბეილი** და **კრიშტიანო რონალდო** ეხმარებოდნენ.

თუკი პირველი მატჩის შემდეგ ვინმეს ამ დუელში ინტრიგის დაბრუნების იმედი ჰქონდა, მეშვიდე წუთზე ისიც ხელს ჩაიქნევდა - **ალბერტო უნდიანო მალენკომ** მასპინძელთა კარში 11-მეტრიანი დანიშნა, რომელიც კრიშტიანო რონალდომ გამოიყენა და ორი მატჩის ჯამში ანგარიში 4:0 გახადა. რამდენიმე წუთის შემდეგ პორტუგალიელმა დუბლი შეასრულა, როდესაც ისევ პენალტით იხეირა. მეტი გოლი „ვისენტე კალდერონზე" აღარ გასულა და „რეალმა" ორი მატჩის ჯამში 5:0 მოიგო, „ატლეტიკოს" გამწარებულმა გულშემატკივრებმა კი შესვენებისას მოედანზე სხვადასხვა საგნის სროლა დაიწყეს, რომელთაგანაც ერთ-ერთი (სანთებელა) რონალდოს თავში მოხვდა. მიუხედავად ამისა, პორტუგალიელმა თამაში გააგრძელა და მოედნიდან მხოლოდ 75-ე წუთზე გავიდა.

*„ასეთი რაღაცები არ უნდა ხდებოდეს. ტრავმა შეიძლებოდა გაცილებით უფრო სერიოზული ყოფილიყო, მაგრამ, საბედნიეროდ, რონალდო გადარჩა. ყოველთვის გამოჩნდებიან ისეთი ადამიანები, რომლებიც თავიანთი ულირსი საქციელით ჩრდილს აყენებენ ისეთ კლუბს, როგორიც მადრიდის „ატლეტიკოა". რაც შეეხება შეხვედრას: გადამწყვეტი, რა თქმა უნდა, პირველი მატჩი იყო, რომელიც 3:0 მოვიგეთ. აქაც, ანგარიშის გახსნა საკმაოდ სწრაფად მოვახერხეთ, რის გამოც თამაში არ გამოდგა ისეთი, როგორსაც ბევრი ელოდა. ჩვენი საქმე მაღალ დონეზე გავაკეთეთ და ფინალში გასვლა დავიმსახურეთ,"* - განაცხადა თამაშის შემდეგ **იკერ კასილიასმა**, რომელმაც საკუთარი კარი ისევ მშრალად შეინახა.

ამ შეხვედრაში კიდევ ერთი ფეხბურთელი დაშავდა, თანაც გაცილებით სერიოზულად. „ატლეტიკოს" ახალგაზრდა მარჯვენა მცველი **ხავიერ მანკილიო** რონალდოსთან საჰაერო ორთაბრძოლის შემდეგ ძალიან ცუდად დაეცა. 19 წლის ფეხბურთელი საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც გაირკვა, რომ ესპანეთის ახალგაზრდული ნაკრების წევრი მინიმუმ 4 კვირა ვერ ითამაშებს.

ლიბერტადორესის თასი. ჯგუფური ეტაპი. I ტური

# ბრაზილიელთა დამაჯერებელი სტარტი

| I ჯგუფი | |
| --- | --- |
| უნივერსიტარიო–ველესი | 0:1 |
| გოლი: 0:1 კანტეროსი (81) | |
| **II ჯგუფი** | |
| ბოტაფოგო–სან ლორენსო | 2:0 |
| გოლები: 1:0 ხ. ფერეირა (30), 2:0 ვალისონი (52) | |
| **IV ჯგუფი** | |
| სამორა–ატლ. მინეირო | 0:1 |
| გოლი: 0:1 ჟო (88) | |
| სანტა ფე–ნასიონალი (პარ) | 3:1 |
| გოლები: 1:0 ე. მენდესი (58), 2:0 დ. ტორესი (59), 2:1 ნ. მარტინესი (78-პენ), 3:1 კოპეტე (81) | |
| **VIII ჯგუფი** | |
| სანტოს ლაგუნა–არსენალი | 1:0 |
| გოლი: 1:0 ო. პერალტა (19) | |

ლიბერტადორესის თასის 55-ე გათამაშება ბრაზილიურ-არგენტინული დუელით გაიხსნა, რომლის ბედიც არგენტინელმა გადაწყვიტა, ოღონდ გამარჯვება არა მის თანამემამულეებს, არამედ ბრაზილიელებს დარჩათ. დიახ, „ბოტაფოგო"-"სან ლორენსოს" შეხვედრაში ანგარიში **ხუან ფერეირამ** გახსნა. „ნიუელს ოლდ ბოისის" და „ოლ ბოისის" ყოფილმა ფორვარდმა, რომელმაც შარშან პარაგვაის „ოლიმპიას" ფინალში გასვლაში დიდი წვლილი შეიტანა, თავი 30-ე წუთზე გამოიჩინა. მეორე ნახევრის დებიუტში „ფოგოს" კიდევ ერთმა ახალწვეულმა **ვალისონმაც** იხეირა და საბოლოო ანგარიში დააფიქსირა - 2:0.

გაუჭირდა მეორე ბრაზილიურ კლუბს, ლიბერტადორესის თასის მოქმედ ჩემპიონ „ატლეტიკო მინეიროს", რომელმაც ვენესუელური „სამორას" დამარცხება **ჟოს** მიერ 88-ე წუთზე გატანილი ბურთით შეძლო. ბრაზილიის ნაკრების ფორვარდს საგოლე გადაცემა **რონალდინიომ** გაუკეთა.

„სან ლორენსოს" მსგავსად, დამარცხდა სარანდის „არსენალი". **გუსტავო ალფაროს** შეგირდებმა ფარ-ხმალი მექსიკურ „სანტოს ლაგუნასთან" დაყარეს, რომელსაც **ორიბე პერალტამ** მოაგებინა.

**ექტორ კანტეროსის** ერთადერთი გოლის წყალობით იმარჯვა „ველეს სარსფილდმა", შარშანდელი ტურნირის ნახევარფინალისტმა „სანტა ფემ" კი საკუთარ მოედანზე ასუნსიონის „ნასიონალს" 3:1 მოუგო. მასპინძელთა რიგებში მესამე გოლის ავტორად სწორედ „ველესიდან" იჯარით დაბრუნებული ფორვარდი **ხონათან კოპეტე** მოგვევლინა, ვინც არგენტინის ჩემპიონატში ჩატარებულ 34 შეხვედრაში გოლი საერთოდ ვერ გაიტანა!



„სან ლორენსოს" პირველი გოლი არგენტინელმა ხუან ფერეირამ გაუტანა

კვირა ციფრებში.

# გაძევებები და წარმატებული დებიუტი

**დღევანდელ კვირის მიმოხილვაში ვისაუბრებთ როგორც უეს ბრაუნის და „ჰამბურგის" წარუმატებლობაზე, ასევე ხუან პაბლო ანხელის, ხავიერ პასტორეს და ადელ ტაარაბტის წარმატებაზე...**

**38** - წლის და 105 დღის ასაკში, **ხუან პაბლო ანხელი** გახდა ამ კვირის ყველაზე ხანდაზმული ფეხბურთელი, რომელმაც რომელიმე ქვეყნის უმაღლეს ლიგაში გოლი გაიტანა. კოლუმბიელმა ფორვარდმა „ატლეტიკო ნასიონალის" და „ალიანსა პეტროლერას" შეხვედრაში დუბლი შეასრულა, მისმა გუნდმა კი 5:1 მოიგო. ანხელი „ატლეტიკო ნასიონალში" მეორედ ორი წლის წინ ჩაირიცხა, მისი შთამბეჭდავი კარიერა კი არგენტინაში დაიწყო, საიდანაც კოლუმბიის ნაკრების ყოფილი ფორვარდი ინგლისში („ასტონ ვილაში") გადავიდა, მოგვიანებით კი მან აშშ-შიც იასპარეზა.

ამჟამად, „ატლეტიკო ნასიონალი" მეორე ადგილზეა და მე-14 საჩემპიონო ტიტულის მოსაპოვებლად იბრძვის. გაჩემპიონების შემთხვევაში ანხელის გუნდი ტიტულების მიხედვით რეკორდსმენ „მილიონარიოსს" წამოეწევა.

**20** - საათი და 7 წუთი ვერ იტანდა გოლებს ლიგა 1-ში **ხავიერ პასტორე**. არგენტინელის ეს უილბლო სერია კვირას, „მონაკოსთან" შეხვედრაში დასრულდა. პასტორემ ანგარიში გახსნა, საბოლოოდ კი გუნდებმა ქულები გაიყვეს (1:1).

ასევე, ხანგრძლივი უგოლო სვლა დაასრულა **ფილიპ ჯორჯევიჩმა**. „ნანტის" ფორვარდმა 956-წუთიანი პაუზის შემდეგ გაიტანა, მაგრამ მისმა გუნდმა „ლიონთან" მაინც წააგო (1:2). სერბს მეორე გოლის გასატანად და გმირის სტატუსის მისაღებად დრო კიდევ ჰქონდა, მაგრამ ამის ნაცვლად, ჯორჯევიჩი ანტიგმირი გახდა, რადგან გოლიდან ზუსტად სამ წუთში წითელი ბარათი დაიმსახურა. საფრანგეთის ჩემპიონატის ერთ შეხვედრაში გოლის გატანა და შემდეგ წითელი ბარათის მიღება ბოლოს 2013 წლის 1 მარტს **ფლოიდ აიტემ** მოახერხა.



**7** - წუთი დასჭირდა **ადელ ტაარაბტს** იმისთვის, რომ „მილანის" რიგებში თავისი პირველი გოლი გაეტანა. „როსონერის" უცხოელ დებიუტანტებს შორის მაროკოელი მეორე ადგილზე აღმოჩნდა. მასზე სწრაფად გოლი მხოლოდ **ჟორჟ ვეამ** გაიტანა, რომელმაც 1995 წელს, „პადოვას" კარი სადებიუტო მატჩის დაწყებიდან 6 წუთში დალაშქრა. „მილანისთვის" სამწუხაროდ, ახალწვეულის გოლი გუნდს ვერ დაეხმარა და „ნაპოლისთან" მაინც დამარცხდა - 1:3. „როსონერის" „ვეზუვიანელებთან" 2011 წლის შემდეგ არ მოუგია, ერთ სეზონში ორივე მატჩი კი „ნაპოლისთან" 1985/86 წლების სეზონის შემდეგ პირველად წააგო.

შეხვედრის ყველაზე დამთრგუნველი სანახაობა კი **მარიო ბალოტელის** ცრემლები იყო. ზოგადად, იტალიელ ფორვარდს „ნაპოლის" წინააღმდეგ სამი კლუბის რიგებში ხუთი მატჩი აქვს ჩატარებული და „სუპერ მარიომ" ხუთივე შეხვედრაში მოედანი დამარცხებულმა დატოვა.

**6** - მარცხი ბუნდესლიგაში ზედიზედ - „ჰამბურგმა" საკლუბო ანტირეკორდი დაამყარა. ერთადერთ გუნდს, რომელსაც გერმანიის უმაღლესი დივიზიონი არასდროს დაუტოვებია, ამ საშინელი სერიის შემდეგ, გავარდნის რეალური საფრთხე დაემუქრა. „ბუნდესლიგის უკანასკნელმა დინომ" ამ სეზონში უკვე 46 გოლი გაუშვა, რაც მთელი ლიგის მასშტაბით ყველაზე ცუდი შედეგია, ბოლო ხუთ შეხვედრაში კი „ჰამბურგმა" საკუთარ კარში 3-3 გოლი მიიღო. 10 საშინაო შეხვედრაში განცდილი 7 მარცხი ასევე საკლუბო ანტირეკორდია.

შედარებით უკეთ გამოიყურება ბრემენის „ვერდერი", რომელიც ასევე ძალიან ცუდ ფორმაშია. „ბრემენელმა მუსიკოსებმა" 20 ტურის შემდეგ 20 ქულა მოაგროვეს - ასეთი ცუდი შედეგი კი ამ კლუბს ბოლოს 1974/75 წლების სეზონში ჰქონდა.

**3** - წითელი ბარათის მიღება მოასწრო **უეს ბრაუნმა** ამ სეზონში და პრემიერლიგის ყველა დროის რეკორდი გაიმეორა. „სანდერლენდის" მცველის გარდა, სეზონში სამჯერ **დევიდ ბეტი, სლავენ ბილიჩი, ვინი ჯოუნსი, ფრენკ კედრიუ** და **კრეიგ შორტი** გაუძევებიათ. ჩემპიონატის დასრულებამდე კიდევ 12 ტური რჩება, ასე რომ, ბრაუნს ერთპიროვნული რეკორდის დამყარების კარგი შანსი აქვს.

გაცილებით სასიამოვნო რეკორდი დაამყარა **ედენ აზარმა**. 23 წლის და 32 დღის ასაკში ბელგიელი გახდა ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელი, ვინც „ჩელსის" მაისურით პრემიერლიგის შეხვედრაში ჰეთთრიქი შეასრულა.

„ლივერპულმა" კი „არსენალს" მატჩის პირველ 20 წუთში 4 გოლი გაუტანა და 4:0 დაწინაურდა. ასეთი სტარტი პრემიერლიგის შეხვედრაში „წითლებს" აქამდე არ ჰქონიათ. ანგარიში 52-ე წამზე **მარტინ შკრტელმა** გახსნა და **რობი ფაულერის** შემდეგ გახდა „ლივერპულის" პირველი მოთამაშე, რომელმაც ინგლისის უმაღლეს დივიზიონში გოლის გატანა მატჩის პირველ 60 წამში მოახერხა. „ღმერთმა" (ფაულერის მეტსახელი) პირველ წუთზე 1996 წლის დეკემბერში „მიდლსბროს" კარი აიღო და სხვათა შორის, ის მატჩიც „ლივერპულმა" 5:1 მოიგო.

გვერდი მოამზადა
**ტატო ბაციკაძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● იტალიის თასი. 1/2 ფინალი

# ფიორენტინა ფინალშია



ასე იზეიმეს ფლორენციელებმა „უდინეზეს“ კარში გატანილი მეორე გოლი

**ფიორენტინა–უდინეზე 2:0 (1:2)**

**გოლები:** 1:0 პასკუალი (14), 2:0 კუადრადო (61).

**ფიორენტინა (4-3-3):** ნეტო - გონსალო, დიაკიტე, სავიჩი (61. კომპერი), პასკუალი - აკვილანი, პისარო, ფერნანდესი - ხოაკინი (89. ვარგასი), კუადრადო, მატრი (57. მატოსი).

**უდინეზე (3-5-1-1):** სკუფეტი - დანილო, დომიცი, ერტო - ფერნანდესი, ვიდმარი, პინცი (57. მურიელი), ალანი, გაბრიელ სილვა (90. ?იბდა) - პერეირა - დი ნატალე (81. ლოპესი).

იტალიის თასის პირველი ფინალისტი „ფიორენტინა“ გახდა, რომელმაც ორმატჩიან დუელში „უდინეზე“ დაამარცხა. პირველი შეხვედრა „სტადიო ფრიულიზე“ ჩატარდა, რომელიც მასპინძლებმა მინიმალური სხვაობით მოიგეს და განმეორებითი მატჩის წინ, გუნდებს დაახლოებით თანაბარი შანსი ჰქონდათ. თუმცა ფავორიტად უმეტესობა მაინც „ვიოლას“ მიიჩნევდა და მათი პროგნოზი გამართლდა კიდეც...

ფლორენციელებმა სრული უპირატესობით წარმართეს შეხვედრა და დამსახურებულად მოიგეს, 2:0. ორივე გოლი მეტად ეფექტური გამოვიდა - ჯერ **მანუელ პასკუალმა** დალაშქრა მეტოქის კარის „ცხრიანი“, შემდეგ კი იგივე **ხუან კუადრადომ** გააკეთა. მასპინძლებს კიდევ არაერთხელ შეეძლოთ გატანა, მაგრამ ახალგაზრდა გოლკიპერი, **სიმონე სკუფეტი** იყო მოწოდების სიმაღლეზე. რამდენჯერმე, თავისი გუნდი „ფიორენტინას“ მეკარე **ნეტომაც** გადაარჩინა.

ფლორენციაში, ფიესტა დილამდე გაგრძელდა - „ფიორენტინას“ შესანიშნავი შანსი აქვს, ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, ტროფეი მოიპოვოს; აქვე, მწვრთნელებს გადავცეთ სიტყვა...

**ფრანჩესკო გვიდოლინი** (უდინეზე): *„ჩვენს ოცნებას ახდენა არ ეწერა და ეს რეალობაა, რომელსაც თვალებში უნდა ჩავხედოთ. უნდა ვისწავლოთ მწარე მარცხის სწორად მიღება და გადატანა. ვამაყობ ჩემი შეგირდებით, რომლებიც დღეს მინიმუმ ერთ გოლს იმსახურებდნენ. „ფიორენტინა“ შეტევაში უფრო აგრესიული იყო და მთლიანობაში დამსახურებულად მოიგო, ვინჩენცო მონტელას ფინალში წარმატებებს ვუსურვებ“.*

**ვინჩენცო მონტელა** (ფიორენტინა): *„მინდა მეტოქე შევაქო, რომელმაც ბევრი სირთულე შეგვიქმნა და ფინალში გასვლაც შეეძლო. თუმცა 180 წუთის განმავლობაში, ოდნავ უკეთ მაინც ჩვენ გამოვიყურებოდით და ფინალის საგზური დავიმსახურეთ. ეს განსაკუთრებული მოვლენაა მთელი ქალაქისთვის, მინდა მივულოცო ფეხბურთელებს, კლუბის მესვეურებს, ინვესტორებს და რაც მთავარია, გულშემატკივრებს. წინ დიდი მატჩი გველის“.*

**ლაშა წიკლაური**

● პერსონა

# იგუაინი მარადონას გზაზე

## მუნდიალი და სკუდეტო

ნეაპოლელმა ტიფოზებმა განსაკუთრებული სიყვარული იციან და ეს ყველაზე მეტად **დიეგო მარადონას** გამოუცდია საკუთარ თავზე. ლეგენდარულმა არგენტინელმა ნეაპოლიტანელებს ნანატრი სკუდეტო მოუტანა და დღემდე, ამ სამხრეთულ და ყველასგან გამორჩეულ ქალაქში, მსოფლიო ფეხბურთის უგვირგვინო მეფეს ალმერთებენ. მარადონასთან რა მოსატანია, მაგრამ **ესეკილ ლავეციზეც** დიდი ამბავი იყო - მაშინაც კი, როდესაც **ედინსონ კავანი** გოლს გოლზე იტანდა, ულტრასებს ყველაზე მეტად მაინც ლავეცი უყვარდათ. ესეკილის ჯიგრიანი თამაში ყველაზე მეტად უხდებოდა ნეაპოლურ ხასიათს და ამად იყო, რომ მის სახელს გულშემატკივრები ყველაზე ომახიანად სკანდირებდნენ. ლავეციმ ქომაგთა სიყვარული პარიზზე გაცვალა, ნეაპოლში კი 26 წლის **გონსალო იგუაინის** დრო დადგა...

როდესაც იგუაინს „სტადიო სან პაოლოზე“ გოლი გააქვს, ტრიბუნებზე სრული საგიჟეთია - ცნობილი დიქტორი **დეჩიბელ ბელინი** მთელ ხმაზე გაჰყვირის არგენტინელის სახელს, გულშემატკივრები ერთხმად პასუხობენ გვარს. გონსალო „რაი სპორტს“ საინტერესო თემებზე ელაპარაკა, საუბარი კი სწორედ გულშემატკივრებთან მისი დამოკიდებულებით დაიწყო...

### გულშემატკივრები

როდესაც ბელინი ჩემს სახელს სკანდირებს და გულშემატკივრები ჩემი გვარით პასუხობენ, ენით აუწერელი გრძნობა მეუფლება. ასეთ დროს სრულიად მეხსნება დაღლა და მზად ვარ, კიდევ ერთი თამაში ჩავატარო. ნეაპოლელებს განსაკუთრებული უნარი აქვთ, რომ სითბო და ხიყვარული გაგრძნობინონ. სიმართლე გითხრათ, უკვე ვერ წარმომიდგენია თუ როგორ შეიძლება მათი დატოვება საკუთარი სურვილით. ყველაფერს გავაკეთებ, რომ გაცემული ავანსები და მათი სიყვარული გავამართლო. ნეაპოლში მშვიდად გავლა შეუძლებელია და ხშირად ეს პრობლემას მიქმნის, მაგრამ ესეც თავისებურად სასიამოვნოა - ყოველ ფეხის ნაბიჯზე ვგრძნობ, რომ ამ ხალხისთვის ფეხბურთი ყველაზე მთავარია.

### ოცნება

ჩემი ოცნება დიეგო მარადონას გზის გავლაა, რომელმაც არგენტინის ნაკრებთან ერთად მსოფლიოს ჩემპიონატი მოიგო, „ნაპოლისთან“ ერთად კი სკუდეტოს დაეუფლა. მარადონამ მუნდიალი 1986 წელს მოიგო, შემდეგ კი სკუდეტოც მიაყოლა. თუ ეს გზა მეც გავიარე, ჩავთვლი, რომ მისია შესრულებულია. თუმცა, კარგად მესმის, რომ ამის გაკეთება ურთულესი იქნება და იმასაც ვხვდები, რომ ეს ყველაზე რთული და მნიშვნელოვანი ეტაპია ჩემს ცხოვრებაში. უკვე რვა წელია, უმაღლეს დონეზე ვთამაშობ, საუკეთესო პერიოდი მაქვს, რომელიც მაქსიმალურად უნდა გამოვიყენო. დიახ, ჩემი მიზანი მსოფლიოს ჩემპიონატის და სკუდეტოს მოგებაა, ამისთვის ყველაფერს გავაკეთებ.

### მიმდინარე სეზონი

სანამ მათემატიკური შანსი გვაქვს, ჩვენ ვაგრძელებთ ბრძოლას ჩემპიონობისთვის, მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ „იუვენტუსის“ გადასწრება ნაკლებად რეალურია. ტურინელებს უძლიერესი გუნდი ჰყავთ, რომელსაც სეზონის ერთი ამოსუნთქვით ჩატარება შეუძლია. ჩვენთვის სტიმულია, რომ ასეთ კონკურენტთან გვიწევს ჭიდილი და ყველაფერს გავაკეთებთ, რომ „იუვეს“ ჰეგემონია დავამხოთ. ეს დიდი გამოწვევაა, რომელიც მივიღეთ. ვაგრძელებთ ბრძოლას ევროპალიგისთვის და არც ამ ფრონტზე ვაპირებთ ყურადღების მოდუნებას. „ნაპოლი“ ამბიციური გუნდია, რომელმაც წარმატებას უნდა მიაღწიოს როგორც იტალიაში, ისე მის ფარგლებს გარეთ. მომდევნო სეზონში, ჩემპიონთა ლიგას დავუმიზნებთ, ამჯერად კი ევროპის ლიგაზე უნდა გავიბრწყინოთ.

**ლაშა წიკლაური**



გონსალო იგუაინს დიდი მიზნები აქვს

● საფრანგეთის თასი. 1/8 ფინალი



# კანში ნიანგი ჩაყლაპეს

**კანი–მონპელიე 0:0 (1:0 დ.დ.)**

გოლი: 1:0 ზობირი (119)

**ლილი–კაენი 3:3 (6:5 პენ.)**

გოლები: 0:1 კოიტა (14), 0:2 კოიტა (28), 1:2 როდელენი (33), 2:2 დელაპლასი (77), 3:2 რუ (82), 3:3 როდელენი (90-ს.კ.)

**ანჟერი–სა ბასტია 1:1 (4:2 დ.დ.)**

ტურნირიდან პსჟ-ს გამომგდები „მონპელიე“ მეოთხე დივიზიონის ბინადარ „კანთან“ დამარცხდა. **როლან კურბისს** ორი მთვარი ფეხბურთელის **რემი კაბელიასა** და **მბაიეს ნიანგის** დასვენება უნდოდა, მაგრამ დაინახა რა, რომ მის გუნდს უჭირდა, მოგვიანებით ორივე ათამაშა. თუმცა რა ხეირი - 102-ე წუთზე 19 წლის ნიანგმა პენალტი გააცუდა, „მილანიდან“ ნათხოვარმა თავდამსხმელმა ძელს გაარტყა. დამატებითი დროის დასრულებამდე წუთით ადრე კი **ბელკასემ ზობირიმ** გამარჯვების გატანა და „სტად პიერ-დე-კუბერტენი“ აღფრთოვანებაში მოიყვანა. ასე რომ, კანში ნიანგი აქეთ ჩაყლაპეს.

„კანმა“ „მონპელიე“ გამოთიშა ასპარეზობას, ხოლო „კაენმა“ კინაღამ „ლილი“ დატოვა შეჯიბრების მიღმა. 28-ე წუთისთვის **ბენგალი ფოდე კოიტას** დუბლის გამო **რენე ჟირარის** გუნდი უკვე 0:2-ს აგებდა, მაგრამ მალევე **რონი როდელენმა** ერთი ბურთი გაქვითა. ამას „ლილის“ მასირებული შეტევები მოჰყვა და საბოლოოდ მასპინძლებმა თავისას მიაღწიეს, ჯერ გაათანაბრეს, იქვე კი **ნოლან რუმ** მესამეც შეაგდო. თუმცა მოულოდნელად, ბოლო წამებზე როდელენმა საკუთარ კარში ჩაჭრა ბურთი და საქმე საბოლოოდ პენალტებამდე მივიდა. ნერვების თამაშში სტუმრებს არ გაუმართლათ, **მატიე ოტრემ** ცაში დაარტყა და კაენელთა იმედები ქარს გაატანა.

**გიორგი კაკაბაძე**

## ამბები

### კიელინი გადარჩა

გასულ უქმეებზე, „ვერონასთან“ პაექრობისას „იუვენტუსის“ მცველმა **ჯორჯო კიელინიმ** ტრავმა მიიღო და შესაცვლელი გახდა. მსოფლიოს ჩემპიონატი ახლოვდება და ამ ფონზე, ნაკრების ფეხბურთელთა ტრავმები განსაკუთრებულად მგრძნობიარე თემაა - ამიტომ, სანამ კიელინის დეტალური გამოკვლევა ჩაუტარდა, მთელი საფეხბურთო იტალია ეკლებზე იჯდა.. საბედნიეროდ, ტრავმა იმაზე უფრო მსუბუქი გამოდგა, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანდა:

*„კუნთი დაზიანებული მაქვს და არა გაწყვეტილი, შესაბამისად, მკურნალობის პროცესს მაქსიმუმ ათი დღე დასჭირდება. როგორც მითხრეს, მომდევნო ტურის გამოტოვება მომიწევს, შემდეგ კი დავუბრუნდები მოედანს. საბედნიეროდ, მსუბუქი ტრავმა მივიღე და ლაზარეთში ყოფნა დიდხანს არ მომიწევს“.*

მომდევნო უქმეებზე „იუვენტუსი“ „კიევოს“ უმასპინძლებს და სწორედ ამ მატჩის გამოტოვება მოუწევს კიელინის. „მფრინავ ვირებს“ ვერც **ანდრეა ბარცალი** დაუპირისპირდება, რომელიც ასევე მსუბუქ ტრავმას იშუშებს.

### ერნანესი პარკიში დაშავდა

გასულ უქმეებზე, **ერნანესს** დებიუტი ჰქონდა „ინტერის“ შემადგენლობაში და „სასუოლოსთან“ ჭიდილში თავი საკმაოდ კარგად წარმოაჩინა. დირიჟორობდა „ნერაძურის“ შეტევებს და საგოლე პასიც სწორედ მან მიითვალა აქტივში.

მომდევნო ტურში **ვალტერ მაცარის** გუნდს ურთულესი მატჩი ელოდება - „ინტერი“ ფლორენციაში ჩადის. როგორც იტალიელი სპორტული ჟურნალისტები იუწყებიან, მილანელებს ერნანესის გარეშე მოუწევთ ფონს გასვლა, რომელმაც ვარჯიშისას კუნთი გაიჭიმა. საბოლოო დიაგნოზი ჯერ არ გაცხადებულა, მაგრამ დიდი ალბათობით, ბრაზილიელი მინიმუმ ერთ პაექრობას გამოტოვებს.

**ლაშა წიკლაური**

### მონტოია დარჩება

**მარტინ მონტოია** „ბარსელონაში“ რჩება. ამის შესახებ, „მარკამ“ გვამცნო. „კატალონიის სიამაყესთან“ მცველის მოქმედ კონტრაქტს ვადა სეზონის ბოლოს გასდიოდა და მონტოიათი „რომას“ თამადობით რამდენიმე გუნდია დაინტერესებული. თუმცა როგორც ირკვევა, მხარეები თანამშრომლობის გაგრძელებაზე შეთანხმდნენ და ყველაფერი ოფიციალურად თვის ბოლომდე გაფორმდება. კონტრაქტის სხვა წვრილმან დეტალებსაც მერე გავიგებთ.

### აზარი აზრს არ შეიცვლის

პსჟ-ს **ედენ აზარის** გადაბირება ძალიან კი უნდა, მაგრამ ბელგიელის კომენტარს თუ მოვისმენთ, პარიზელებს ამის შანსი ახლო მომავალში ფაქტობრივად არ აქვთ...

*„ჩემთვის „ჩელსიდან“ შესაძლო წასვლის საკითხი არასდროს არ დამდგარა. ძალიან მიხარია, რომ ამ გუნდში ვარ, რომელთან ერთადაც კიდევ ბევრი რამ უნდა გავაკეთო და ბევრს მივაღწიო. ჩემთვის დიდი პატივია და ძალიან სასიამოვნოა პსჟ-ს ინტერესი, მაგრამ ეს არ მაღელვებს, რადგან ზუსტად ვიცი, რაც მინდა და აზრს ვერავინ შემაცვლევინებს. ჩემი მიზანი „ჩელსისთან“ ერთად კარგი თამაშია“* - განაცხადა აზარმა.

**გიორგი კაკაბაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ. პერ მერტეზაკერი

# მერტეზაკერი: სტაბილური გიგანტი

# BIG F***ING GERMAN



**ინგლისის ჩემპიონატში მონაწილე, თუნდაც ლეგიონერებით სავსე გუნდის კაპიტნობა, თან გუნდისა, რომელიც ჩემპიონობისთვის იბრძვის, სახუმარო საქმე როდია. ხოლო თუ ამასთანავე გერმანელი ხარ და პრემიერლიგაში კაპიტნის სამკლავურს მოირგებ, სახუმაროდ კი არა, ძალიან სერიოზულად ყოფილა საქმე. პერ მერტეზაკერს თავისი თვისებებისა და სტაბილური თამაშის წყალობით, აქვს პატივი „არსენალს“ კაპიტნობდეს. მეტიც, არც ისე დიდი ხნის წინ, იგი „უემბლიზე“ გამართულ ამხანაგურ მატჩში ინგლისელების წინაალმდეგ გაუძლვა გერმანიას და ეს პრინციპული დაპირისპირება ნაციონალმანშაფტმა სწორედ მერტეზაკერის ერთადერთი გოლით მოიგო. 29 წლის მცველი, რომელსაც ნაკრების მაისურით უკვე 95 მატჩი აქვს ჩატარებული, მართლაც მშვენიერ ფორმაშია. მას „არსენალის“ ფანებმა სიყვარულით BFG შეარქვეს, რაც ორგვარად იშიფრება - „დიდი მეგობრული გიგანტი“ და „დიდი F***ing გერმანელი“...**

**- მართალია, რომ სხვა სპორტის სახეობით დაკავებას ფიქრობდით, რადგან ფეხბურთში საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნებული არ იყავით?**

- პატარა რომ ვიყავი, თითქმის ყველა სპორტში მინდოდა თავი გამომეცადა. ჩოგბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, ჰოკეი... და, რა თქმა უნდა, ფეხბურთი. სიმართლე ის არის, რომ დიდად კონცენტრირებული და ბოლომდე ფეხბურთზე გადართული ნამდვილად არ ვიყავი. ეს თამაში ძალიან მიყვარდა, მაგრამ ნამდვილად არ მეგონა, თუ „ჰანოვერში“ პროფესიონალი ფეხბურთელი გავხდებოდი. შესაძლოა ეს გარკვეულწილად დამეხმარა კიდეც, რადგან მოდუნებული გახლდით და ზედმეტ ტვირთსა და პასუხისმგებლობას არ ვგრძნობდი.

**- საფეხბურთო გმირები, კერპები თუ გყავთ? ან მისაბაძი ცენტრალური მცველები, რომლების მიბაძვითაც განვითარდა თქვენი კარიერა?**

- არა, ასეთ დონეზე ახლოს არ ვყოფილვარ ფეხბურთთან, რომ კერპები მყოლოდა, უბრალოდ, თამაში მსიამოვნებდა. თუმცა მახსოვს ტონი ადამსი, მისმა თვისებებმა და მინდორზე თამაშის მანერამ ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

**- ვინ არის ყველაზე ნიჭიერი, საუკეთესო მცველი, ვისთან ერთადაც გითამაშიათ და ვის დაასახელებთ თქვენ საუკეთესო პარტნიორად დაცვის ცენტრში?**

- ძალიან ბევრი კარგი ადამიანისა და ფეხბურთელის გვერდით მითამაშია. ყველა მათგანს თავდაცვის თავისებური, უნიკალური ხერხით გამოვარჩევდი და ისინი, მინდვრის გარეთაც ძალიან კარგი პიროვნებები არიან. კარიერის სტარტზე ნაკრებში კრისტოფ მეტცელდერის გვერდით ვთამაშობდი, ახლა ჩემი მეწყვილე ჟერომ ბოატენგია. „ვერდერში“ ნალდო იყო ჩემი პარტნიორი, რომელიც ნამდვილად გამოსარჩევი და შთამბეჭდავი მოთამაშე გახლდათ. ახლა კი ლორენ კოშელნისთან ერთად ვთამაშობ, რომელსაც ბოლომდე ვენდობი. ჩვენ ერთმანეთი უკეთ გავიცანით და კიდევ უფრო შევთამაშდით, რამაც სტაბილური და კარგი შედეგი მოიტანა.

**- თომას შააფსაც და არსენ ვენგერსაც შეგვიძლია ერთი გუნდის მწვრთნელი ვუწოდოთ. როგორ შეაფასებდით მათ და როგორია ვენგერთან მუშაობა?**

- ორივე მწვრთნელს წარმატებულად გამოსდის აგრესიული, შეტევაზე ორიენტირებული თამაშის სტილი, რომელსაც ისინი მუშაობისას ამკვიდრებენ გუნდში და უდიდესი გავლენაც აქვთ. მისტერ ვენგერი „ბოსია“, რომელიც ძალიან ჭკვიანია, შთამბეჭდავი, მშვიდი და მთლიანად კლუბის ცხოვრებაში ჩართული. იგი გუნდის წარმატებაზე მაქსიმალურად ზრუნავს.

**- ახლა, როდესაც უკვე ბევრი მატჩი დაგიგროვდათ კაპიტნის რანგში, როგორ გრძნობთ თავს? მინდორზე ნამდვილი ლიდერის შთაბეჭდილებას ტოვებთ, ეს თვისება მას მერე გამოიმუშავეთ, რაც ასეთი პასუხისმგებლობა დაგეკისრათ, თუ ბუნებრივად გაქვთ ხასიათში?**

- ჩვენ ორი ნამდვილი ლიდერი გვყავს თომას ვერმაელენისა და მიკელ არტეტას სახით. მე, უბრალოდ, როგორც ვახერხებ ვეხმარები მათ და ამით ძალიან ამაყი და ბედნიერი ვარ. კაპიტანი ადრეც ვყოფილვარ ახალგაზრდობაში, მაგრამ „არსენალში“ სამკლავურის მორგება სულ სხვა, ბრწყინვალე შეგრძნებაა. ვფიქრობ, კაპიტნის რანგში საუკეთესო მოგონება „უემბლიზე“ გამართული მატჩია, რომელიც გერმანიასა და ინგლისს შორის ჩატარდა და ჩემი გოლით მოვიგეთ.

**- მაინც ბევრი მიიჩნევს, რომ „არსენალს“ ტონი ადამსისა და პატრიკ ვიეირას შემდეგ, თქვენნაირი ტიპის ლიდერი აკლდა. ბევრი გულშემატკივარი ადამსსაც გადარებთ. მართლაც მოახდინა მან თქვენზე გავლენა და აკვირდებოდით ახალგაზრდობისას მის თამაშს?**

- ტონი ადამსი „არსენალის“ ლეგენდაა, მისით აღფრთოვანებული ვიყავი. გუნდისთვის ძალიან ბევრი აქვს გაკეთებული და „არსენალში“ ჩემს მოკლე კარიერასთან შედარება არ ღირს. თუნდაც მიახლოებით რომ გავხდე ისეთი მნიშვნელოვანი გუნდისთვის, როგორიც ადამსია და რამდენსაც იგი ნიშნავს, ბედნიერი ვიქნები.

**- ძალიან მოგწონთ ის მეტსახელი, რომელიც „არსენალის“ ფანებმა შეგარქვეს. ზოგადად, როგორი ურთიერთობა ჩამოგიყალიბდათ მათთან?**

- მართლა მომწონს ის, თუ როგორი ვნებით ეკიდებიან ფანები ფეხბურთსა და კლუბს. ჯერ უშუალოდ გუნდთან შეგუება და ადაპტაცია დამჭირდა. როდესაც მოვედი, დაცვაში ბევრი პრობლემა იყო და მეც ტრავმამ შემიშალა ხელი. თუმცა შემდეგ ყველაფერი ისე გავაკეთე, როგორც საჭირო გახლდათ და გულშემატკივრებმა დაინახეს, რომ ბოლომდე ვიხარჯებოდი და ეს მოეწონათ. მათთან ძალიან კარგი ურთიერთობა მაქვს.

**- მცველისთვის თქვენ ცოტა სისწრაფე გაკლიათ. ეს გაწუხებთ თუ სხვა ასპექტებში თქვენი სიძლიერის გამო ეს არ გაღელვებთ?**

- შეგვიძლია სირბილში შევეჯიბროთ, თუ გინდათ.

**- ჩემპიონთა ლიგაზე „არსენალის“ მეტოქე „ბაიერნია“. როგორ შეიცვალა ეს გუნდი პეპ გვარდიოლას ხელში?**

- რასაც დავაკვირდი, იმის მიხედვით შემიძლია ვთქვა, რომ ახლანდელ „ბაიერნს“ კიდევ უფრო დიდი ხნით უყვარს ბურთის კონტროლი, ვიდრე წინა სეზონისას. მიუნხენელებმა მშვენივრად მოირგეს „ბარსელონას“ სტილი. მათ წინაალმდეგ თავდაცვა ძნელია, მაგრამ მთელი გუნდით საკმაოდ წინ მოდიან და ეს კონტრშეტევებზე შანსს მოგვცემს.

**- მატს ჰუმელსისა და ტიაგო სილვას დარი მცველები დაცვიდან ბურთის ამოტანაში ძალიან ძლიერები არიან. ცოტა ხნის წინ კი, გერტიან ვერბეეკმა „ნიურნბერგში“ ლიბეროს გამოყენებაზე ისაუბრა. ხომ არ ფიქრობთ, რომ ლიბეროთი თამაშს ახლო მომავალში ისევ აქტიურად დაიწყებენ?**

- არ აქვს მნიშვნელობა 4-4-2-ით თამაშობ თუ 3-6-1-ით, ლიბეროთი თუ მის გარეშე. ვფიქრობ, მთავარია მატჩის მიმდინარეობას მიჰყვებოდე და თამაშს კითხულობდე, თუ გჭირდება ლიბერო, შეგიძლია გამოიყენო კიდეც. თუ მე-9 ნომრის გარეშეა საჭირო შეტევა, მის გარეშე უნდა შეუტიო... მთავარი ფლექსიბელური სისტემაა და სწორი გამოსავლის პოვნა ამა თუ იმ სტუაციიდან. მსიამოვნებს სხვადასხვა შეკითხვაზე პასუხების პოვნა მატჩიდან მატჩამდე.

**- გერმანიის ნაკრებს ხშირად აკრიტიკებენ იმის გამო, რომ დაცვაში სოლიდურად ვერ თამაშობს. თვლით, რომ ამ ნაკრების სუსტი წერტილი უკანა ხაზია? და თუ ასე მიგაჩნიათ, რაშია პრობლემა?**

- ეს რაღაცით „არსენალში“ არსებულ მდგომარეობასაც ჰგავს. ჩვენ ბურთი გვიჭირავს, კარგად ვუტევთ, მომენტებს ვქმნით, მაგრამ ზოგჯერ კარგი თავდაცვა არ გამოგვდის. დაცვა გუნდურად უნდა იყოს გამართული, სხვაგვარად ძალიან რთულია. ეს დიდად გასაკვირი არც არის, რადგან ნაკრებში წელიწადში სულ რამდენჯერმე ვიკრიბებით. თუმცა ახლა უკვე კარგად შევთამაშდით და ბრაზილიისთვის შესაბამისად მომზადებულნი ვიქნებით.

**- ხომ არ გგონიათ, რომ გერმანიის ნაკრებზე ზედმეტი ზეწოლაა? ბევრი ელოდება, რომ მსოფლიოს ჩემპიონატს მოიგებთ, თანაც სამხრეთ ამერიკაში.**

- ფსიქოლოგიურ წნეხს ყოველკვირეულად გრძნობ, ზოგჯერ კვირაში სამჯერაც. მაგალითად „არსენალში“ ფანები აბსოლუტურად ყველა მატჩის მოგებას ელიან, იგივე მდგომარეობაა გერმანიის ნაკრებშიც. შესაბამისად, მიჩვეულნი ვართ და ეს პრობლემას არ ქმნის. მუნდიალი განსაკუთრებულ ნერვიულობას იწვევს ახალგაზრდა მოთამაშეებში, მაგრამ ჩემს ასაკში ყველაფერი უკვე უფრო სათამაშო კლასზეა დამოკიდებული, ხოლო მაღალი სათამაშო დონე და კლასი ნაკრებში არ გვაკლია.

**- თქვენი სტაბილურობიდან გამომდინარე, ნაკრების დაცვის ცენტრში ალბათ პირველი არჩევანი იქნებით. ვის ისურვებდით მეწყვილედ?**

- სათამაშო კარიერის დასრულების შემდეგ, შესაძლოა მწვრთნელის ლიცენზია ავიღო და მერე დეტალურად მოგახსენებთ ჩემს აზრს, თუ როგორი უნდა იყოს ძლიერი დაცვა. ახლა კი ვერაფერს გეტყვით.

**გიორგი პაპაბაძე**

## ამბები

### ლამელა კიდევ თვე-ნახევრით

„ტოტენჰემის“ არგენტინელი ნახევარმცველი **ერიკ ლამელა** ფეხბურთს კიდევ 6 კვირის განმავლობაში ვერ ითამაშებს. სხვადასხვა მიზეზით, 21 წლის სამხრეთამერიკელს 29 დეკემბრის შემდეგ არ უთამაშია. მას ჯერ ბარძაყის ტრავმა აწუხებდა, ახლა კი ლაზარეთში ხერხემლის პრობლემების გამო მოხვდა. ლამელამ მიმდინარე სეზონში პრემიერლიგაში მხოლოდ 9 თამაში ჩაატარა, აქედან 3 ძირითადში და მხოლოდ 1 საგოლე გადაცემა მიითვალა. დეკემბერში მას იტალიაში დაბრუნებასაც კი უწინასწარმეტყველებდნენ, თუმცა **ტიმ შერვუდმა** ტრანსფერი დაბლოკა. შეგახსენებთ, რომ ამდენივე ხნით გამოაკლდა „ტოტენჰემს“ ცენტრალური მცველი **ვლად კირიკეშიც**.

### სახო რეაბილიტაციას სამშობლოში გაივლის

„ლივერპულის“ 23 წლის ცენტრალურ მცველ **მამადუ სახოს** ბარძაყის ტრავმის გამო 2014 წელს ჯერ არ უთამაშია. თუმცა ფეხბურთელი ნელ-ნელა ზრდის დატვირთვებს და 10 დღეში თამაშსაც შეძლებს. „ფიგაროს“ ცნობით, სახო რეაბილიტაციის ბოლო ეტაპს საფრანგეთის ნაკრების ბაზა „კრელფონტენზე“ გაივლის. სრულფასოვან ვარჯიშს მალე განაახლებს „ლივერპულის“ კიდევ ორი ფეხბურთელი - **ხოსე ენრიკე** და **ლუკას ლეივა**. ისინი თამაშს თებერვლის ბოლოს შეძლებენ. აღსანიშნავია, რომ ლეივამ მუხლის ტრავმა იმაზე სწრაფად მოიშუშა, ვიდრე ელოდნენ.

### სანდერლენდი მანჩესტერელს აჯვირდება

2014/15 წლების სეზონისთვის „სანდერლენდს“ „მანჩესტერ იუნაიტედის“ 19 წლის ჩილელი თავდამსხმელის **ანხელო ენრიკესის** იჯარით აყვანა აქვს დაგეგმილი. ამის შესახებ ტაინსაიდური კლუბი „იუნაიტედთან“ მოლაპარაკებებს უახლოეს დღეებში დაიწყებს. თინეიჯერი სამხრეთამერიკელი ამჯერად იჯარით ესპანურ „სარაგოსაში“ თამაშობს, სადაც 14 შეხვედრაში 5 გოლი გაიტანა.

### მანჩინი ყოფილი შეგირდით დაინტერესდა

20 წლის სერბი ცენტრალური მცველი **მატია ნასტასიჩი** „მანჩესტერ სიტიში“ 2012 წლის ზაფხულზე მოხვდა. „ქალაქელებმა“ მასში 14 მილიონი ევრო გადაიხადეს და „იებს“ დამატებით ჩერნოგორიელი **სტეფან სავიჩიც** დაუთმეს. ფეხბურთელმა იოლად მოახერხა ძირითადიდან **ჯოლეონ ლესკოტის** ამოგდება, თუმცა „ეტიჰადზე“ **მარტინ დემიჩელსის** გამოჩენის შემდეგ, უკვე თავად გადაინაცვლა სათადარიგოთა სკამზე. „სიტის“ ექსთავკაც **რობერტო მანჩინის** ყოფილი შეგირდის „გალათასარაიში“ გადაბირება აქვს გადაწყვეტილი.

**ლევან ბიბილაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ჩელსი

# მოურინიოს თეორიის ავ-კარგი



ვიქტორ ანიჩებემ დავიდ ლუისს პოზიციისთვის ბრძოლაში აჯობა და გაათანაბრა

**ჟოზე მოურინიო** თავმდაბლობით არასოდეს გამოირჩეოდა. შესაბამისად, მისი განცხადებები, რომ „ჩელსი" მხოლოდ მომდევნო სეზონისთვის იქნებოდა მზად ჩემპიონობისთვის, ერთი შეხედვით, მორიგ ხრიკად ალიქმება. მეორე მხრივ, ლონდონელთა მოულოდნელი წაფორხილებები ჩემპიონატის არცთუ გამორჩეულ გუნდებთან („ვესტ ჰემი" და ახლა უკვე „ვესტ ბრომვიჩიც") გვაფიქრებინებს, რომ პორტუგალიელის თეორია შეიძლება სადღაც ახლოს იყოს ჭეშმარიტებასთან. „ლურჯებმა" „ჰაუტორნსზე" მეტოქეს პრაქტიკულად ყველაფერში აჯობეს, თუმცა ბოლო 20 წუთში თამაშის სადავეები ხელიდან გაუშვეს და დაისაჯნენ. პორტუგალიელის შეგირდები უსაშველოდ შორს იყვნენ თამაშის იმ ხარისხისგან, რაც „ეტიჰადზე" აჩვენეს რამდენიმე დღის წინ. მოურინიოს მატჩის შემდგომი დასკვნა, რომ შეხვედრა ლოგიკური შედეგით დასრულდა, სამართლიანი გვეჩვენება:

*„მთელი ერთი საათი მოედანზე ფეხბურთს მხოლოდ ჩვენ ვთამაშობდით, მაგრამ შეხვედრის ბედი მაინც ვერ გადავწყვიტეთ. არადა, ამისთვის უამრავი შანსი გვქონდა, განსაკუთრებით მეორე ტაიმის დასაწყისში. ამას მოჰყვა ჯერ 10-წუთიანი ცუდად ჩატარებული მონაკვეთი, ბოლო 20 წუთი კი მასპინძელმა გვაჯობა და ყველაფერი გააკეთა შედეგის მისაღებად. მათმა მონდომებამ ლოგიკური შედეგი გამოიღო. 1:1-ის შემდეგაც კი საკუთარ საჯარიმოში იმდენად ვიყავით გამოკეტილები, რომ პასუხის გაცემა ვერ მოვახერხეთ. დამრჩა შთაბეჭდილება, რომ ჩემს უკანახაზელებს ფიზიკურად აღარ ჰყოფნიდათ ძალები, თავდამსხმელებმა კი მეტოქეზე ზეწოლა შეწყვიტეს და თავისუფლად მოქმედების საშუალება მისცეს. ასეთ რთულ მომენტებში ფეხბურთელების ინდივიდუალური ოსტატობა წყვეტს ყველაფერს, რაც დღეს ძალიან გვაკლდა. ჩემი გუნდი მზად არ აღმოჩნდა ამ თამაშისთვის".*

● ვარსკვლავი. ლუის ჰოლტბი

# ბუნდოვანი მომავალი ლონდონში



ლუის ჰოლტბი

**ლუის ჰოლტბი** 2013 წლის ბოლომდე ირიცხებოდა გერმანიის ახალგაზრდულ ნაკრებში. 2014-დან ასაკის გამო მას ეს უფლება აღარ ექნება, რადგან უკვე 23 წლისაა. მასზე, როგორც გერმანული ფეხბურთის ერთ-ერთ გამორჩეულ ტალანტზე ჯერ კიდევ 4 წლის წინ ალაპარაკდნენ. 2010 წლის ნოემბერში ლუისს ჰოლანდიის ნაკრებთან დებიუტიც კი ჰქონდა „მანშაფტში", თანაც ძირითადში. 3.5 წლის თავზე ის უკვე აღარ ირიცხება **იოახიმ ლიოვის** გუნდში, რისი მიზეზიც არ არის მხოლოდ ის, რომ გერმანელთა ნახევარდაცვის ცენტრში უზარმაზარი კონკურენციაა. ფეხბურთელმა თავად მოუკლო თამაშს. შეიძლება იმის თქმაც, რომ **ანდრე ვილაშ ბოაში** მას თითქმის ერთი წლის განმავლობაში არ აძლევდა შანსს (10 თამაში სასტარტოში), **ტიმ შერვუდმა** კი ის სულაც „ფულჰემში" გაუშვა პრაქტიკის მისაღებად. უქმეებზე ახალ კლუბში ჰოლტბიმ პირველად უჩვენა ის, რაც შეუძლია - „ოლდ ტრეფორდზე" **სტივ სიდუელს** გაატანინა. აი, რას აცხადებს ფეხბურთელი:

*„მე და ჯერმეინ დეფოს ყოველთვის გამოგვდიოდა თამაში ევროპალიგის შეხვედრებში, თუმცა ტყუილად ვცდილობდით შანსის მოპოვებას პრემიერლიგაში. რატომ? ჯერ კიდევ ვცდილობ, მივხვდე, თუ რაში იყო პრობლემა, მაგრამ შეკითხვაზე პასუხს ვერ ვპოულობ. რამდენჯერმე ხომ მართლა კარგად ვითამაშე. საბედნიეროდ, პრობლემა ამ ეტაპზე მოგვარებულია. მიხარია, რომ „ფულჰემში" აღმოვჩნდი. არა იმიტომ, რომ გუნდს უჭირს და მეტი შანსი მექნება, არამედ იმის გამო, რომ მისტერ მალენსტენის საფეხბურთო ხედვა უბრალოდ ძალიან მომწონს. ვგრძნობ, რომ აქ მენდობიან. ცხადია, მინდა, ამისთვის მადლობა კარგი თამაშით გადავუხადო. „ტოტენჰემთან" ხელშეკრულებაში 4 წელი მრჩება, ასე რომ, მომავალში რა იქნება, ამაზე ახლა ვერ ვილაპარაკებ. ჩემ წინაშე ამ ეტაპზე ერთადერთი ამოცანაა - შევუნარჩუნო „ფულჰემს" ადგილი პრემიერლიგაში".*

● მანჩესტერ იუნაიტედი

# მოიესი იუნაიტედის ფანებში ნდობას კარგავს

## გარი ნევილი მწვრთნელის დატოვების მომხრეა

2014 წელს „მანჩესტერ იუნაიტედმა" სულ 9 თამაში ჩაატარა სხვადასხვა ტურნირში, აქედან 3 მოიგო, 1 ფრედ ითამაშა და 5-ჯერ დამარცხდა. სიტუაციას ამძიმებს ისიც, რომ გუნდი იანვარში მიყოლებით გამოვარდა ჯერ ასოციაციის თასიდან, შემდეგ ამას ლიგის თასზე მარცხიც მიაყოლა პენალტების სერიაში. ასე რომ, სულაც არ არის გასაკვირი, რომ 50 წლის **დევიდ მოიესის** რეიტინგი ისეთი დაბალია, როგორც არასდროს. გულშემატკივართა რიცხვი, ვინც მოიესისთვის ერთი წლით კიდევ ითხოვს ნდობის გამოცხადებას, 73%-დან 51-მდე დაეცა, 20%-დან 32-მდე გაიზარდა იმ ფანების ჯგუფი, ვინც სეზონის ბოლოს ითხოვს შოტლანდიელის გათავისუფლებას. მიუხედავად უმძიმესი კრიზისისა, „იუნაიტედის" მხარდამჭერთა მხოლოდ 17% ითხოვს მოიესის დაუყოვნებლივ გაშვებას.

ერთ-ერთი, ვინც მოიესს მხარდაჭერას უცხადებს, „იუნაიტედის" ყოფილი კაპიტანი **გარი ნევილია**. 38 წლის ვეტერანი აცხადებს, რომ მწვრთნელების უთავბოლო ცვლა კლუბის ტრადიციებს



გარი ნევილი მოიესის მხარდამჭერად რჩება

ეწინააღმდეგება და შესაბამისად, ხელმძღვანელობა მოიესს მაქსიმალურად უნდა დაუდგეს გვერდით:

*„ჩემთვის „იუნაიტედი" განსაკუთრებული კლუბია თავისი საფეხბურთო ფილოსოფიით. აქ მენეჯერებს ყოველთვის განსაკუთრებულად ენდობოდნენ და მსგავს მიდგომას შედეგი ყოველთვის მოჰქონდა. მოიესი თავაუღებლად შრომობს წარმატებებისთვის. აღარაფერს ვამბობ სერ ალექს ფერგიუსონზე, იქამდეც კი ტომი დოჰერტის, დეივ სექსტონსა და რონ ატკინსონს ზურგს მუდამ უმაგრებდა მენეჯმენტი. დევიდი არანაკლებ იმსახურებს ნდობას, ვიდრე მისი წინამორბედები. „იუნაიტედი" არც „ჩელსია" და არც „რეალი", საიდანაც მწვრთნელებს მაშინაც კი ათავისუფლებდნენ, როცა ისინი მნიშვნელოვან ტიტულებს იგებდნენ. „იუნაიტედი" უნდა განსხვავდებოდეს სხვებისგან და ამავე აზრზე დავრჩები მაშინც კი, თუკი გუნდი ჩემპიონთა ლიგის მიღმა დარჩება".*

გვერდი მოამზადა
ლევან ბიბილაშვილმა

● ინგლისი. პრემიერლიგა. XXVI ტური



ლივერპულს გამარჯვება ჯერარდის პენალტმა მოუტანა

**არსენალი-იუნაიტედი 0:0**

**არსენალი** (4-2-3-1): შჩესნი - სანია, მერტეზაკერი, კოშელნი, გიბსი - არტეტა, უილშირი - როსიცკი (74. ოქსლეიდ-ჩემბერლენი), იოზილი, კასორლა - ჟირუ

**იუნაიტედი** (4-2-3-1): დე ხეა - რაფაელი (46. ფერდინანდი), ვიდიჩი, სმოლინგი, ევრა - კერიკი, კლევერლი - ვალენსია (82. იანგი), მატა (75. იანუზაი), რუნი - ვან პერსი

**გაფრთხილება:** სანია - ვალენსია, იანგი

**კარში დარტყმა:** 17-6 (5-2) **კუთხური:** 5-5 **თამაშგარე:** 1-2 **ჯარიმა:** 10-14 **ბურთის ფლობა:** 57%-43%

**მაყურებელი:** 60 021

**ნიუკასლი-ტოტენჰემი 0:4**

**გოლები:** 0:1 ადებაიორი (19), 0:2 პაულინიო (53), 0:3 ადებაიორი (82), 0:4 შადლი (88)

**ნიუკასლი** (4-4-2): კრული - დებუში, ს. ტეილორი, უილიამსონი, სანტონი (46. დამეტი) - ანიტა, სისოკო, გუფრანი, ს. ამეობი (71. მარვო) - სისე, დე იონგი (63. ბენ არფა)

**ტოტენჰემი** (4-2-3-1): ლორისი - უოლკერი, კაბული, ვერტონგენი, ნაუტონი - კაპუ, ბენტალები - ლენონი (75. შადლი), დემბელე (64. ტაუნსენდი), პაულინიო – ადებაიორი (82. სოლდადო)

**გაფრთხილება:** არ ყოფილა

**კარში დარტყმა:** 13-15 (5-8) **კუთხური:** 8-6 **თამაშგარე:** 3-0 **ჯარიმა:** 6-11 **ბურთის ფლობა:** 49%-51%

**მაყურებელი:** 48 264

**სტოკი-სუონსი 1:1**

**გოლები:** 1:0 კრაუჩი (17), 1:1 ჩიკო (52)

**სტოკი** (4-2-3-1): ბეგოვიჩი - კემერონი, შოუკროსი, უილსონი, პიტერსი - უელანი (68. გუიდეტი), ადამი - ოდემვინგი, უოლტერსი (56. ნზონზი), არნაუტოვიჩი (56. ასაიდი) - კრაუჩი

**სუონსი** (4-2-3-1): ვორმი - რანხელი, უილიამსი, ჩიკო (52. ერნანდესი), ბ. დევისი - ბრიტონი (90. ამატი), კანიასი - რუტლეჯი, დაიერი (82. ემნესი), ერნანდესი (75. დე გუზმანი) - ბონი

**გაფრთხილება:** ადამი, კრაუჩი - უილიამსი, ბრიტონი

**კარში დარტყმა:** 7-14 (4-3) **კუთხური:** 2-5 **თამაშგარე:** 0-1 **ჯარიმა:** 11-12 **ბურთის ფლობა:** 36%-64%

**მაყურებელი:** 24 822

**ფულჰემი-ლივერპული 2:3**

**გოლები:** 1:0 კ. ტურე (8-ს.კ-ში), 1:1 სტარიჯი (41), 2:1 რიჩარდსონი (63), 2:2 კოუტინიო (72), 2:3 ჯერარდი (90+1-პენ)

**ფულჰემი** (4-2-3-1): სტეკელენბურგი (76. სტოკდეილი) - რიტერი, ჰეიტინგა, ბერნი, რიისე - სიდუელი, კვისტი - რიჩარდსონი (71. კაჩანიკლიჩი), ჰოლტბი, ტანკლიფი - ბენტი

**ლივერპული** (4-4-2): მინიოლე - ფლენაგანი, კ. ტურე, შკრტელი, სისოკო - ჯერარდი, ჰენდერსონი, კოუტინიო (90+3. აგერი), სტერლინგი (82. კარლოსი) - სტარიჯი, სუარესი

**გაფრთხილება:** კვისტი, რიტერი, რიჩარდსონი, ჰეიტინგა - კოუტინიო, ჰენდერსონი, ჯერარდი

**კარში დარტყმა:** 10-21 (3-7) **კუთხური:** 7-5 **თამაშგარე:** 0-0 **ჯარიმა:** 7-9 **ბურთის ფლობა:** 31%-69%

**მაყურებელი:** 23 000

სიტი-სანდერლენდი — გადაიდო
ევერტონი-პალასი — გადაიდო

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩელსი | 26 | 17 | 6 | 3 | 48-21 | 57 |
| 2. არსენალი | 26 | 17 | 5 | 4 | 48-26 | 56 |
| 3. სიტი | 25 | 17 | 3 | 5 | 68-27 | 54 |
| 4. ლივერპული | 26 | 16 | 5 | 5 | 66-32 | 53 |
| 5. ტოტენჰემი | 26 | 15 | 5 | 6 | 36-32 | 50 |
| 6. ევერტონი | 25 | 12 | 9 | 4 | 37-26 | 45 |
| 7. იუნაიტედი | 26 | 12 | 6 | 8 | 41-31 | 42 |
| 8. საუთჰემპტონი | 26 | 10 | 9 | 7 | 37-29 | 39 |
| 9. ნიუკასლი | 26 | 11 | 4 | 11 | 32-38 | 37 |
| 10. სუონსი | 26 | 7 | 7 | 12 | 33-36 | 28 |
| 11. ვესტ ჰემი | 26 | 7 | 7 | 12 | 28-33 | 28 |
| 12. ასტონ ვილა | 26 | 7 | 7 | 12 | 27-36 | 28 |
| 13. ჰალი | 26 | 7 | 6 | 13 | 25-31 | 27 |
| 14. სტოკი | 26 | 6 | 9 | 11 | 27-41 | 27 |
| 15. პალასი | 25 | 8 | 2 | 15 | 18-34 | 26 |
| 16. ნორვიჩი | 26 | 6 | 7 | 13 | 19-39 | 25 |
| 17. ვესტ ბრომვიჩი | 26 | 4 | 12 | 10 | 30-38 | 24 |
| 18. სანდერლენდი | 25 | 6 | 6 | 13 | 25-38 | 24 |
| 19. კარდიფი | 26 | 5 | 7 | 14 | 19-44 | 22 |
| 20. ფულჰემი | 26 | 6 | 2 | 18 | 26-58 | 20 |

**საუკეთესო ბომბარდირები:** 23 - ლუის სუარესი (ლივერპული), 16 - დენიელ სტარიჯი (ლივერპული), 15 - სერხიო აგუერო (მანჩესტერ სიტი)



რეგიონი

# მეხუთენი უკრაინაში

რამდენიმე დღის წინ გორელ ხელბურთელთა გუნდმა უკრაინის ქალაქ მელიტოპოლში გამართულ მეორე მსოფლიო ომის გმირის, ბობროვის მემორიალურ მე-16 ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირზე იასპარეზა. შეჯიბრებაში მონაწილე 28 გუნდს შორის გორელები მეხუთე ადგილზე გავიდნენ. პირველობისათვის უკრაინის, რუსეთის, ბელორუსის, მოლდოვის და საქართველოს 1998-2000 წლებში დაბადებული ხელბურთელები იბრძოდნენ.

აღნიშნული ტურნირი პოსტსაბჭოთა სივრცეში ერთ-ერთ საუკეთესოდ ითვლება. გორელებს იქ რამდენიმე წელია რაც ეპატიჟებიან, თუმცა აქამდე ვერც ერთხელ მოხერხდა სათანადო ფინანსების გამონახვა შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად. ამჯერად ჭაბუკი ხელბურთელები გორის მუნიციპალიტეტის „სპორტულმა ცენტრმა“ დააფინანსა. შეგახსენებთ, რომ აქაური გუნდის მთავარი მწვრთნელი გია მამაცაშვილი გორში სამწვრთნელო კარიერის დაწყებამდე დნეპროპეტროვსკის ხელბურთის გუნდში თამაშობდა და კონტაქტი იქაურ სპორტულ წრეებთან უკრაინიდან წამოსვლის მერეც შეინარჩუნა.

მელიტოპოლის ტურნირზე 28 გუნდი პირველ ეტაპზე ოთხ ქვეჯგუფში გადაანაწილეს. გორელებმა დაამარცხეს „გროდნო 2001“ ანაგრიშით 15:6, „დონეცკი“ - 15:8, „ხარციზკი“ - 12:7, „ბელგოროდი“ - 23:5 და წააგეს მხოლოდ მასპინძელთა გუნდთან 13:17.

ქვეჯგუფში პირველ ადგილზე სწორედ მასპინძლები, ხოლო მეორეზე გორელები გავიდნენ. დებულების მიხედვით ქვეჯგუფებში პირველ ადგილებზე გასულებმა I-IV ადგილების მოსაპოვებლად იბრძოლეს, მეორეადგილოსნები (მათ შორის გორი) მე-5 ადგილისათვის პაექრობაში ჩაერთნენ.

„გორმა“ ორივე შეხვედრაში გაიმარჯვა - „ვოლგოგრადთან“ 18:10, ოდესის „იუჟნისთან“ 14:11.

გორელი ხელბურთელი **დავით ნიაზაშვილი** ტურნირის სიმბოლურ ნაკრებში მოხვდა, ხოლო საუკეთესო ხელბურთელთა ათეულში იგი მერვე პოზიციაზე იყო.

- ასეთი დონის ტურნირში მხოლოდ მონაწილეობაც კი სასიკეთოდ წაადგებოდა ჩვენი ხელბურთის განვითარებას, თუმცა უკრაინაში მხოლოდ საასპარეზოდ არ ჩავსულვართ. ჩატარებული 8-დან 7 მატჩის მოგება, ცხადია, კარგი შედეგია. შეჯიბრება რომ სხვა ფორმატით გამართულიყო, ადვილი შესაძლებელია, უფრო მაღალი ადგილიც დაგვეკავებინა. საგულისხმოა, რომ ტურნირის ორგანიზატორებს და დარბაზში შეკრებილ მაყურებელს კმაყოფილება არ დაუმალავს გორელი ხელბურთელების თამაშის გამო. უკრაინიდან ახალი ჩამოსულები ვართ და უკვე მარტსა და ივნისში გასამართ კრაკოვისა (პოლონეთი) და ტოლიატის (რუსეთი) ტურნირების ორგანიზატორებისგან მოგვივიდა მოწვევა, - გვითხრა გია მამაცაშვილმა.

უკრაინაში, ბობროვის მემორიალურ ტურნირზე „გორი“ ასეთი შემადგენლობით გამოვიდა: **გიორგი ვათიაშვილი და გიორგი გიგაური (მეკარეები), დავით ნიაზაშვილი, ლევან კვარაცხელია, გიორგი ახალბედაშვილი. თამაზ ტარუაშვილი, გიორგი ხელაძე, ლევან ლვინიაშვილი.**

ნიშანდობლივია, რომ ვათიაშვილი და ტარუაშვილი საქართველოს ასაკობრივი ნაკრების წევრები არიან.

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან






კალათბურთი



# ვიქტორ სანიკიძე: ჩეხეთი მწარედ გვახსოვს!

ფიბა-ევროპის ოფიციალურ ვებ-საიტზე გამოქვეყნდა ვრცელი პუბლიკაცია საქართველოს ნაკრების შესახებ, რომელზეც **ვიქტორ სანიკიძე** მოგვითხრობს. მეტს აღარ განვაგრძობთ, ვთარგმნოთ **დიმიტრის კონტოსის** პუბლიკაცია.

„ზოგიერთი კალათბურთელი შეიძლება შევადაროთ მსოფლიო მოგზაურს, რომელმაც ახალგაზრდულ ასაკში დატოვა საკუთარი სამშობლო, ერთ დღეს ერთ ქვეყანაშია, მეორე დღეს - მეორეში.

ვიქტორ სანიკიძეს ევროპის არაერთ ქვეყანაში უცხოვრია, ერთი წელი ამერიკაში გაატარა, თუმცა იგი იმ ადამიანთა კატეგორიიდანაა, აქტიური კარიერის დასრულების შემდეგ საქართველოში დაბრუნებას რომ აპირებს:

*- კითხვა არ უნდა, სამშობლოში ვიცხოვრებ. თბილისში ხომ ჩემი ოჯახის წევრები და ახლო მეგობრები არიან. ვერ წარმომიდგენია, როგორ უნდა ვიყო ოჯახისა და მეგობრების გარეშე. ამასთან, ჯერ მეუღლე არ მყავს და გარანტიას გაძლევთ, კარიერის დასრულების შემდეგ აუცილებლად თბილისში დავბრუნდები.*

**გუნდის ძირითადი ბირთვი თითქმის ერთი ათეული წელია გვერდით ვთამაშობთ და ერთმანეთს შესანიშნავად ვიცნობთ. ასე რომ, მწვრთნელის სამუშაო ნამდვილად არ იქნება ზერთული**

გულშემატკივართა საბედნიეროდ ვიქტორ სანიკიძე კარიერის დასრულებას არ აპირებს. მას არაერთი სერიოზული მისია აქვს შესასრულებელი. მაგალითად: ამ ზაფხულს საქართველოს ნაკრები ევრო-2015-ის შესარჩევ ტურნირში ჩაერთვება. მისი მეტოქეები იქნებიან ჩეხეთი, პორტუგალია და უნგრეთი.

*- ინტერესით ველოდით წილისყრას და მისი შედეგით გახარებულები ვართ, რადგან მიგვაჩნია - საქართველოს ნაკრებს ამ ჯგუფიდან ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრა რეალურად შეუძლია, - ამბობს ვიქტორი, - მეტსაც გეტყვით: ფავორიტები ვართ. მიმაჩნია, რომ წილისყრის მონაწილე ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ნაკრები საქართველოა და დარწმუნებული ვარ, ევრობასკეტზე ზედიზედ მესამედ ვითამაშებთ.*

**ყველა ერთად ვართ, საქართველოს ნაკრებიც ძლიერი გუნდია და სწორედ ამიტომ, ვფიქრობ - უკრაინაში ჩვენს ნაკრებს კარგი ევრობასკეტი ელის**

ქართველები ერთ მეტოქეს ძალიან კარგად იცნობენ. ევრობასკეტი 2013-ზე ჩეხებმა ბოლო წლების საუკეთესო მატჩი სწორედ ქართველებთან ითამაშეს და 95:79 გაიმარჯვეს. სწორედ ამ მარცხის შემდეგ გადაწყდა, რომ ქართველები მეორე ეტაპზე მოხვედრისთვის ბრძოლას ვერ განაგრძობდნენ.

*- დიახ, ჩვენი მთავარი კონკურენტი ჩეხეთის ნაკრებია. მწარედ გვახსოვს მასთან დამარცხება ევროპის ჩემპიონატზე. გვეხსომება შესარჩევ ეტაპზეც, რომელსაც 10 აგვისტოს სწორედ ჩეხეთთან საშინაო მატჩით გავხსნით. ჩვენთვის მეტად მნიშვნელოვანი შეხვედრა იქნება. ჩეხებს ხურდა უნდა დავუბრუნოთ, - ესეც სანიკიძის სიტყვებია.*

## მესამედ

ვიდრე საქართველოს ნაკრები ევროპული ელიტის ნაწილად იქცეოდა, გრძელი გზა განვლო. ბოლო ოთხი წელია, „ჯორჯია“ ყველასთვის სერიოზული გუნდია, ეს ევრობასკეტი-2011-ის მეორე ეტაპზე გასვლითაც დაადასტურა და დღეს ვიქტორ სანიკიძე ამიტომაც ლაპარაკობს თამამად - უკრაინაში გასამართ ევრო-2015-ზე მოვხვდებითო. ქართველებს **ზაზა ფაჩიულიასა** და **თორნიკე შენგელიას** დაბრუნების იმედი აქვთ, რომლებმაც 2013 წლის კომპანია ტრავმების გამო გამოტოვეს.

*- სლოვენიის ევრობასკეტისას ბევრი ტრავმირებული გვყავდა. იმედი მაქვს, ამ ზაფხულს გუნდს ყველა შემოუერთდება და შესარჩევზე ერთობლივი ძალებით ვითამაშებთ. ფაჩულია და შენგელია ჩემი მეგობრები არიან, მათთან წილისყრის შემდეგაც ვილაპარაკე და შევთანხმდით, რომ ჯგუფიდან გასვლის დიდი შანსი გვაქვს. როცა ყველა ერთად ვართ, საქართველოს ნაკრებიც ძლიერი გუნდია და სწორედ ამიტომ, ვფიქრობ - უკრაინაში ჩვენს ნაკრებს კარგი ევრობასკეტი ელის.*

ერთი საინტერესო დეტალი: ჯერაც უცნობია, ვინ გაწვრთნის საქართველოს ნაკრებს. საკითხავია, გააფორმებს თუ არა სერბი **იგორ კოკოშკოვი** ახალ კონტრაქტს. აქედან გამომდინარე, ვიქტორ სანიკიძესაც არ აქვს ზუსტი პასუხი სამწვრთნელო საკითხზე:

*- ვინ გაწვრთნის საქართველოს ნაკრებს? - სერიოზული კითხვაა, რაზეც დღეს ვერაფერს გიპასუხებთ. თუმცა გუნდის ძირითადი ბირთვი თითქმის ერთი ათეული წელია გვერდით ვთამაშობთ და ერთმანეთს შესანიშნავად ვიცნობთ. ასე რომ, მწვრთნელის სამუშაო ნამდვილად არ იქნება ზერთული. ვფიქრობ, ჩვენი გაძლოლა არ გაუჭირდება.*

საქართველოს ნაკრებს იგორ კოკოშკოვი წვრთნიდა, როცა გუნდი პირველად მოხვდა ევროპის ჩემპიონატზე (2011 წელს). ამას მოჰყვა ევრობასკეტი 2013...

*- დიდად ვაფასებ იგორ კოკოშკოვის მიერ გაწეულ შრომას. ყოველთვის ვამბობდი და ახლაც გავიმეორებ - ქართველი ხალხი მისი გარჯის მუდამ მადლიერი იქნება.*

## ქართული კავშირი სარაგოსაში

ვიქტორ სანიკიძე ესპანეთში დიდი ხნის მოგზაურობის შემდეგ დაბრუნდა.

**გიორგი შერმადინი საჭირო დროს საჭირო ადგილას მოხვდა**

იგი 2006 წელს მადრიდის „ესტუდიანტესში“ გამოდიოდა, შემდეგ ითამაშა ესტონურ „ტარტუ როკში“, იტალიურ „ვირტუსსა“ და „მონტეპასკიში“. ახლა კი „სარაგოსას“ მაისურით ესპანეთის სამეფო თასზე ითამაშა.

*- სამეფო თასი ჩემთვის დიდი გამოცდილება იყო. ნამდვილად არ მოველოდი, თუ ასეთი მნიშვნელოვანი მოვლენა იქნებოდა. იტალიელებს არ ეწყინებათ თუ ვიტყვი, რომ იქაური თასის გათამაშებისგან განსხვავებულია. მოხარული ვარ, რომ სამეფო თასის მონაწილე გავხდი. კიდევ უფრო სასიამოვნოა, რომ ჩვენი გუნდი ნახევარფინალში გავიდა, რასაც „სარაგოსასგან“ ბევრი არ მოელოდა.*

მეოთხედფინალში „სარაგოსამ“ მასპინძელი „უნიკახა“ დაამარცხა - 79:74. ვიქტორმა 12 ქულა და 8 მოხსნა მოაგროვა. ნახევარფინალში არაგონელთა მეტოქე „რეალი“ იყო...

*- მადრიდელების წინააღმდეგ მძიმე ბრძოლა გვქონდა. „რეალი“ ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო კლუბია და ერთ-ერთი საუკეთესო შემადგენლობა ჰყავს. ამიტომ, მის წინააღმდეგ თამაში ძალიან ძნელია, მით უმეტეს, გამარჯვება.*

ათლეტური ქართველი ფორვარდად ორივე პოზიციაზე თამაშობს, პერიმეტრიდან ტყორცნაც შეუძლია და ფარქვეშ დრიბლინგით შესვლაც. იგი აპრილში 28 წლისა გახდება. ზოგის თქმით, კალათბურთელისთვის საუკეთესო სწორედ ეს ასაკია.

*- ძნელი სათქმელია, რა ასაკში ავლენს მოთამაშე შესაძლებლობებს უკეთესად, თუმცა ყოველთვის ვცდილობ მაქსიმალურად დავიხარჯო და გუნდს წარმატებაში დავეხმარო. ვნახოთ, მიმდინარე სეზონში რამდენად წინ წავა „სარაგოსა“... სეზონის ბოლოს თუ მკითხავთ, როგორი კალათბურთელი ვარ, გუნდის შედეგებიდან გამომდინარე გიპასუხებთ.*

სანიკიძე „სარაგოსაში“ ერთადერთი ქართველი არ არის. მასთან ერთად 216 სმ სიმაღლის **გიორგი შერმადინი** თამაშობს.

*- გიორგი შესანიშნავად გამოიყურება, კარგად შრომობს და შემიძლია ვთქვა, რომ საჭირო დროს საჭირო ადგილას მოხვდა. მას გასულ წლებში სათამაშო დრო საკმარისად არ ჰქონდა, ახლა კი გუნდის ერთ-ერთი ლიდერია. საშუალოდ 25 წუთს თამაშობს, რაც სრულიად საკმარისია შესაძლებლობების სრულფასოვნად გამოვლენისთვის. მჯერა, გიორგი კიდევ ბევრს მიაღწევს.“*

მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**



ჩოგბურთი

## შაფათავა ნახევარფინალში

თბილისელი **სოფიო შაფათავა** ბალტიისპირეთში, კერძოდ, ტალინის 15.000-იან ტურნირში ცდის ძალებს. უკვე გაუწყეთ, რომ ერთეულებში იგი გამოეთიშა შეჯიბრებას, სამაგიეროდ, წყვილებში მიიწევს წინ დაუბრკოლებლად: ჩვენებური სლოვენიელ მაშა ზეკ-პესკირიჩთან არის შეამხანაგებული და ასპარეზობის რეიტინგფავორიტია. ქართულ-სლოვენიურმა დუეტმა სტარტზე მასპინძლები - ელზა მაი კონიკი და იანა კუზოვკოვა დაჯაბნა - 6:3, 6:2, მერე სომეხი ანი ამირაგიანი და უკრაინელი განა პოზნიხირენკო ჩამოიშორა გზიდან - 7:6, 7:5, ნახევარფინალში კი შაფათავას და ზეკ-პესკირიჩს გერმანელი კიმ-ალისე გრაიდეკი და მოლდოველი იულია ჰელბეტი გაუწევენ მეტოქეობას. ამ დუეტმა მასპინძლებს - ვალერია კორლატსა და იულია მატოიანს დააყრევინა ფარ-ხმალი - 6:4, 6:3. მეორე ნახევარფინალში ითამაშებენ: ანდრეს ბუკტა (უნგრეთი), ვიქტორია ტომოვა (ბულგარეთი) და ემა ლაინე (ფინეთი), ანა ვრლჯიჩი (ხორვატია).

## ანტალია ქართველებს სწყალობს

ქალთა ტრადიციულ 10,000-იან ტურნირში მონაწილეობენ **ეკატერინე გორგოძე** და **სოფიო ქვაცაბაია.** ამ შეჯიბრებას ანტალია მასპინძლობს. გუშინ ქვაცაბაიამ ერთეულთა თანრიგის პირველ წრეში იაპონელი ნაცუმი ჩიმურა ჩამოიშორა გზიდან - 6:4, 6:4. მერვედფინალში იგი ვიქტორია მუნტეანის (საფრანგეთი) მძლეველ (6:2, 6:7, 7:5) იანა სიზიკოვას (რუსეთი, ტურნირის მე-2 ნომერი) შეხვდება, ხოლო ეკატერინე გორგოძე, როგორც გაუწყეთ, მე-2 წრეში უკრაინელ ალონა ფომინასთან გაარკვევს ურთიერთობა.

ქართველი ჩოგბურთელები არც წყვილებში ნებდებიან მეტოქეებს: გორგოძემ და პია კონიგმა (ავსტრია), რომლებსაც მე-4 განთესვა აქვთ, გუშინ ჩინელები - ბოიან ვენი და ჟაოჰუან იანი ჩამოიშორეს გზიდან - 5:7, 7:6, 10:7. მეოთხედფინალშიც მეტოქეებად აზიელები ეყოლებათ - იონ ლი და ლინ ჟუნი. ესენ კოკჩეს (თურქეთი) და ქვაცაბაიას რეიტინგფავორიტები - ალონა ფომინა (უკრაინა) და ქრისტინა შაკოვეცი (გერმანია) გამოცდიან.

## ანამ პირველი ბარიერი გადალახა

მიდლენდში (აშშ) ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირზე (საპრიზო ფონდი 100.000 დოლარი) წარმატებით აიღო სტარტი თბილისელმა **ანა ტატიშვილმა,** რომელიც მე-7 ნომრადაა განთესილი. პირველ წრეში მან 17 წლის ჩიკაგოელ ტეილორ თაუსენდს აჯობა - 7:6, 6:2. მეორე წრეში ჩვენებური ჰიტა ვატსონსა (დიდი ბრიტანეთი) და ელენი დანილიდუს (საბერძნეთი) შორის გამარჯვებულს შეხვდება. წყვილებში ერთად ითამაშებენ ტატიშვილი და ვატსონი. მათი მეტოქეა ასია მუჰამადისა და ტეილორ თაუსენდის (ორივე - აშშ) ტანდემი. ტურნირის რეიტინგფავორიტია კლასიფიკაციით 45-ე საფეხურზე მყოფი ურსულა რადვანსკა (პოლონელი ჩოგბურთელი 2010 წლის ოქტომბერში 29-ეც იყო). პირველ წრეში მან მასპინძელი საშა ვიკერი დაამარცხა - 6:4, 7:5 და მერვედფინალში კატერინა სინიაკოვას (ჩეხეთი) დაუპირისპირდება.

**ვაჟა დანელია**


ანა ტატიშვილი



## ქრისტეფორე ნინიაშვილი

92 წლისა გარდაიცვალა სამბოს, ძიუდოსა და ქართული ჭიდაობის ნამდვილი პატრიარქი, საქართველოსა და საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, სპორტის დამსახურებული მოღვაწე, საბჭოთა კავშირის ორგზის ჩემპიონი სამბოში, ღირსების ორდენის კავალერი, ქართული სპორტის ჭეშმარიტი მოჰიკანი ქრისტეფორე ნინიაშვილი.

მისი საკუთარი სახელივით ღვთისნიერი კაცი იყო. სისხლხორცეულად ინტელიგენტი.

მეორე მსოფლიო ომიდან დაჭრილი ჩამოვიდა, იხტიბარი მაინც არ გაიტეხა, სსრკ ორგზის ჩემპიონი და სამგზის პრიზიორი გახდა სამბოში... ის დაიბადა დიდი ივანე ჯავახიშვილის სოფელ ხოვლეში (კასპი) და ამით ყოველთვის ამაყობდა კიდეც. იქვე ეზიარა ჩვენი ეროვნული ჭიდაობის მადლს ზაქარია (კულა) იანვარაშვილთან.

როგორც მწვრთნელმა მთელი ეპოქა შექმნა სამბოში, ხოლო ძიუდოს პირველი ჩემპიონ-პრიზიორები ქრისტეფორეს აღზრდილი სამბისტები იყვნენ და არიან.

სხვათა შორის, ჩვენი ძიუდოს პირველი დამსახურებული მწვრთნელებიც ქრისტეფორეს აღზრდილებია. მათთან ერთად ზრდიდა ის ტატამის ოსტატებს.

დიდია ქრისტეფორე ნინიაშვილის ღვაწლი ქართული ჭიდაობის განვითარების საქმეში.

ილია სვანელი-თომაშვილის შემდეგ - 1950 წლიდან ვიდრე 1972 წლის ჩათვლით საქართველოს სამბისტთა ნაკრებს ქრისტეფორე ნინიაშვილი ედგა სათავეში. მეორე ნაკრებს კი ქრისტეფორეს უმცროსი ძმა აკაკი ნინიაშვილი (1925-2010). „ნინიაშვილების სკოლამ“ საქვეყნოდ გაითქვა სახელი.

ნინიაშვილების ქურაში გამოიწრთო არაერთი ღირსეული მოჭიდავე და საუცხოო ადამიანი.

„მწვრთნელთა მწვრთნელი“ ქრისტეფორე ნინიაშვილი მსაჯობის მამნავლებელიც იყო.

სპორტს ეზიარნენ და თავიანთი სიტყვა თქვეს ამ საქმეში ქრისტეფორეს შვილებმა და შვილიშვილებმაც. ქრისტეფორეს მამა ვანო ნინიაშვილიც თავის დროზე კარგი ქართულის მოჭიდავე იყო. ასე რომ, სპორტი ნინიაშვილების საუკეთესო ტრადიციაა. ქრისტეფორე კი ამ ტრადიციის დიდოსტატი იყო, რომლის სახელი სამუდამოდ დარჩება ქართული სპორტის, სამბოს, ძიუდოს და ქართული ჭიდაობის მატიანეში.

საქართველოს სამბოს
ეროვნული ფედერაცია

**პანაშვიდი:** 13-14 თებერვალს
გამოსვენება შაბათს 15 თებერვალს, 14 საათზე.
მისამართი თბილისი თევდორე მღვდლის ქ. 24

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოჭი 2014

ფიფქ(რ)ები თეთრ ოლიმპიადაზე




თენგიზ გაჩეჩილაძე სოჭიდან

# სულიკო...

## ნოდარ ქუმარიტაშვილს გაიხსენებენ

ზუსტად ერთი ოლიმპიური ციკლი გავიდა მას შემდეგ, რაც ვანკუვერის ზამთრის ოლიმპიადაზე, თამაშების გახსნის წინადღეს, ვარჯიშზე ტრაგიკულად დაიღუპა ქართველი მოციგავე **ნოდარ ქუმარიტაშვილი.** ეს მოხდა 2010 წლის 12 თებერვალს ვისტლერის საციგაო ტრასაზე. სპეციალურად ამ დღეს, 12 თებერვალს დაამთხვიეს გუშინ, სოჭის ოლიმპიადაზე საციგაო სპორტის საერთაშორისო ფედერაციის ალმასკომის სხდომა, რომელსაც ესწრებოდა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი **ტომას ბახი.** ალმასკომის წევრებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს ქართველი სპორტსმენის ხსოვნას. აღინიშნა, რომ ვისტლერის მოსახლეობა, სადაც ნოდარი დაიღუპა, მემორილთან მისი ხსოვნის ღონისძიებით აღინიშნება.

## შეხვედრა შვეიცარიის ელჩთან

როგორც ცნობილია, რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობა საქართველოს არ აქვს და ამ სფეროში შუამავლის როლს რუსეთის ფედერაციაში შვეიცარიის საელჩო ასრულებს. შვეიცარიის ელჩი ამჟამად სოჭის ოლიმპიადაზე იმყოფება და მან სურვილი გამოთქვა აქ, ოლიმპიადაზე, შვეიცარიის სახლში შეხვდეს საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელობას, კონკრეტულად სეოკ-ის - პრეზიდენტს **ლერი ხაბელოვს,** გენერალურ მდივანს **ემზარ ზენაიშვილს** და ვიცე-პრეზიდენტს, სოჭში ჩვენი ოლიმპიური მისიის ხელმძღვანელს **მამუკა ხაზარელს.**







## ეკიპირება სრულად დაკომპლექტდა

გუშინ ჩვენი ოლიმპიელი სამთომეთხილამურეების ოლიმპიური ამუნიცია საბოლოოდ დაკომპლექტდა - სპონსორმა ზამთრის სამთო ფეხსაცმელები გამოგზავნა, რომელიც უკვე ჩაიბარა ჩვენმა დელეგაციამ. ფეხსაცმელები დაუყონებლივ გაგზავნეს მთის „ოლიმპიურ სოფელში" ჩვენს სპორტსმენებთან.

შეგახსენებთ რომ საქართველოს სამთომოთხილამურეები ოლიმპიურ თამაშებში 18 თებერვლიდან ჩაერთვებიან.

ქართველმა სპორტსმენებმა სამედიცინო შემოწმება გაიარეს და როგორც მწვრთნელმა **გერა აბრამიშვილმა** გვითხრა, ყველას ჯანმრთელობა დამაკმაყოფილებელია.

## პაპუნა ამერიკის ტელევიზიიდან

ქართველებს ოლიმპიადაზე ყველგან რომ შეხვდებით, „ლელო" უკვე წერდა. ჩემთვის ძალიან სასიამოვნო იყო ერთი ქართველი ახალგაზრდის გამომცნაურება, რომელიც ამერიკის ნაციონალური ტელევიზიის პროდიუსერი აღმოჩნდა.

*- ვმუშაობ და ვსწავლობ ამერიკაშიც და სოჭშიც. დავამთავრე საქართველოს შავი ზღვის უნივერსიტეტი საერთაშორისო ურთიერთობების განხრით, სოჭში იურისტის სპეციალობასაც ვეუფლები დაუსწრებელი სწავლებით. ამერიკაში ჩასასვლელად რეკომენდაცია გამიწია მეგობარმა* - მითხრა **პაპუნა ასათიანმა,** რომელიც წარმოშობით ქუთაისიდანაა და დიდი ხანია მისი ოჯახი სოჭში ცხოვრობს.

ეს ბიჭი ამერიკის ტელევიზიას იმიტომ შეურჩევია, რომ აქტიურია, ენებიც იცის, ხალხსაც იცნობს, ქვეყანასაც და ტრადიციებსაც, ამასთან ძალიან ენერგიულია და კომუნიკაბელური.

პაპუნას საქართველოსთანაც ჰქონია ურთიერთობა - ერთ-ერთ ტურისტულ ფირმასთან აქვს გაფორმებული ხელშეკრულება და უცხოეთიდან განსაკუთრებით აშშ-დან ტურისტების მოზიდვაზე მუშაობს.

თბილად გაიხსენა შავი ზღვის უნივერსიტეტში სწავლის წლები, ლექტორები და განსაკუთრებით **კოტე ულენტი.**

*- ეს პიროვნება სამუდამოდ დარჩება ჩემს ცხოვრებაში მისაბაძ ადამიანად,* - მითხრა.

## „სულიკო", ადლერში კიროვის ქუჩაზე

ადლერში კიროვის ქუჩაზე მივდიოდი. უეცრად ქართული სიმღერა „სულიკო" შემომესმა. უკან მივიხედე, სამი ახალგაზრდა - ორი გოგონა და ერთი ვაჟი ჩემგან 10-15 მეტრის დაშორებით მოაბიჯებდნენ. დაველოდე, მითხრეს - თქვენი ქურთუკის ზურგზე „გეორგია" რომ ამოვიკითხეთ, ვთქვით, ვიმღეროთ და თუ ქართველია, უკან მოიხედავს, ყურადღებას მოგვაქცევსო. ასეც მოხდა. ხომ არაფერში დაგეხმაროთო, მითხრეს. გოგონა და ერთი ვაჟი სოხუმიდან ლტოლვილი ოჯახების შვილები აღმოჩნდნენ, მესამე - გაგრიდან იყო. ძალიან გაუხარდათ. მით უფრო, რომ საქართველოს ოლიმპიური დელეგაციის წევრებიდან პირველი ვყოფილვარ, ვისაც ქუჩაში შეხვდნენ. ოლიმპიადის ზონაში ასეთი შეხვედრა გამორიცხულია, თუნდაც სპორტულ შეჯიბრებებზეც კი. მედიის მსახურებს ჩვენი გზა გვაქვს, მაყურებელს თავისი და ეს ორივე გზა თუ დერეფანი, მკაცრად კონტროლდება. განცალკევებულია სპორტულ არენაზე შესასვლელ-გამოსასვლელებიც. ვერც ჩვენ და ვერც მაყურებელი სხვა ტრიბუნაზე ვერ მოხვდება. ასე რომ თუ ზონის გარეთ არ გახვედი და ქალაქში არ გაიარე, პრაქტიკულად შეუძლებელია კონტაქტი მოსახლეობასთან. სასტუმროსპეციალური ტრანსპორტი-პრესცენტრი-სპორტული ბაზები-სასტუმრო, აი ჩვენი მარშრუტი.

ქალაქში? რამდენიც გინდა ისეირნე და შეხვდი, ვისაც გსურს.

*სოჭის ოლიმპიადაზე „ლელოს" ცხელი ხაზის ტელეფონია: +7938 43 99 565.*

*თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტოები*






ჭადრაკი



## ბრონშტეინის მემორიალზე

ბელარუსის დედაქალაქი მინსკი დიდ საჭადრაკო მემორიალს მასპინძლობს, რომელიც ცნობილი დიდოსტატის - დავით ბრონშტეინის 90-ე წლისთავს ეძღვნება. შეჯიბრებაში 21 ქვეყნის 139 წარმომადგენელი მონაწილეობს. პირველ ტურში **ბაადურ ჯობავამ** ელინა ზაიაცს (რუსეთი) მოუგო, გუშინ კი შავი ფიგურებით დიდოსტატ ემანუელ ბერგს (შვედეთი) დაუზავდა. საგულისხმოა, რომ მეწინავეთა 20-დან 13 პარტია ყაიმით დასრულდა, ამიტომაც 2 ტურის შემდეგ უდანაკარგოდ მხოლოდ 11 მოჭადრაკე დაწინაურდა. დღეს მე-3 ტურში ჯობავა თეთრებით მჰერ ჰოვანესიანს (სომხეთი) შეხვდება.

## ჭილლაძე ლიდერებში

რეშტაში (ირანი) გრძელდება ხაზარის მე-12 საჭადრაკო ფესტივალი, რომლის მთავარ ტურნირში ორი ქართველიც მონაწილეობს. უკვე მიილია სამი ტური: საერთაშორისო ოსტატმა **ივერი ჭილლაძემ** სტარტზე მასპინძელ დორსა დერხშანი დაამარცხა. მომდევნო ორ ტურშიც ირანელებს - მეჰრდად სედაგჰატისა და ალი ვალიზადეხს აჯობა და ასპარეზობის რეიტინგფავორიტ ეჰსან მაგჰამი ჩაემის, ასევე, ამინ ნასრის, ლავად სეიდ ალავის, ბეჰროზ მორადის (ოთხივე-ირანი), ურფან სევდიმალიევისა და აზერ მირზოევის (ორივე-აზერბაიჯანი) მსგავსად 3 ქულა აქვს. შესაძლებლობის მხოლოდ 50 პროცენტს მოუყარა თავი **ბაჩანა მორჩიაშვილმა** - პირველ ტურში ჰადი ჩორბანთან დათმო პარტია, ნიუშა აფშარს ყაიმზე შეუთანხმდა, ხოლო გუშინ საუდ ნარანი შეიხი (სამივე - ირანი) დაჯაბნა და 1.5 ქულა მოაგროვა.

მე-4 ტურში ჭილლაძე მირზოევს შეხვდება, დანარჩენი ლიდერები კი ასე დაწყვილდნენ: ჩაემი-სევდიმალიევი, ნასრი-ალავი, მორადი-სიპკე (ოლანდია)... ჯაფარ ხამაში (ირანი)-მორჩიაშვილი.

ვაჟა დანელია

საქართველოს ნაკრები



# ბრიტანელები ალაპარაკდნენ, ფრანგები დუმან

**უცნაურია, მაგრამ ბრიტანული მედია სულ უფრო ხშირად საუბრობს საქართველოს ნაკრებზე, უფრო სწორად კი ექვსი ერის გათამაშების ფორმატის შეცვლაზე. წერენ, რომ დროა საქართველოს ნაკრები ბობოლებს შორის ვიხილოთ. თუმცა ჯერ არ იციან, ეს როგორ მოხერხდეს. კიდევ უფრო უცნაურია, რომ ფრანგული მედია, სადაც საქართველოს ნაკრების მოთამაშეთა უმრავლესობა თამაშობს და მათი შესაძლებლობები კარგად იციან, ჯიუტად დუმს.**

მოდით, ჩვენ ცოტა შორიდან დავიწყოთ. ახალზელანდიელი მწვრთნელი **მილტონ ჰეიგი** საქართველოს ნაკრების თავკაცად 2012 წლის იანვარში დაინიშნა. მან მიზნად დაისახა საქართველოს ნაკრების თამაშის სტილის შეცვლა, უფრო გაშლილი, ხელდახელ ბურთაობით მეტოქის დამარცხება. ამასთან ერთად, მისი ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა ნაკრების კანდიდატთა რაოდენობის გაზრდაც იყო.

ვფიქრობთ, მან ორივე დასახულ მიზანს მიაღწია. თავიდან, რაც სავსებით ბუნებრივია, ჩვენს მორაგბეებს ხელდახელ ბურთაობა გაუჭირდათ. შედეგად, თითქოს გუნდი აღარ გამოიყურებოდა ძველებურად მრისხანედ. შერკინებაშიც, რომელიც ჩვენი გუნდის ყველაზე ძლიერი მხარე იყო, პრობლემები გაჩნდა. ჰეიგი კი ჯიუტად განაგრძობდა არჩეული კურსით სვლას და ქომაგებს მოთმინებისკენ მოუწოდებდა.

გასული წლის ნოემბრის ტესტებს მილტონ ჰეიგის მიერ გაწეული სამუშაო უნდა შეეფასებინა. სამი თამაშიდან ჩვენმა ნაკრებმა ორი მოიგო. „ბორჯღალოსნებმა" საუკეთესო ათეულში მყოფი სამოას ძლიერი ნაკრები დაამარცხეს და ყველას დაუმტკიცეს, რომ სწორ გზას ადგანან. საგულისხმოა, რომ ჰეიგს მუდამ ჰქონდა ნაკრების ყველა ნევრის მხარდაჭერა. ინტერვიუებში თუ პრივატულ საუბრებში ყველა აღნიშნავდა, რომ გუნდი განვითარების სწორ გზაზე დგას.

ჰეიგმა შეძლო და გუნდი ხელდახელ აათამაშა. ნაკრების კანდიდატთა რაოდენობაც გაზრდილია და ნაკრებში საკმაოდ სერიოზული კონკურენციაა. თავად განსაჯეთ, პორტუგალიის ნაკრებთან სტუმრად გამართულ მატჩში „ბორჯღალოსნებს" ძირითადი შემადგენლობის ოთხი წამყვანი მორაგბე აკლდა. ესენია: **მამუკა გორგოძე, დავით ზირაქაშვილი, ვასილ კაკოვინი და მერაბ შარიქაძე.** მიუხედავად ამისა, უხერხულ მეტოქედ აღიარებული „ლობუშები" რეკორდული სხვაობით დავამარცხეთ. ვფიქრობთ, ერთი წლის თავზე კონკურენცია კიდევ უფრო გაიზრდება. ეს კი პროგრესის აუცილებელი წინაპირობაა.

ახლა იმის თაობაზე ვიმსჯელოთ, რა უნდათ ჩვენგან ბრიტანელებს. ერთი კვირის წინათ BBC-ის ეთერში ლეგენდარულმა ირლანდიელმა შერკინების კვაჭმა **ქის ვუდმა** თქვა:

*„საქართველოს ნაკრებმა მსოფლიოს თასის უკანასკნელ გათამაშებაში შესანიშნავად იასპარეზა და ძალიან მინდა ისინი ევროპის ექვსი ერის გუნდებთან პაექრობაში ვნახო"*

იმ გადაცემაში სხვაც ბევრი ითქვა ჩვენს ნაკრებზე. ახალხან კი thegardian-მა ექვსი ერის გათამაშების გაფართოების თემას ვრცელი წერილი მიუძღვნა, რომელშიც ავტორი მოკლედ მიმოიხილავს საქართველოსა და რუმინეთის ნაკრებების უახლოესი ისტორიის დეტალებს (2007 წელს ირლანდიის ნაკრებთან მატჩს, 2011 წელს შოტლანდიისა და ინგლისის ნაკრებებთან ღირსეულ თამაშს) და სვამს კითხვას:

*„რა მოხდებოდა, თუ შოტლანდიის ნაკრები მომავალ უქმეებზე სათამაშოდ საქართველოში გაემგზავრებოდა? თუ გავითვალისწინებთ საქართველოს ნაკრების შერკინების ბრწყინვალებას და მოვლენებს, რომელიც გასულ შაბათს „მერიფილდზე" განვითარდა (შოტლანდიამ ინგლისის ნაკრებთან 0:20 წააგო), ევროპაში ყველაზე დიდი საფიქრალი „სკოტების" მორკინალთა დამრიგებელს ჯონათან ჰემპფრიზს ექნებოდა.*

*რაგბი საქართველოში ეროვნული სპორტის სახეობაა. რაგბის საერთაშორისო საბჭოს დახმარებით იქ თანამედროვე ტიპის სარაგბო აკადემია მოეწყო. ყველაზე პატივსაცემი მორაგბე ნაკრების ლიდერი მამუკა გორგოძეა, რომელიც ყველაზე მდიდარ, ფრანგულ სარაგბო ლიგაშიც გამორჩეულია. ნებისმიერი გუნდისთვის პრესტიჟულია შემადგენლობაში თუნდაც შერკინების ერთი ქართველი ბურჯი ჰყავდეს.*

*დროა, ისევე როგორც 2000 წელს იტალია ხუთ ერს დაემატა, საქართველოც ელიტაში გაერიოს.*

***„ჩვენ გვსურს, რომ საქართველოს ნაკრებმა რაც შეიძლება ხშირად ითამაშოს ელიტარული სარაგბო ქვეყნების გუნდებთან"*** *- თქვა IRB-ის ერთ-ერთმა დიდმოხელემ. საამისოდ შეიქმნა საერთაშორისო სარაგბო კალენდრის შემდგენელი ჯგუფი, რომელმაც უნდა დაადგინოს, რა შეიძლება გაკეთდეს, რათა 2016 წლიდან სარაგბო მოზაიკა რადიკალურად შეიცვალოს."*

ერთი სიტყვით, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ყინული დაიძრა. წინასწარ რაიმეს თქმა ძალიან ძნელია. ექვსი ერის გათამაშება კომერციული ტურნირია, რომელიც მონაწილე ქვეყნების რაგბის კავშირებს კოლოსალურ მოგებას აძლევს. 2000 წელს იტალიის ნაკრების ხუთ ერში ჩართვა, ვფიქრობთ, სწორედ ეკონომიკური თვალსაზრისით იყო ამ ტურნირის ორგანიზატორებისთვის ხელსაყრელი. იტალია ექვს ერში სათამაშოდ მზად ვერასდროს იქნებოდა, რომ არა ამ ქვეყნის რაგბის ფედერაციის პოლიტიკა, რომელიც ჩვენთვის მიუღებელია.

იტალიის ნაკრებში მაშინაც და ახლაც ბევრი ნატურალიზებული მორაგბე თამაშობდა და თამაშობს. თუ „სკუადრა აძურაში" თავდაპირველად არგენტინელების სიმრავლე იყო, ახლა მათ ავსტრალიელი, ახალზელანდიელი და სამხრეთაფრიკელი მორაგბეებიც დაემატნენ. ამდენად, უნდა ვივარაუდოთ, რომ იტალიელები „ევროპის ძმურ" ოჯახში სწორედ ფულის გამო მიიღეს.

ცხადია, ამ თვალსაზრისით საქართველო ექვსი ერის მამებისთვის საინტერესო არ არის. მაგრამ რაგბი სპორტის სახეობაა და, შესაბამისად, ნებისმიერ ტურნირში, მათ შორის კომერციულშიც, სპორტული პრინციპი ამომავალი წერტილი უნდა იყოს. ჩვენ ინგლისს, საფრანგეთს და იტალიას ეკონომიკის განვითარების დონით კიდევ დიდხანს ვერ გავუთანაბრდებით. რაგბის თამაშის დონის გათანაბრება კი სწორი მუშაობისა და სათანადო მხარდაჭერის პირობებში, შორი პერსპექტივა არ არის.

მოკლედ, საქართველოს ნაკრები იტალიისა და შოტლანდიის ეროვნულ გუნდებს სამი თამაშიდან ერთს მაინც უნდა უგებდეს, რათა თამამად მოვითხოვოთ, ბობოლებმა პატივი სცენ სპორტულ პრინციპებს.

საქართველოს ჩემპიონატი

# ტენდენცია არ შეიცვლება

**საქართველოს ჩემპიონატი უმაღლეს ლიგაში 1 მარტს განახლდება. იქამდე გათამაშებაში უკვე ჩაებნენ პირველლიგელები. ოდნავ მოგვიანებით კი ასპარეზობა ჭაბუკთა ორ, A და B ლიგებში დაიწყება. განახლებული სეზონის სიახლეებზე სასაუბროდ რაგბის კავშირში საშეჯიბრო კომიტეტის ხელმძღვანელ ნიაზ მამრიკიშვილს ვეწვიეთ.**

- საქართველოს ჩემპიონატის გათამაშების დებულებაში არაფერი შეცვლილა. საერთოდ, წესი არ არის შუა სეზონში ცვლილებების განხორციელება. ერთადერთი სიახლე ისაა, რომ სატრანსფერო ფანჯრისას გუნდები საკმაოდ გააქტიურდნენ.

**- უკვე ვწერდით, რომ „ბათუმმა" უცხოელი მორაგბეების ჯგუფი დაიმატა. სულ ექვსი მოთამაშე. ეს ცხადია, ტენდენცია ჯერ არ არის. როგორ ფიქრობთ, რა სარგებლობა შეიძლება მოუტანოს ამ ფაქტმა საქართველოს ჩემპიონატს?**

- ვფიქრობ, ამ ამბავმა მინიმუმ „ბათუმი" უნდა გააძლიეროს. მაქსიმუმის ზღვარი კი სად გადის, ამას ჩემპიონატის მსვლელობისას ვნახავთ. გამოჩნდება, რამდენად კვალიფიციური მოთამაშეები არიან ისინი. ამასთან ერთად, უნდა აღინიშნოს, რომ უცხოეთში მოთამაშე ქართველი მორაგბეები დაიბრუნეს „ლოკომოტივმა", „ყოჩებმა" და „აიამ". მიმაჩნია, რომ ეს კონკურენციას და გათამაშების დაძაბულობას კიდევ უფრო გაზრდის.

**- ზამთრის შესვენებისას უმაღლესი ლიგის გუნდებს საშუალება ჰქონდათ ერთმანეთისთვის მოთამაშეები „წაერთმიათ"...**

- დიახ, ადრე ეგრეთ წოდებული შიდა ტრანსფერები ნამდვილად ხორციელდებოდა. წლეულს ეს ავკრძალეთ. მათ შეუძლიათ მხოლოდ უცხოეთში და პირველ ლიგაში მოთამაშე მორაგბეების დამატება.

**- როგორ ფიქრობთ, „ბათუმის" მაგალითი სხვებისთვისაც გადამდები იქნება?**

- „ბათუმს" სხვებმა რომ მიბაძონ, საამისოდ სერიოზული თანხებია საჭირო. ამიტომ, არ მგონია, სხვა კლუბებიც ამ გზას დაადგნენ. ჩვენ ძირითადად საქართველოდან უცხოეთში მორაგბეების გადინებას ვიყავით მიჩვეული. ვფიქრობ, უახლოეს მომავალში ეს ტენდენცია არ შეიცვლება.

ქართველი მორაგბეები, ამჯერად, რუსული კლუბებიდან დაბრუნდნენ. საფრანგეთიდან ჩვენებურების დაბრუნებას ბევრად უფრო მეტი სახსრები სჭირდება.

**- ამასობაში პირველ ლიგაში გათამაშება უკვე განახლდა...**

- დიახ, ასეა. დაახლოებით მარტის ბოლოსთვის უკვე გვეცოდინება იმ რვა მოწინავე გუნდის ვინაობა, რომლებიც მომავალი სეზონიდან პირველ ლიგაში იასპარეზებენ. დანარჩენი გუნდები კი რეგიონალურ ზონებში განაწილდებიან.

დიდი იმედი გვაქვს, რომ ამით პირველი ლიგის გუნდების სათამაშო დონეს გავზრდით. გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ კონკურენცია ნამდვილად გაიზრდება. ამასთან ერთად, აღსანიშნავია, რომ იმ რვა გუნდის დაფინანსება, რომლებიც გაისად პირველ ლიგაში ითამაშებენ, რაგბის კავშირს გარკვეულწილად უზრუნველყოფილი აქვს.

**- რა მდგომარეობაა ჭაბუკთა ლიგებში?**

- უდიდესი ძალისხმევის შედეგად შევძელით და ჭაბუკთა ლიგებში გუნდების რაოდენობა შევინარჩუნეთ. შესაბამისად, გათამაშების ფორმატში არაფერი შეიცვლება. A ლიგაში ასპარეზობა 25 მარტიდან დაიწყება. B ლიგის გათამაშება კი სტარტს ორი კვირით ადრე, 11 მარტს აიღებს.



მსოფლიოს კლასიფიკაცია

# ჩვენი რეიტინგი 0,5-ით გაიზარდა

ერთ თასის გათამაშებაში სტუმრად პორტუგალიის ნაკრების დამარცხების გამო, საქართველოს ნაკრებმა მსოფლიოს რეიტინგში მონაგარს 0,5 ქულა შესძინა. თუმცა ეს საკმარისი არ აღმოჩნდა საიმისოდ, რომ კლასიფიკაციაში ჩვენს წინ მდგომი კანადის ნაკრებისთვის გაგვესწრო, რომელიც 70,75 ქულით მე-15 ადგილზეა.

შეგახსენებთ, რომ „ბორჯღალოსნებს" 69,57 ქულა აქვთ და მე-16 ადგილზე არიან. რუსებს კი, რომლებსაც თბილისში 22 თებერვალს ვეთამაშებით, 61,20 ქულით მე-19 საფეხური უჭირავთ.

**მსოფლიოს კლასიფიკაცია**

1. ახალი ზელანდია - 93,81 2. სამხრეთ აფრიკა - 89,34 3. ავსტრალია - 86,88 4. ინგლისი - 85,18 5. საფრანგეთი - 82,05 6. ირლანდია - 81,05 7. უელსი - 79,10 8. სამოა - 77,34 9. არგენტინა - 76,44 10. შოტლანდია - 75,26 11. ფიჯი - 74,21 12. ტონგა - 73,21 13. იტალია - 73,13 14. იაპონია - 72,06 15. კანადა - 70,75 16. საქართველო - 69,57 17. რუმინეთი - 68,66 18. აშშ - 67,41 19. რუსეთი - 61.20 20. ურუგვაი - 60,77 21. ესპანეთი - 59,71 22. პორტუგალია - 58.88 23. ნამიბია - 58,79 24. კორეა - 58,10 25. ჰონგ კონგი - 56,35 26. გერმანია - 56,20 27. ჩილე - 55,44 28. ბელგია - 55,39.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი. NBA რეგულარული ჩემპიონატი

# მეფის აზრები და... 37 ქულა



ლებრონ ჯეიმსი

„იუტასთან" ნაგებულ მატჩში მოკრძალებული 13 ქულის შემდეგ, **ლებრონ ჯეიმსმა** ჯავრი „ფინიქსზე" იყარა. დუეინ უეიდის არყოფნაში, სწორედ ის გაუძღვა წინ თავის გუნდს დაძაბულ ბოლო წუთებში. ლებრონის საერთო მონაგარი 37 ქულა იყო და აქედან 11 მან ბოლო ოთხი წუთში დააგროვა, რითაც „მაიამის" საჭირო შედეგი გაუნაღდა.

ამ მატჩის წინ კი ჯეიმსმა დიდი ინტერვიუ მისცა NBA-ის ოფიციალურ ტელეარხს. „მეფესთან" საუბარი ორშაბათს გავა ეთერში, თუმცა ამ ინტერვიუდან საინტერესო მომენტების ნახვა უკვე არის შესაძლებელი. მაგალითად, ლებრონმა განაცხადა, რომ არ აპირებს იმ მიზეზების დასახელებას, რის გამოც უარს ამბობს ჩატენვების კონკურსში მონაწილეობაზე. აგრეთვე დაამატა, რომ თუ ლიგა ჩაატარებს ტურნირს ერთი ერთზე თამაშში, არც იქ მიიღებდა მონაწილეობას. ბოლოს, ლებრონმა ილაპარაკა საკუთარ ადგილზე კალათბურთის ისტორიაში. ყველა დროის საუკეთესოთა სიის შედგენისას, მოქმედმა MVP-მ დაასახელა **მაიკლ ჯორდანი, ლარი ბერდი** და **მეჯიქ ჯონსონი**... და მცირე პაუზის შემდეგ დაუმატა **ოსკარ რობერტსონი**. ინტერვიუს შეჯამებისას, ჯეიმსმა მიანიშნა იმის შესახებ, რომ კარიერის დასრულების შემდეგ, ამ სიაში შესვლა უნდა.

■ ■ ■

დაახლოებით ერთი თვის წინ, „პორტლენდი" ერთ-ერთი მთავარი თემა იყო მთელ NBA-ში. გუნდი, რომლის პლეი ოფში მოხვედრა ბევრს არ სჯეროდა, პირველი ადგილზე იყო ლიგაში. მაგრამ, თანდათან ხმაური ჩაცხრა, რადგან „ბლეიზერსის" წარმატებები უკვე ალარავის უკვირდა.

გუშინ „პორტლენდი" **კევინ დურანტის** „ოკლაჰომას" ხვდებოდა. და სეზონში ამ გუნდის მესამედ დამარცხების იმედი ჰქონდა. არ გამოვიდა! „პორტლენდის" ლიდერებმა - **დამიენ ლილარდმა** და **ლამარკუს ოლდრიჯმა** ბოლო წუთზე ტყორცნები ააცილეს. ოლდრიჯის აცილების შემდეგ (სირენამდე 2.9 წამით ადრე), ბურთი **რეჯი ჯექსონმა** აიღო და ორი ზუსტი საჯარიმოთი გააფორმა საბოლოო ანგარიში.

„ბლეიზერსმა" ბოლო შვიდ მატჩში მეხუთე მარცხი იწვნია, მაგრამ ისევ ინარჩუნებს ადგილს დასავლეთის სამ საუკეთესოს შორის. ამ გუნდს დიდი ბრძოლა მოუწევს იმისთვის, რომ პლეი ოფის პირველ წრეში საკუთარი მოედნის უპირატესობა მიიღოს. „პორტლენდს" კვალში უდგას „კლიპერსი", რომელსაც **კრის პოლი** გამოუჯანმრთელდა და „ჰიუსტონი". ამ უკანასკნელს ლიგაში ყველაზე გრძელი მოგებათა სერია აქვს (6).

■ ■ ■

„ჩიკაგო" არაფრად აგდებს იმას, რომ ტრავმის გამო დაკარგა **დერიკ როუზი, ლუოლ დენგმა** დატოვა გუნდი, ლაზარეთში აღმოჩნდა **კარლოს ბუზერი**. გუშინ, „ხარებმა" გაანადგურეს „ატლანტა", განსაკუთრებით ფარქვეშ ბრძოლაში: 57:28 - ასეთი იყო ანგარიში მოხსნებში. „ჩიკაგოს" სამმა კალათბურთელმა დააგროვა მინიმუმ 10 მოხსნა - **გიბსონმა, ბატლერმა** და **ნოამ**. ამასთან, ფრანგი მხოლოდ მოხსნებით არ შემოიფარგლა და კარიერაში მეოთხე სამმაგი დუბლი შეასრულა.

გუშინვე, „ჩიკაგოს" მთავარმა მწვრთნელმა **ტომ ტიბოდომ** გამოაცხადა, რომ გამოჯანმრთელების სწრაფი ტემპების მიუხედავად, დერიკ როუზი ამ სეზონში მოედანზე არ დაბრუნდება.

**შარლოტი–დალასი 114:89**

28:26, 30:18, 31:21, 25:24

შ: ჯეფერსონი (30), ტოლივერი (22), ჰენდერსონი (15).
დ: ნოვიცკი (16), ელისი (16).

**კლივლენდი–საკრამენტო 109:99**

30:23, 25:20, 25:25, 29:31

კ: დენგი (22), უეიტერსი (20), ბენეტი (19+10 მოხსნა), ტ. ტომპსონი (16+13 13 მოხსნა).
ს: კაზინსი (21+10 მოხსნა), ა. ტომასი (16).

**ჩიკაგო–ატლანტა 100:85**

33:17, 25:22, 22:31, 20:15

ჩ: გიბსონი (24+12 მოხსნა), ნოა (19+16 მოხსნა+11 პასი), დანლივი (15), ბატლერი (12+13 მოხსნა).
ა: მილსეპი (15).

**მემფისი–ვაშინგტონი 92:89**

24:23, 28:16, 27:31, 13:19

მ: მ. გასოლი (18), ნ. კალატესი (18), ზ. რენდოლფი (13+10 მოხსნა).
ვ: ბილი (37), ნენე (17).

**ფინიქსი–მაიამი 97:103**

25:22, 21:21, 28:28, 23:32

ფ: ჯერ. გრინი (26), ფრაი (15), გ. დრაგიჩი (15).
მ: ჯეიმსი (37), ბოში (21).

**პორტლენდი–ოკლაჰომა 95:98**

25:19, 30:26, 25:35, 15:18

პ: ბატუმი (18), ლოპესი (17+14 მოხსნა), ლილარდი (16), მაკალუმი (15), ოლდრიჯი (12+12 მოხსნა).
ო: დურანტი (36+10 მოხსნა), ლემბი (19), ჯექსონი (17).

**ლეიკერსი–იუტა 79:96**

27:16, 10:32, 23:20, 19:28

ლ: კამანი (25+14 მოხსნა), ჯონსონი (15).
ი: ბერქსი (24), ჰეივორდი (15), ფეივორსი (11+10 მოხსნა).

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ცხელი ხაზი

## ფეხბურთი

| ინგლისი | |
|---|---|
| არსენალი-მანჩესტერ იუნ | 0:0 |
| ნიუკასლი-ტოტენჰემი | 0:4 |
| სტოკი-სუონსი | 1:1 |
| ფულჰემი-ლივერპული | 2:3 |
| ევერტონი-კრ. პალასი | გადაიდო |
| სიტი-სანდერლენდი | გადაიდო |
| **I ლიგა** | |
| შეფილდი-ბრენტფორდი | გადაიდო |
| **ამხანაგური მატჩები** | |
| ლევანტე-მეტალისტი | 0:2 |
| ლუდგორეცი-კრასნოდარი | 3:2 |
| სტაბეკი-სანდეფიორდი | 2:0 |
| როსტოვი-ურალი | 5:4 |
| ბრონდბიუ-უიკეშტი | 3:1 |
| დინამო (მ)-დნიპრო | 5:0 |
| ლა უნიონი-ნორდსიელანდი | 0:1 |
| დინამო (კ)-მალაგა | 3:1 |
| გაისი-ფალკენბერგსი | 1:0 |
| **იტალიის თასი** | |
| **1/2 ფინალი. II მატჩი** | |
| ნაპოლი-რომა | 3:0 (2:3) |
| **Lega Pro. პლეი ოფი** | |
| კრემონეზე-მონცა | 1:2 |
| სალერნიტანა-გროსეტო | 3:2 |
| **ესპანეთის თასი** | |
| **1/2 ფინალი. II მატჩი** | |
| სოსიედადი-ბარსელონა | 1:1 (0:2) |
| **გერმანია** | |
| **რეგიონალლიგა (დას)** | |
| ვიდენბრუკი-კიოლნი II | 3:1 |
| **გერმანიის თასი** | |
| **1/4 ფინალი** | |
| ლევერკუზენი-კაიზერი | 0:1 |
| ჰოფენჰაიმი-ვოლფსბურგი | 2:3 |
| ჰამბურგი-ბაიერნი | 0:5 |
| **საფრანგეთის თასი** | |
| **1/8 ფინალი** | |
| ბალანი-გინგამი | 0:2 |
| ოსერი-რენი | 0:1 |
| მულენი-სეტი | 3:1 |
| ნიცა-მონაკო | 0:0 დ.დ. 0:1 |
| **ჰოლანდია** | |
| გრონინგენი-ტვენტე | 1:1 |
| **პორტუგალია** | |
| **II დივიზიონი** | |
| ტონდელა-შავეში | 0:1 |
| **საბერძნეთის თასი** | |
| **1/4 ფინალი. II მატჩები** | |
| ოლიმპიაკ.ი (ვ)-პანათინაიკ. | 1:0 (0:4) |
| ატრომიტოსი-ოლიმპიაკოსი | 1:1 (0:0) |
| **თურქეთის თასი** | |
| ბურსა-ახისარი | 3:0 |
| ესქისეჰირი-შივასი | 1:0 |
| გალათასარაი-ანთალია | 0:0 |
| **კვიპროსის თასი** | |
| **1/4 ფინალი. I მატჩები** | |
| დოქსა-ენოსისი | 1:0 |
| ალკი-აპოელ | 0:0 |
| ომონია-აპოლონი | 2:1 |
| **ისრაელის თასი** | |
| **1/8 ფინალი** | |
| ჰაპოელი (რ)-მაკაბი (ფ-თ) | 1:1 დ.დ. 1:2 |
| ჰაპოელი (ჰ)-ირონი (ქ-შ) | 0:3 |
| ჰაპოელი (ქ-ს)- ჰაპოელი (ბ-შ) | 0:2 |

| გვატემალა | |
|---|---|
| მუნისიპალი-კოატეპეკე | 2:0 |
| დეპ. ერედია-დეპ. მიქტლანი | 4:0 |
| ისტაპა-ალკონენსი | 0:1 |
| **ს. აფრიკა** | |
| პლატინუმი-ბლუმფონტეინი | 0:0 |
| სუპერსპორტი-მპუმალანგა | 2:0 |
| ფრი სტეიტი-ორლანდო | გადაიდო |

## კალათბურთი

| ევროთასი | |
|---|---|
| ხიმკი-მონტეპასკი | 85:73 |
| უნიქსი-სტელმეტი | 82:64 |
| ნ. ნოვგოროდი-პანიონიოსი | 80:67 |
| ბუდიველნიკი-ბანვითი | 60:59 |
| რადნიჩკი-ხიმიკი | 86:68 |
| ანკარა-სასარი | 104:75 |
| ნიმბურკი-მაკაბი (ჰ) | 68:53 |
| ჰაპოელი (ი)-ოლიმპია | 86:77 |
| ბეშიქთაში-ლ. რიტასი | 63:84 |
| პინარი-ულმი | 90:78 |
| ბამბერგი-გრაველინი | 70:59 |
| ცედევიტა-სარაგოსა | 74:77 |
| ბილბაო-ცრ. ზვეზდა | 81:85 |
| ოსტენდე-ვალენსია | 64:84 |

## ხელბურთი

| ჩემპიონთა ლიგა | |
|---|---|
| ფლენსბურგი-ლა რიოხა | 37:25 |

## ჰოკეი

| ფინეთი | |
|---|---|
| ჰიფკ-პელიკანსი | 2:1 |

## ჩოგბურთი

| ATP. ბუენოს აირესი | |
|---|---|
| დოლგოპოლოვი-კუევასი | 6:3, 4:6, 7:6 |
| შარდი-გონსალესი | 6:4, 7:5 |
| რამირეს იდალგო-ხიმენო ტრავერი | 5:7, 2:6 |
| გრანოლერსი-ანდუხარი | 3:6, 0:6 |
| ალმაგრო-სებალიოსი | 6:2, 7:5 |
| რობრედო-პეია | 4:6, 6:1, 6:4 |
| **ATP. მემფისი** | |
| შმიჩეკი-რასელი | 2:6, 6:7 |
| იანგი-კუდლა | 1:6, 1:6 |
| ვესელი-სოკი | 2:6, 1:6 |
| **ATP. როტერდამი** | |
| მაუ-ბრანდსი | 7:5, 6:3 |
| ვერდასკო-ჰაასი | 7:6, 6:7, 5:7 |
| ტიემი-ნიემინენი | 6:4, 4:6, 6:4 |
| დელ პოტრო-მონფილსი | 7:6, 6:3 |
| დე ბაკერი-გასკე | 7:6, 6:7, 3:6 |
| როჟე ვასელენი-მარეი | 3:6, 3:6 |
| ცონგა-ჩილიჩი | 4:6, 4:6 |
| **WTA. დოჰა** | |
| ნა ლი-რიბარიკოვა | 6:1, 5:7, 6:2 |
| კლეიბანოვა-ფოგელი | 6:3, 6:2 |
| ა. ბეკი-პირონკოვა | 6:7, 6:2, 6:2 |
| ჰსიე-ერანი | 0:6, 4:6 |
| პავლიუჩენკოვა-ლუჩიჩი | 4:6, 1:6 |
| ივანოვიჩი-ზაკოპალოვა | 6:4, 1:6, 3:6 |
| მატეკი-ნიკულესკუ | 1:6, 6:3, 3:6 |
| პენგი-საფაროვა | 2:6, 7:5, 4:6 |
| კარ. პლიშკოვა-კერბერი | 6:7, 4:6 |
| კვიტოვა-ვ. უილიამსი | 6:2, 2:6, 7:6 |
| კნაპი-იანკოვიჩი | 0:6, 2:6 |
| ჟანგი-ჩეტკოვსკა | 3:6, 6:4, 3:6 |
| ჩეპელოვა-სტოსური | 6:4, 4:6, 6:1 |
| ვოზნიაცკი-ვიკმაიერი | 4:6, 5:7 |
| კირსტეა-ა. რადვანსკა | 5:7, 0:6 |
| ჰალეპი-კანეპი | 6:4, 3:6, 7:6 |

# სოჭი 2014

## ქიორლინგი

### კაცები

| IV ტური | |
|---|---|
| ნორვეგია-გერმანია | 8:5 |
| დანია-აშშ | 5:9 |
| ჩინეთი-შვეიცარია | 5:4 |
| **V ტური** | |
| რუსეთი-კანადა | 4:7 |
| დანია-შვედეთი | 8:5 |
| შვეიცარია-ბრიტანეთი | 2:4 |
| გერმანია-ჩინეთი | 7:11 |

სატურნირო მდგომარეობა: 1. ჩინეთი - 4 მოგება/0 ნაგება; 2. შვედეთი - 3/1; 3. ბრიტანეთი - 3/1; 4. ნორვეგია - 3/0; 5. დანია - 2/2; 6. კანადა - 2/2; 7. აშშ - 1/2; 8. შვეიცარია - 1/3; 9. გერმანია - 0/4; 10. რუსეთი - 0/4.

### ქალები

| IV ტური | |
|---|---|
| აშშ-ჩინეთი | 4:7 |
| ს. კორეა-შვედეთი | 4:7 |
| კანადა-ბრიტანეთი | 9:6 |
| იაპონია-რუსეთი | 8:4 |

სატურნირო მდგომარეობა: 1. შვეიცარია - 3 მოგება/0 ნაგება; 2. კანადა - 3/0; 3. ჩინეთი - 2/1; 4. იაპონია - 2/1; 5. რუსეთი - 2/2; 6. შვედეთი - 2/1; 7. ბრიტანეთი - 1/2; 8. კორეა - 1/2; 9. დანია - 0/3; 10. აშშ - 0/4.

## ჰოკეი

### A ჯგუფი. III ტური

**შვეიცარია-ფინეთი 3:4 (ო)**

0:2, 2:1, 1:0, 0:1

**გოლები:** 0:1 პიიროკოსკი-1 (იალასვუო-1, კარვინენი-2), 0:2 კარვინენი-1 (ტაპანი-1, კილპონენი-1), 1:2 ეგიმანი-1 (ბულო-1), 2:2 შტანცი-1 (ლუცი-1), 2:3 კარვინენი-2 (ტაპანი-2, პიიროკოსკი-1), 3:3 მარტი-1 (ბულო-2), 3:4 პიიროკოსკი-2 (ვალიმიაკი-1, კილპონენი-2).

**კანადა-აშშ 3:2**

0:0, 0:1, 3:1

**გოლები:** 0:1 ნაითი-3 (კარპენტერი-1, სკლეპერი-2), 1:1 აგოსტა-მარსიანო-2 (უიკენჰეიზერი-1), 2:1 უიკენჰეიზერი-2 (სპუნერი-2, აგოსტა-მარსიანო-1), 3:1 აგოსტა-მარსიანო-3, 3:2 სკლეპერი-1 (დეკერი-2, ჯ. ლამურე-3).

| | თ | მ | ოგ | ონ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კანადა | 3 | 3 | 0 | 0 | 0 | 11-2 | 9 |
| 2. აშშ | 3 | 2 | 0 | 0 | 1 | 14-4 | 6 |
| 3. ფინეთი | 3 | 0 | 1 | 0 | 2 | 5-9 | 2 |
| 4. შვეიცარია | 3 | 0 | 0 | 1 | 2 | 3-18 | 1 |



### დღევანდელი პროგრამა

**13 თებერვალი. ხუთშაბათი**

| | |
|---|---|
| 09:00 | ქიორლინგი. ქალები. V ტური. შვეიცარია-შვედეთი |
| 09:00 | ქიორლინგი. ქალები. V ტური. კანადა-დანია |
| 09:00 | ქიორლინგი. ქალები. V ტური. ჩინეთი-ბრიტანეთი |
| 10:15 | ფრისტაილი. კაცები. სკი-სლოუპსტაილი. კვალიფიკაცია |
| 11:30 | სკელეტონი. ქალები. I ცდა |
| 12:00 | ჰოკეი. ქალები. B ჯგუფი. III ტური. იაპონია-გერმანია |
| 12:00 | ჰოკეი. კაცები. B ჯგუფი. I ტური. ფინეთი-ავსტრია |
| 12:30 | სკელეტონი. ქალები. II ცდა |
| **13:30** | **ფრისტაილი. კაცები. სკი-სლოუპსტაილი. ფინალი** |
| 14:00 | ქიორლინგი. კაცები. VI ტური. შვეიცარია-რუსეთი |
| 14:00 | ქიორლინგი. კაცები. VI ტური. კანადა-დანია |
| 14:00 | ქიორლინგი. კაცები. VI ტური. ნორვეგია-შვედეთი |
| 14:00 | ქიორლინგი. კაცები. VI ტური. ბრიტანეთი-შვედეთი |
| **14:00** | **თხილამურებით რბოლა. ქალები. 10 კმ** |
| 14:00 | შორტ-ტრეკი. ქალები. 500 მ. 1/4 ფინალი |
| 14:25 | შორტ-ტრეკი. კაცები. 1000 მ. კვალიფიკაცია |
| 15:10 | შორტ-ტრეკი. ქალები. 500 მ. 1/2 ფინალი |
| 15:30 | შორტ-ტრეკი. კაცები. ესტაფეტა 5000 მ. 1/2 ფინალი |
| **16:05** | **შორტ-ტრეკი. ქალები. 500 ს. ფინალი** |
| 16:30 | ჰოკეი. კაცები. A ჯგუფი. I ტური. სლოვაკეთი-აშშ |
| 16:30 | ჰოკეი. კაცები. A ჯგუფი. I ტური. რუსეთი-სლოვენია |
| **18:00** | **ციგურებით სირბილი. ქალები. 1000 მ** |
| **18:00** | **ბიატლონი. კაცები. ინდივიდუალური რბოლა. 20 კმ** |
| 19:00 | ქიორლინგი. ქალები. VI ტური. შვედეთი-დანია |
| 19:00 | ქიორლინგი. ქალები. VI ტური. რუსეთი-ს. კორეა |
| 19:00 | ქიორლინგი. ქალები. VI ტური. შვეიცარია-კანადა |
| 19:00 | ქიორლინგი. ქალები. VI ტური. იაპონია-აშშ |
| 19:00 | ფიგურული სრიალი. კაცები. მოკლე პროგრამა |
| **20:15** | **ციგაობა. ესტაფეტა** |
| 21:00 | ჰოკეი. კაცები. B ჯგუფი. I ტური. კანადა-ნორვეგია |
| 21:00 | ჰოკეი. ქალები. B ჯგუფი. III ტური. შვედეთი-რუსეთი |

## TV პროგრამა

**13 თებერვალი. ხუთშაბათი**

### I არხი

**13:00** ზამთრის ოლიმპიური თამაშები. ფრისტაილი. კაცები. სკი-სლოუპსტაილი. ფინალი (LIVE).
**19:00** ზამთრის ოლიმპიური თამაშები. ფიგურული სრიალი. კაცები. მოკლე პროგრამა (LIVE).
**22:00** ზამთრის ოლიმპიური თამაშები. ფიგურული სრიალი. კაცები. მოკლე პროგრამა (LIVE).

### GMG-ფეხბურთი

**10:00** გერმანიის ჩემპიონატი. XX ტური. ბორუსია (მ)-ლევერკუზენი.
**12:00** პორტუგალიის ჩემპიონატი. XVIII ტური. ბრაგა-ჟილ ვისენტე.
**14:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. XXII ტური. ვიტესი-დენ ჰააგი.
**16:00** გერმანიის ჩემპიონატი. XX ტური. ნიურნბერგი-ბაიერნი.
**18:00** არგენტინის ჩემპიონატი. I ტურის მიმოხილვა.
**19:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. XXII ტური. ზვოლე-აიაქსი.
**21:00** გერმანიის ჩემპიონატი. XX ტურის მიმოხილვა.
**22:00** არგენტინის ჩემპიონატი. I ტური. რივერი-ხიმნასია.
**00:00** გერმანიის ჩემპიონატი. XX ტური. შალკე-ჰანოვერი.

### GMG-სპორტი 1

**10:00** ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი. აკადემიკა-ეშტორილი.
**12:00** სპორტ-NEWS.
**12:15** კალათბურთი. ევროლიგა. ცსკა-რეალი.
**14:30** საფეხბურთო ტელეჟურნალი - FOOTBALL MUNDIAL.
**15:00** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ვერდერი-დორტმუნდი.
**17:00** რაგბი. ექვსი ერის თასი. ირლანდია-უელსი.
**19:00** სპორტ-NEWS.
**19:30** სპორტი ქუსლებზე.
**20:00** კალათბურთი. ევროლიგა. TOP16. VI ტური. ლოკომოტივი-რეალი (LIVE).
**22:00** მსოფლიო ფეხბურთის ლეგენდები.
**23:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
**23:45** კალათბურთი. ევროლიგა. TOP16. VI ტური. ფენერბახჩე-კახა ლაბორალი (LIVE).

### GMG-სპორტი 2

**10:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. როტერდამი. ჰოლანდია.
**13:10** საჩოგბურთო სიახლეები.
**13:30** სპორტ-NEWS.
**14:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. როტერდამი. ჰოლანდია (LIVE).
**20:00** სპორტ-NEWS.
**20:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. როტერდამი. ჰოლანდია.
**22:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. როტერდამი. ჰოლანდია (LIVE).

| სამთო თხილამურები | |
|---|---|
| სწრაფდაშვება. ქალები | |
| 1. ტინა მაზე (სლოვენ) | 1:41.57 |
| 1. დომინიკ გიზინი (შვეიც) | 1:41.57 |
| 3. ლარა გუტი (შვეიც) | +0.10 |

| სათხილამურო ორჭიდი | |
|---|---|
| K-95+10 კმ | |
| 1. ერიკ ფრენცელი (გერ) | 131.5+23:50.2 |
| 2. აკიტო ვატაბე (იაპ) | 130.0+23:48.4 |
| 3. მაგნუს კროგი (ნორ) | 115.8+22:55.3 |

| ციგურებით სირბილი | |
|---|---|
| 1000 მ. კაცები | |
| 1. შტეფან გროოტჰუისი (ჰოლ) | 1:08.39 |
| 2. დენი მორისონი (კან) | +0.04 |
| 3. მიხელ მიულდერი (ჰოლ) | +0.35 |

| ციგაობა | |
|---|---|
| ორადგილიანი. კაცები | |
| 1. გერმანია | 1:38.933 |
| 2. ავსტრია | +0.522 |
| 3. ლატვია | +0.857 |

### სამთო თხილამურები


ორი ჩემპიონი: დომინიკ გიზინი და ტინა მაზე

# ერთი სტარტი, ორი ჩემპიონი

**ტინა მაზე**
**დაიბადა:** 2 მაისი, 1983
**სიმაღლე:** 1.72 მ.
**წონა:** 68 კგ.

| ოლიმპიური თამაშები | |
|---|---|
| **ოქრო** | სოჭი 2014, სწრაფდაშვება |
| **ვერცხლი** | ვანკუვერი 2010, სუპერ-გიგანტი |
| **ვერცხლი** | ვანკუვერი 2010, გიგანტური სლალომი |

**სხვა ტიტულები**
მსოფლიოს 2-გზის ჩემპიონი, 4-გზის ვერცხლის პრიზიორი; მსოფლიოს თასის მფლობელი (2013); 23 მოგება და 66 პოდიუმი მსოფლიოს თასის ეტაპებზე.

**დომინიკ გიზინი**
**დაიბადა:** 4 ივნისი, 1985
**სიმაღლე:** 1.72 მ.
**წონა:** 70 კგ.

| ოლიმპიური თამაშები | |
|---|---|
| **ოქრო** | სოჭი 2014, სწრაფდაშვება |

**სხვა ტიტულები**
3 მოგება და 7 პოდიუმი მსოფლიოს თასის ეტაპებზე.

სოჭის ოლიმპიადის მორიგ დღეს მედლების პირველი კომპლექტი ქალებმა გაითამაშეს - ყველაზე ჩქაროსნულ დისციპლინა სწრაფდაშვებაში. მანამდე, ქალმა მოთხილამურეებმა სუპერკომბინაციაში გაარკვიეს გამარჯვებული და მაშინ სწრაფდაშვებაში საუკეთესო დრო ამერიკელმა ჯულია მანკუზომ აჩვენა. შესაბამისად, გუშინ მას მთავარ ფავორიტად ასახელებდნენ, თუმცა მაღალი შანსები გააჩნდათ შვეიცარიელ **ლარა გუტს**, სლოვენიელ **ტინა მაზეს**, ავსტრიელ **ანა ფენინგერსა** და გერმანელ **მარია ჰიოფლ-რიშს**. კომბინაციის სწრაფდაშვებაში სწორედ მათ შეავსეს პირველი ხუთეული. ასევე ბრძოლა უნდა გაემართა ფავორიტებისთვის ლიხტენშტაინის წარმომადგენელ **ტინა ვაირატერს**, რომელმაც გამოტოვა სუპერკომბინაცია.

სწრაფდაშვების სტარტი თავიდანვე დამაინტრიგებელი აღმოჩნდა. სიის პირველმა ნომერმა, შვეიცარიელმა **ფაბიენ სუტერმა** წარმატებით გაიარა დისტანცია და დიდი ხანი ინარჩუნებდა პირველობას. მისი შევიწროება შეძლო თანამემამულე **დომინიკ გიზინმა**. მან ძალიან სწრაფად გაიარა დისტანციის ყველაზე მომთხოვნი ნაწილი - ბოლო სეგმენტი.

ამის შემდეგ, ტრასაზე აღიარებული ლიდერები გადიოდნენ, მაგრამ გიზინი მაინც პირველი რჩებოდა. სამეულში ვერ შევიდნენ ჯულია მანკუზო, **ნიკოლ ჰოსპი**, მარია ჰიოფლ-რიში. ამ უკანასკნელმა სწორედ ბოლო სეგმენტზე ვერ შეძლო ტემპის შენარჩუნება.

ყველაფრის შეცვლა შეეძლო ტინა მაზეს და სლოვენიელმა ეს თითქმის გააკეთა! მსოფლიოს თასის მოქმედი მფლობელი დისტანციის დიდი ნაწილი ლიდერობდა, მაგრამ ბოლო დალმართისთვის საჭირო მარაგი ვერ შეიქმნა. დაფიქსირდა დრო - 1:41.57! ზუსტად ისეთი, როგორიც გიზინს ჰქონდა. მედლების განაწილებაში ჩარევა მხოლოდ ანა ფენინგერს შეეძლო, რომელიც ასრულებდა განთესილთა ჯგუფს, მაგრამ მან ტრასის შუაში ტექნიკური შეცდომა დაუშვა და დისტანციას ჩამოშორდა.

შედეგად, მივიღეთ უნიკალური სიტუაცია - ერთბაშად ორი ჩემპიონი. რა თქმა უნდა, ეს ტრიუმფი მათ დიმსახურეს, შვეიცარიას კი პოდიუმზე მეორე წარმომადგენელიც ჰყავდა ლარა გუტის სახით. მაზე სლოვენიის ისტორიაში შევიდა: ამ ქვეყანას ზამთრის თამაშებზე ოქროს მედალი არ ჰქონდა.

### სათხილამურო ორჭიდი

# ფავორიტის იოლი ოქრო

**ერიკ ფრენცელი**
**დაიბადა:** 21 მაისი, 1988
**სიმაღლე:** 1.74 მ.
**წონა:** 57 კგ.

| ოლიმპიური თამაშები | |
|---|---|
| ოქრო | სოჭი 2014, K-95+ 10 კმ |
| ბრინჯაო | ვანკუვერი 2010, 4x5 კმ |

**სხვა ტიტულები**
მსოფლიოს 2-გზის ჩემპიონი, 3-გზის ვერცხლის პრიზიორი, 2-გზის ბრინჯაოს პრიზიორი; მსოფლიოს თასის მფლობელი (2013); 7 მოგება და 14 პოდიუმი მსოფლიოს თასის ეტაპებზე.


ერიკ ფრენცელი

გუშინ, სოჭის ოლიმპიადაზე ბრძოლაში ჩაებნენ ორჭიდელები. ბოლო წლებში, სპორტის ამ სახეობაში დომინირებს **ერიკ ფრენცელი**. ოქროსთვის ბრძოლაში მას ორი გამოცდილი კონკურენტი ჰყავდა: გახსნის ცერემონიაზე საფრანგეთის გუნდის მედროშე **ჯეისონ ლამი-შაპუი** და ნორვეგიელი **მაგნუს მოანი**. კიდევ რამდენიმე სპორტსმენს უწინასწარმეტყველებდნენ პოდიუმზე ასვლას.

ფრენცელის შანსები კიდევ უფრო გაიზარდა მას შემდეგ, რაც მან ტრამპლინიდან ხტომის ნაწილი მოიგო და სათხილამურო რბოლაში პირველი წავიდა დისტანციაზე. თუმცა მისი უპირატესობა დიდი არ იყო და ყველა ლაპარაკობდა გერმანელსა და მოანს შორის მოსალოდნელ დუელზე - სტარტზე მათ შორის სხვაობა 41 წამი იყო.

თითქმის პირველი მეტრებიდან ფრენცელს შესანიშნავი კომპანიონი ჰყავდა იაპონელი **აკიტო ვატაბეს** სახით, რაც შეეხება მოანს, მას მარტო მოუწია მდევართა დიდი ჯგუფის „თრევა" და ამან, სახელოვან ნორვეგიელს დიდი ძალა გამოაცალა. თან მის მუშაობას ხელს უშლიდნენ გერმანელი მოთხილამურეები.

ბოლო აღმართზე, სადაც მოსალოდნელი იყო ფრენცელის შეტევა, წინ მოულოდნელად ვატაბე გავიდა, მაგრამ დიდი მანძილით გერმანელს ვერ დაშორდა. თავის მხრივ, ფინიშზე მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა უპრობლემოდ შეძლო იაპონელის ჩამოტოვება. ასე რომ, ფრენცელი გახდა სოჭის ოლიმპიადის ერთ-ერთი ფავორიტთაგანი, ვინც სრულად და ულაპარაკოდ დაადასტურა ეს სტატუსი. ვატაბე მეორეზე გავიდა, ნორვეგიელი **მაგნუს კროგი** - მესამეზე.

### ციგაობა

# გერმანიის ჰეთ-თრიკი


გერმანელთა ეკიპაჟი

**ტობიას ვენდლი**
**დაიბადა:** 16 ივნისი, 1987
**სიმაღლე:** 1.83 მ
**წონა:** 89 კგ

| ოლიმპიური თამაშები | |
|---|---|
| **ოქრო** | სოჭი 2014 |

**სხვა ტიტულები**
მსოფლიოს 2-გზის ჩემპიონი, ერთგზის ვერცხლის პრიზიორი; ევროპის ჩემპიონატის 2-გზის ვერცხლის პრიზიორი, ერთგზის ბრინჯაოს პრიზიორი; მსოფლიოს თასის 2-გზის მფლობელი (2011, 2013).

**ტობიას არლტი**
**დაიბადა:** 2 ივნისი, 1987
**სიმაღლე:** 1.77 მ
**წონა:** 75 კგ

| ოლიმპიური თამაშები | |
|---|---|
| **ოქრო** | სოჭი 2014 |

**სხვა ტიტულები**
მსოფლიოს 2-გზის ჩემპიონი, ერთგზის ვერცხლის პრიზიორი; ევროპის ჩემპიონატის ერთგზის ვერცხლის პრიზიორი, ერთგზის ბრინჯაოს პრიზიორი; მსოფლიოს თასის 2-გზის მფლობელი (2011, 2013).

თუ ციგურებით სირბილში ჰოლანდიელთა დომინირებას ვხედავთ, ციგაობა სოჭში გერმანელებისაა, რომლებმაც ამ სახეობაში უკვე ჰეთ-თრიკი შეასრულეს - სამი სახეობა, სამი ოქრო.

გუშინ, მამაკაცები ორადგილიანი ციგებით ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. ბოლო ორი ოლიმპიადა ამ სახეობაში ავსტრიელ ძმებს - **ანდრეას** და **ვოლფგანგ ლინგერებს** ჰქონდათ მოგებული, მაგრამ ისინი არ მიიჩნეოდნენ მთავარ ფავორიტებად. ეს სტატუსი ეკუთვნოდათ გერმანელებს - **ტობიას ვენდლსა** და **ტობიას არლტს**. ეს მათი დებიუტი იყო ოლიმპიურ თამაშებზე.

„ბავარიული ექსპრესის" ფავორიტობა განპირობებული იყო ამ სეზონში მსოფლიოს თასზე გამოსვლით - გერმანელებმა თითქმის ყველა სტარტი მოიგეს და გაჩერებას არც სოჭში აპირებდნენ.

და მართლაც, ვენდლსა და არლტს არანაირი პრობლემა არ ჰქონიათ არც ტრასასთან, არც ნერვებთან და არც მეტოქეებთან დაკავშირებით. ბრწყინვალე ფორმაში მყოფმა გერმანელებმა ორივე ცდა შესანიშნავად შეასრულეს და თითოეულში საუკეთესო დრო დააფიქსირეს. ჩემპიონთა დუეტმა უახლოეს მდევარს ნახევარ წამზე მეტი მოუგო, რაც უდიდესი უპირატესობაა. ბრწყინვალე გამოსვლა და დამსახურებული ოქრო.

ტურინისა და ვანკუვერის ოლიმპიადების ოქრო ვერცხლით შეცვალეს ძმებმა ლინგერებმა. ავსტრიას კიდევ ერთი ეკიპაჟის აყვანა შეეძლო პოდიუმზე. **პეტერ რენცი** და **გეორგ ფიშერი** მესამე ადგილზე იყვნენ პირველი ცდის შემდეგ, მაგრამ მეორე დაშვებისას ძალიან უხეში შეცდომა დაუშვეს და ბოლო ადგილამდე დაეშვნენ. ამით კი ლატვიელმა ძმებმა - **შიცებმა** იხეირეს და ზედიზედ მეორე ოლიმპიადაზე აიღეს ბრინჯაოს მედალი.

მოციგავეთა პროგრამა დღეს დასრულდება სადებიუტო სახეობით - ესტაფეტით. გერმანიას არ უნდა გაუჭირდეს ჩემპიონობა, რადგან ტრასაზე ოთხ ოლიმპიურ ჩემპიონს გაიყვანს: **ფელიქს ლოხს, ნატალი გაიზენბერგერს**, ტობიას ვენდლსა და ტობიას არლტს.

### ციგურებით სირბილი

# ჰოლანდია: ცხრიდან რვა!

**სტეფან გროოტჰუისი**
**დაიბადა:** 23 ნოემბერი, 1981
**სიმაღლე:** 1.81 მ
**წონა:** 82 კგ

| ოლიმპიური თამაშები | |
|---|---|
| ოქრო | სოჭი 2014, 1000 მ |

**სხვა ტიტულები**
სპრინტში მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი (2012), მსოფლიოს ჩემპიონი ცალკეულ დისციპლინებში (2012), ერთგზის ბრინჯაოს პრიზიორი.

მამაკაცებს შორის 1000-მეტრიანი დისტანციის წინ, ბევრი სპეციალისტი იმ აზრამდე მიდიოდა, რომ ამ სახეობაში არ უნდა ყოფილიყო ჰოლანდიელთა ულაპარაკო დომინირება. „ნარინჯისფერთა" ბატონობა უნდა დაემხო ცნობილ ამერიკელს **შენი დევისს**. მას ისტორიაში შესვლის შანსი ჰქონდა - გამარჯვების შემთხვევაში, დევისი პირველი მოციგურავე გახდებოდა, ვისაც ერთი და იგივე დისციპლინა ზედიზედ სამჯერ ექნებოდა მოგებული. შენისთვის შეეძლოთ პრობლემები შეექმნათ თანამემამულე **ბრაიან ჰანსენს**, ორ ჰოლანდიელს: 500 მეტრზე სოჭის ჩემპიონს **მიხელ მიულდერსა** და **შტეფან გროოტჰუისს** და სხვებს.

მაგრამ ჰოლანდიის ნაკრებს ამგვარ პროგნოზზე საკუთარი მოსაზრება ჰქონდა. 32 წლის შტეფან გროოტჰუისს აქამდე არც ერთი ოლიმპიური მედალი არ ჰქონდა მოპოვებული და სწორედ სოჭში ჩაატარა კარიერაში საუკეთესო რბოლა. მან ოთხი მეასედი წამით აჯობა კანადელ **დენი მორისონს**, ხოლო მესამე ადგილი მიხელ მიულდერმა მოიპოვა.

რაც შეეხებათ სხვა ფავორიტებს, მათ სრული ფიასკო განიცადეს. მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი, ყაზახი **დენის კუზინი**, რომელიც ბოლო გარბოდა დისტანციაზე, მეშვიდე შედეგით დაკმაყოფილდა. ყაზახის შემდეგ მოდიოდა ლეგენდარული შანი დევისი, რომლის წარმატებული კარიერა, როგორც ჩანს, ბოლოსკენ მიდის, თუმცა ამერიკელი აუცილებლად გაიბრძოლებს 1500 მეტრზე. კიდევ ერთი იმედგაცრუება გახდა **ტჰე-ბომ მო** - ვანკუვერის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი. ელოდნენ, რომ 24 წლის კორეელი,


სტეფან გროოტჰუისი

ბოლოს და ბოლოს, დაამარცხებდა ასაკში შესულ დევისს და ოქროს აიღებდა, მაგრამ მასაც ფიასკო ელოდა.

ასე რომ, მამაკაცებს შორის ციგურებით სირბილში უკვე მედლების სამი კომპლექტი გათამაშდა და ჰოლანდიის ნაკრებს ცხრიდან რვა (!) მედალი აქვს აღებული. წინ კიდევ 1500, 10000 მეტრი და გუნდური გამოდევნებაა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

| ფიგურული სრიალი | |
|---|---|
| **წყვილები** | |
| 1. ტატიანა ვოლოსოჟარი/მაქსიმ ტრანკოვი (რუს) | 236.86 |
| 2. ქსენია სტოლბოვა/ფიოდორ კლიმოვი (რუს) | 218.68 |
| 3. ალიონა სავჩენკო/რობინ შოლკოვი (გერ) | 215.78 |

| სნოუბორდი | |
|---|---|
| **ჰაფპაიპი. ქალები** | |
| 1. ქეითლინ ფარინგტონი (აშშ) | 91.75 |
| 2. ტორა ბრაიტი (ავსტრა) | 91.50 |
| 3. კელი კლარკი (აშშ) | 90.75 |

## ფიგურული სრიალი

# რუსული დუბლი

### ტატიანა ვოლოსოჟარი

**დაიბადა:** 22 მაისი, 1986
**სიმაღლე:** 1.59 მ.

**ოლიმპიური თამაშები**

| | |
|---|---|
| ოქრო | სოჭი 2014, გუნდური |
| ოქრო | სოჭი 2014, წყვილები |

**სხვა ტიტულები**

მსოფლიოს ჩემპიონი (2013), 2-გზის ვერცხლის პრიზიორი; ევროპის სამგზის ჩემპიონი (2012, 2013, 2014).

### მაქსიმ ტრანკოვი

**დაიბადა:** 7 ოქტომბერი, 1983
**სიმაღლე:** 1.87 მ.

**ოლიმპიური თამაშები**

| | |
|---|---|
| ოქრო | სოჭი 2014, გუნდური |
| ოქრო | სოჭი 2014, წყვილები |

**სხვა ტიტულები**

მსოფლიოს ჩემპიონი (2013), 2-გზის ვერცხლის პრიზიორი; ევროპის სამგზის ჩემპიონი (2012, 2013, 2014), ერთგზის ვერცხლის პრიზიორი, ორგზის ბრინჯაოს პრიზიორი.


სპორტული წყვილების პოდიუმი

რუსეთის ოლიმპიურ ნაკრებს სოჭის ოლიმპიადაზე ოქროს ორი მედალი აქვს მოპოვებული და ორივე ფიგურულ სრიალში. თავდაპირველად, მასპინძლებმა გუნდური ასპარეზობა მოიგეს და ამაში დიდი წვლილი დაიდეს **ტატიანა ვოლოსოჟარმა** და **მაქსიმ ტრანკოვმა**. გუშინ კი მათ სპორტულ წყვილებშიც იმარჯვეს და ორგზის ოლიმპიური ჩემპიონები გახდნენ.

ცნობილია, რომ ფიგურული სრიალი საკმაოდ კონსერვატიული სახეობაა და თითქმის ყოველთვის, ფავორიტები ამართლებენ წინასწარ მინიჭებულ სტატუსს. ასე მოხდა ამჯერადაც. თითქმის ყველა წინასწარ ანიჭებდა უპირატესობას რუსულ დუეტს და მათაც უპრობლემოდ მოიპოვეს ოქროს მედლები.

ვოლოსოჟარი და ტრანკოვი ამ მომენტამდე ოთხი წელი მიდიოდნენ. 2010 წელს, მათ წინა პარტნიორები მიატოვეს და საკუთარი წყვილი შექმნეს. და იქედან მოყოლებული, დღემდე ყოველთვის ძლიერი გამოსვლით ამახსოვრებდნენ თავს ფიგურული სრიალის მოყვარულებს.

სოჭში უკვე მოკლე პროგრამის შემდეგ ცხადი იყო, რომ რუსები შანსს ხელიდან არ გაუშვებდნენ. ისინი 4.53 ქულით უსწრებდნენ გერმანელებს - **ალიონა სავჩენკოსა** და **რობინ შოლკოვის**. ეს იმას ნიშავდა, რომ მათ უბრალოდ მინიმალური შეცდომებით უნდა ესრიალათ თავისუფალ პროგრამაში და გამარჯვება გარანტირებული ექნებოდათ. გუშინ, ერთი შეცდომა მათ მაინც დაუშვეს - ვოლოსაჟარი ნახტომის შემდეგ ყინულს შეეხო, სხვა ელემენტები კი სუფთად შესრულდა და რუსები თითქმის მიუღწეველნი გახდნენ გერმანული წყვილისთვის.

თავისუფალ პროგრამას სწორედ სავჩენკო და შოლკოვი ასრულებდნენ. მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონმა წყვილმა იმდენი შეცდომა დაუშვა, რომ ლაპარაკიც არ ყოფილა ვოლოსაჟარისა და ტრანკოვის გასწრებაზე - გერმანელებს ვერცხლის მედალიც სანატრელი გაუხდათ, რადგან მათ თითქმის სამი ქულა წააგეს კიდევ ერთ რუსულ წვილთან **ქსენია სტოლბოვასა** და **ფიოდორ კლიმოვის** შემადგენლობით. ამ დუეტის საპრიზო სამეულში მოხვედრა ოლიმპიადის ტურნირის ყველაზე დიდი მოულოდნელობა აღმოჩნდა, რადგან ამ ახალგაზრდა სპორტსმენებს მსოფლიოს ჩემპიონატშიც კი არასოდეს უასპარეზიათ.

## ჰოკეი

# დიდი მატჩი შვედეთმა მოიგო

გუშინ, სოჭის ოლიმპიადაზე ყველაზე საინტერესო დაწყო - ჰოკეის ტურნირი მამაკაცებს შორის. პირველი ტურის მატჩები ჩაატარეს C ჯგუფის ბინადრებმა და პირველივე დღეს ცენტრალური შეხვედრა ვნახეთ - შვედეთი ჩეხეთის წინააღმდეგ.

ამ მატჩის ორ ნაწილად გაყოფა შეიძლება. თავიდან, პერიოდნახევარი ყინულზე შვედეთი დომინირებდა და პირველ ორ პერიოდში ორ-ორი შაიბა გაიტანა. ჩეხები ძალიან სუსტად გამოიყურებოდნენ დაცვაში, ხოლო მათი მეკარის **კოვარჟის** თამაში ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებდა. მესამე გაშვებული შაიბის შემდეგ, მან კარის დაცვა **სალაკს** გადაულოცა, მაგრამ სამი წუთის თავზე, ამ გოლკიპერსაც მოუწია კაპიტულირებამ **ერის კარლსონის** ძლიერი დარტყმის შემდეგ. ანგარიში გახდა 4:0 „ტრე კრუნურის“ სასარგებლოდ. როგორც ჩანს, შვედებმა საქმე მოთავებულად ჩათვალეს და ინიციატივა მეტოქეს გადააბარეს. ჩეხების სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ ისინი დროზე მოვიდნენ გონს, გაცილებით აგრესიულად ათამაშდნენ და მეორე პერიოდშივე, ორი წუთის ინტერვალით ორი შაიბა გაიტანეს.

მესამე პერიოდში შვედებს, ძირითადად, თავის დაცვა უწევდათ, რადგან მათ რიგებში ბევრი იყო გაძევება. საბოლოოდ, ჩეხებმა დარტყმების რაოდენობით აჯობეს მეტოქეს, მაგრამ მესამე პერიოდში **ჰენრიკ ლუნდკვისტის** კარი ვერ აიღეს და 2:4 დამარცხდნენ.

■ ■ ■

რაც შეეხება გუშინდელი დღის მეორე მატჩს, შვეიცარია 59 წუთისა და 52 წამის განმავლობაში ვერ ახერხებდა ლატვიის ნაკრების გოლკიპერის **ედგარას მასალსკისის** კარის აღებას, მაგრამ სირენამდე რვა წამით ადრე, **მოზერის** ზუსტი დარტყმით აიცილა თავიდან ოვერტაიმის თამაში.

**კაცები. C ჯგუფი. I ტური**

**ჩეხეთი-შვედეთი** 2:4

0:2, 2:2, 0:0

**გოლები**: 0:1 ალფრედსონი-1 (ეკმან-ლარსონი-1, სტინი-1), 0:2 ბერგლუნდი-1 (ეკმან-ლარსონი-1, ლუნდკვისტი-1), 0:3 ზეტერბერგი-1, 0:4 ე. კარლსონი-1 (დ. სედინი-1, ბექსტრიომი-1), 1:4 ჟიდლიცკი-1 (ელიაში-1, ზ. მიხალეკი-1), 2:4 იაგრი-1.

**ლატვია-შვეიცარია** 0:1

0:0, 0:0, 0:1

**გოლი**: 0:1 მოზერი-1.



## სნოუბორდი

# ავსტრალიური მედალი თოვლში

### ქეითლინ ფარინგტონი

**დაიბადა:** 18 დეკემბერი, 1989
**სიმაღლე:** 1.63 მ
**წონა:** 57 კგ

**ოლიმპიური თამაშები**

| | |
|---|---|
| ოქრო | სოჭი 2014 ჰაფპაიპი |


ქეითლინ ფარინგტონი

მედლების ბოლო კომპლექტი გათამაშდა ქალებს შორის ჰაფპაიპში. გუშინდელი სტარტის წინ, ძირითადად, სამი ფავორიტი სახელდებოდა - ამერიკელები **კელი კლარკი** და **არიელ გოლდი** და ავსტრალიელი **ტორა ბრაიტი**.

საოცარია, მაგრამ ფინალში ნაჩვენები შედეგები გაცილებით უარესი იყო კვალიფიკაციაში დაფიქსირებულ ქულებზე. თუ ამგვარი კატეგორიით განვსჯით, შეიძლება იმ აზრამდე მივიდეთ, რომ ერთბაშად ოთხმა სპორტსმენმა - კელი კლარკმა, **კერალტ კასტელიემ**, ტორა ბრაიტმა და **ჰანა ტეტერმა** კვალიფიკაციაში უკეთესი შედეგი აჩვენეს, ვიდრე საბოლოო გამარჯვებულმა **ქაითლინ ფარინგტონმა**.

ეს უკანასკნელი მთელი დღის განმავლობაში სხვებზე სტაბილურ შედეგებს აჩვენებდა. მიუხედავად ამისა, 24 წლის ფარინგტონს ნახევარფინალური ბარიერის გადალახვა მოუწია, რადგან კვალიფიკაციაში არასაკმარისად მაღალი ქულა აჩვენა და პირდაპირ ფინალში ვერ გადავიდა. ფინალში მან კარგი პირველი ცდა შეასრულა, მეორეში კი დღის საუკეთესო შედეგის ავტორი გახდა - 91.75 ქულა.

დაკარგა ვანკუვერში მოპოვებული ტიტული ტორა ბრაიტმა. მის გამოსვლაში არსებული ხარვეზების მიუხედავად, ავსტრალიელმა მხოლოდ 0.25 ქულა წააგო გამარჯვებულთან. შეგახსენებთ, რომ ორი დღით ადრე, ბრაიტს ერთი ნაბიჯი დააკლდა სლოუპსტაილის პოდიუმამდე. ბრინჯაოს მედალი მოიპოვა კელი კლარკმა, არადა, სწორედ მას მიიჩნევდნენ გუშინდელ ჰაფპაიპში მთავარ ფავორიტად. კელიმ ფინალში დღის ყველაზე რთული ელემენტი შეასრულა, მაგრამ მსაჯებისთვის ეს საკმარისი არ აღმოჩნდა.

ბოლოს უნდა ალვნიშნოთ ჰანა ტეტერისა და **რანა ოკადას** კარგი გამოსვლა, სამი ჩინელის ჩავარდნა, რომელთა ყველა გამოსვლა ფინალში დაცემით აღინიშნა. აგრეთვე სოჭის ოლიმპიადაზე ესპანეთის ნაკრების მთავარი იმედის **კერალტ კასტელიეს** სუსტი ასპარეზობა. კატალონელმა სნოუბორდისტმა კვალიფიკაციაში ერთ-ერთი საუკეთესო შედეგი აჩვენა, მაგრამ ფინალში ნერვებს ვერ გაუმკლავდა და ყველა ნახტომი გააფუჭა.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**




დამფუძნებელი და გამომცემელი **შპს გამომცემლობა ლელო**
ISSN 2233-3827
9 772233 382000
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე **გია თვალაბეიშვილი** (599 56 17 38); მოადგილეები: **ნიკოლოზ ნეფარიძე** (595 09 03 28), **გია ტუხაშვილი** (555 50 05 13);
მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **თამუნა ყულუმბეგაშვილი**.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2 19 60 13; 2 19 60 53. ელფოსტა: contact@pallitra.ge; მისამართი: **იოსებიძის, 49.** ხელმოწერილია დასაბეჭდად: 03:30 ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: **გოდერძი ლენცი**
ტელეფონი: 238 84 44; 238 74 44 (რედაქცია). 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; leloltd@gmail.com (რედაქცია); lelo@palitra.ge ინდექსი 66435 INDEX. სარეკლამო განყოფილება: 237 78 07; 2 38 78 70
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო“, 205262062. ბანკი „ქართუ“ CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608